


# იხმორიანი

სომხური  
ტანკი  
ბიძოვის  
ვინა

ჩვენა II-ის  
თავსახე



ბაიის ტანკის  
ქსელური ფორმა

ახორციელის ბიძიანი კოვია

ანა ანოროვსკაია  
დიდი მოუკავი

14 ნიგნად

ნიგნი XII

ფასი 3 ლარი

ნიგნი „ისტორიანთან“ ერთად – 6 ლარი

ნიგნა  
ნიგნის  
„ბანაბიხორა“  
– ბოლოვინური  
ნიგნი

ბოლითური  
საოხტი  
ნიგნი

ბაზილიის  
აბანაბი

ბაზილის  
ბიძია –  
მოგვის  
ბოლოვინური  
ლაბიხორა



6



12



8



18



52



38



30

**სახჩუვი**

**ახალი აზვები**  
 გელათის ყველაზე დავიანებული  
 ფრესკების კონსერვაცია დასრულდა ----- 6

**მუაღ აზვები**  
 ამერიკის კირველ კოლონისტებს  
 კანიბალიზმაც უფიათ ----- 8

**ახალი აზვები**  
 დაიღვებული ბაღები არსებობდა... გაგრავა  
 არა ბაბილონი ----- 10

ბადარავა ის, ვინც ნადირობას უკეთ  
 სწავლობდა ----- 11

**წითელი ჭიჩი**  
 ვინდა ნუტუმბის „გასაპართლევა“ —  
 გოლუმვიკური რეჟიმის  
 ანტირელიგიური ისტერია ----- 12

**ჯახიონს ბელი**  
 მრეკლე II-ის თავსატეხი. გორგბივსკის

ტრაქტატი (1783 წ.) — ვერილი პირველი -- 18

**საქიოველოს ჰოლიოტუჯი ჯახიუბი**  
 ეროვნული კალეპი სოციალისტის  
 რაკლევი ----- 23

**საქიოველოს ისოიხის ბაყეაზაბელი**  
 გამოსნაღვული ომი საქართველოს  
 ვარსულის ვინააღვებ ----- 30

**საქიოველოს საზედიო ისოიხი**  
 მარაბდის ბროლა — მოგების ტოლვასი  
 დამარცხება ----- 38

**იჯოიხუვი კვილი თოიცილიან**  
 მარსანოვების ჴლავრული სახლი ----- 46

**ახალი აზვები**  
 ბრავილის ატლანტიდა ----- 51

**ლვინის ფესივილი**  
 დიდი დეგუსტაციის მონობრავიულ  
 გუზეუგვი ----- 52



82



92



56



63



76



98

**სახიჩქვი**

**ისტორიის საილუმინაციო**  
 გიბრალტარის ავიაკატასტროფა ----- 56

**ახალი ანგარი**  
 გელათის ოთხთავის პირველი  
 გამოცემა ----- 62

**ბიზანტიური ნაწილის ისტორია**  
 ევა ბრანდი — კიტლერის უკანასკნელი  
 სიმკვარეული ----- 63

**უაუაუაუაუ ბილბილბი**  
 მიმდინარეობდა თუ არა „აფხაზთა  
 გაქართვებება“ ----- 71

**სახეობის სახე**  
 საბრძოლო სპილოები — ცოცხალი  
 ტანკები ბრძოლის ველზე ----- 76

**SOS!**  
 გელის ტაძარი — „ისტორიანის“  
 მსკლუჭიური ფოტოგასაღა ----- 82

**მსოფლიოში სოფილი სახანაუი**  
 კოლანდის „ცხელი გული“ —

ბინეპროფი ----- 92

**საოხის ისტორია**  
 გოლიათური სკორტი ამოგაგალი მზის  
 ქვეყნიდან ----- 98

**ოულა ანგარი**  
 მილიონობით მსკონატი, რომელიც  
 საქართველოს ისტორიას აცოცხლებს ---- 105

**ბაბოთსოვება**  
 ოთარ მელპინეთუხუცესი — ცხოვრება ღირს  
 რამდენიმე ბელნიერი ჭუთისთივისა... --- 106

**ახილი**  
 ვლისო ჩავიმა: „გამაგობ, რომ გელათის,  
 მოწამეთის, სრმინის, ცუცხვამთისა და  
 მუხურის გაქორითარი  
 დეკუტატი პარ!“ ----- 111

**„ისტორიანი“ ბავშვებისთვის**  
 500 ვაჭტი ისტორიიდან ..... 114

სპანპორდი ..... 122

## ხელახლოვის სვეტი

აფხაზეთში XX საუკუნის მიწურულს მომხდარი ტრაგედია ათწლეულები მზადდებოდა. ჯერ კიდევ მეფის რუსეთი ყველაფერს აკეთებდა, რათა საქართველოში ერთოთისთვის წაეკიდებინა არა მარტო ქართველები და აფხაზები, არამედ ბზარი შეეტანა თვით ქართველთა ერთობაშიც. ეს პოლიტიკა გაგრძელდა საბჭოთა პერიოდშიც, როცა განსაკუთრებით გამძაფრდა მოსკოვიდან აფხაზთა გეგმაზომიერი რუსიფიკაცია და აფხაზ ხალხში ანტიქართული განწყობის დამკვიდრება. მთელი რუსული იმპერიული მანქანა მუშაობდა ამ მიმართულებით. მოსკოვი თავად უწყობდა ხელს აფხაზთა გარუსებას, ყველაფერ ამას კი ქართველებს აბრალებდნენ.

1938-1954 წლებში აფხაზური დამწერლობა ქართულ გრაფიკაზე გადაიყვანეს. დღეს ეს თემა სეპარატისტების მიერ გამოყენებულია ქართველთა წინააღმდეგ, მაგრამ ყველას „ავიწყდება“ ერთი ფაქტი: იმ დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა აფხაზური ენის სწავლება სკოლებში, აგრეთვე, მნიშვნელოვნად იმატა აფხაზური წიგნებისა და ჟურნალების არა მხოლოდ რაოდენობამ, არამედ ტირაჟმაც. შეიქმნა აფხაზეთის ისტორიისა და ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები. ეს იყო აფხაზეთის ლიტერატურისა და კულტურის აყვავების ხანა. ბუნებრივია, მოსკოველ ჩინოვნიკებს აფრთხობდათ აფხაზეთში ადგილობრივი ნაციონალური ელემენტის გაძლიერება, რის გამოც 1954 წელს აფხაზური სამწიგნობრო ენა კირილიცაზე გადაიყვანეს. ამას მოჰყვა თავად აფხაზური ენის მაქსიმალური შევიწროება. აფხაზურ სკოლებშიც კი აფხაზური ენა მხოლოდ დაწყებით კლასებში ისწავლებოდა, სხვა საგნებს რუსულად ასწავლიდნენ. ეს იმ დროს, როცა 1938-1954 წლებში, ე.წ. „ქართველიზაციის“ ეპოქაში, ძირითადი საგნები აფხაზურად ისწავლებოდა და ამისთვის შესაბამისი პროგრამები და სახელმძღვანელოები არსებობდა.

ასე გეგმაზომიერად მიისწრაფოდა მოსკოვი აფხაზეთის გარუსებისკენ. ბუნებრივია, თითოეული ქართველის სურვილია, აფხაზეთმა თავიანთი თვითმყოფადობა შეინარჩუნონ. აფხაზებსა და ქართველებს ხომ ერთი ისტორია, კულტურა, ადათ-წესები გვასაზრდოებს. აფხაზთა გარუსება არა მარტო პატრიოტ აფხაზთათვის, არამედ ქართველთათვისაც დიდი ტრაგედიაა.



აფხაზთა ბარუსება არა მარტო პატრიოტ აფხაზთათვის, არამედ ქართველთათვისაც დიდი ტრაგედიაა...

### ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი  
**ჯაბა სამუშია**

რედაქტორი  
**გელა გურგენიძე**

სტილისტ-რედაქტორი  
**ელენე სალარიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**რეზო თხილიშვილი**

სარედაქციო კოლეგია:  
**ალექსანდრე ბომიშვილი, ოქროპირ ჯიქური, ნინო ჯაფარიძე, დიმიტრი სილაქაძე, მიხეილ ბარნოვი, შოთა მათათაშვილი, კახაბერ ყალიჩავა, ნიკოლოზ ხოფერია**

კორექტორები:  
**ნანა მაჭუაყარიანი**  
**ნინო აბესაძე**

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, იოსებძის ქ. №49  
**ტელ.: 238-13-72, 238-02-45**

სარეკლამო განყოფილება  
**ტელ.: 237-78-07, 238-78-70**  
**e-mail: istoriani@palitra.ge**

**ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ**

რედაქციის ნებართვის გარეშე  
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალის გამოწვევის სთვის მიმართეთ პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტოს „ელვა-ჯო“.  
**ტელ.: 238-26-73, 238-28-74, 214-09-91**



# ბაიასის ყვინჯი დაზინჯიანი ფინჯის ხონჯისა და დასინჯი

*გელათის სამონასტრო კომპლექსის მთავარი — ღვთისმშობლის შობის ტაძრის სამხრეთ კარიბჭის ფრაგმენტულად შემორჩენილი XIV საუკუნის კედლის მხატვრობა და წმინდა მარინეს ეკვდერის XV-XVI საუკუნის ფრესკების გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოები დასრულდა. აღმოფხვრა მოხატულობის ბათქაშისა და ფერწერული ფენის დაზინჯები, კვლიდან მოშორებული მოხატულობის ბათქაშის ადგილები გამაგრდა.*



აღსანიშნავია, რომ ტრადიციული კირის მასალით შეიკვალა წინა სარესტავრაციო ჩარევისას შევსებებსა და ქიმებზე გამოყენებული ცემენტი და თაბაშირი. მხატვრობა გაიწმინდა მარილებისგან, განხორციელდა ბათქაშზე არსებული წვრილი ბზარების ინექტირება და გამაგრდა მოხატულობის აქერცილილ-გაფხვიერებული ფერწერული ფენა.

პროექტი აშშ-ის ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის დაფინანსებით

*დასრულდა ღვთისმშობლის შობის ტაძრის სამხრეთ კარიბჭის შემორჩენილი ფრაგმენტებისა და წმინდა მარინეს ეკვდერის გადაუდებელი კონსერვაცია*

განხორციელდა ხელოვნების საერთაშორისო ცენტრმა.

**მაკა დვალისძე** (პროექტის დირექტორი): — პროექტზე მუშაობა შარშან, შემოდგომაზე დაიწყო. პირველ ეტაპზე განხორციელდა წმინდა მარინეს ეკვდერისა და სამხრეთ კარიბჭის არქიტექტურის რეაბილიტაცია. გაზაფხულიდან ფრესკების პრევენციულ

*ღვთისმშობლის შობის ტაძრის უნიკალური კედლის მხატვრობაზე ქართული საეკლესიო მხატვრობის განვითარების ველა მნიშვნელოვანი ეტაპია წარმოდგენილი.*



კონსერვაციაზე ვმუშაობთ. მინიმუმამდე დავიდა ხელოვნური, ანუ მხატვრული ჩარევა. პროექტის პოლიტიკა სწორედ მაქსიმალური ჩაურევლობაა, რათა ფრესკები პირვანდელი სახით შენარჩუნდეს.

გელათის მონასტრის მთავარი — ღვთისმშობლის შობის ტაძრის კედლის მხატვრობა უნიკალურია. აქ ქართული საეკლესიო მხატვრობის თითქმის მთელი ისტორია, მისი განვითარების ყველა მნიშვნელოვანი ეტაპია წარმოდგენილი. მათ შორისაა სამხრეთ კარიბჭისა და წმინდა მარინეს ეკვდერის კედლის მხატვრობაც, რომელიც სხვადასხვა პერიოდს მიეკუთვნება.

ფრესკების გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოები აშშ-ის ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის მიერ გელათის მონასტერში განხორციელებული მეორე პროექტია. ფონდის დაფინანსებით 2004 წელს გელათის ღვთისმშობლის ტაძრის ნართექსისა (კათაკმეველთა და მონანიეთათვის განკუთვნილი შესასვლელი) და ეკვდერების ფრესკების (XII-XVIII სს.) დიაგნოსტიკური კვლევა და პირველი რიგის საკონსერვაციო სამუშაოები დაიგეგმა.

გელათის სამონასტრო კომპლექსის მასშტაბისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გადარჩენის 2008 წლის სახელმწიფო პროგრამით, არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს მემკვიდრეობამ“, ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის თანადაფინანსებით და გერმანელ და ესპანელ სპეციალისტებთან ერთად, შეიმუშავა და შექმნა გელათის სრული აღდგენა-რესტავრაცია-კონ-

სერვაციის საპროექტო დოკუმენტაცია, რომელიც არქიტექტურული კომპლექსის ინფრასტრუქტურულ მოწესრიგებასაც ითვალისწინებდა.

2008 წელსვე, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის ნომინაციით, გელათის მონასტერი მსოფლიო მონუმენტების ფონდის (World Monuments Watch) 100 ძეგლის სიაში შევიდა.

სამონასტრო კომპლექსის ეტაპობრივი რესტავრაცია 2009 წლიდან დაიწყო. უკვე აღდგა და პირვანდელი სახე დაიბრუნა გელათის აკადემიამ. მოჭიქული კრამიტით გადაიხურა წმინდა გიორგის, ასევე წმინდა ნიკოლოზის ეკლესიები და სამრეკლო. განხორციელდა ქვის კონსერვაცია და სრულად გაიწმინდა წმინდა გიორგის ეკლესიის კედლის მხატვრობა. განახლდა წმინდა მღვდელმთავარ გაბრიელ ქიქოძის რეზიდენციაც.

**ნინო ჯაფარიძე**

*პროექტის პოლიტიკა მაქსიმალური ჩაურევლობაა, რათა ფრესკები პირვანდელი სახით შენარჩუნდეს*



## ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით

(კითხვა, შენიშვნა, სურვილი, პრეტენზია, შეთავაზება...)

**პალიტრა მედია გისმენთ!..**



დარეკეთ: 219 60 13



მომგვწერეთ: [contact@palitra.ge](mailto:contact@palitra.ge)

ან: „კვირის პალიტრის“ („ნიტყვა და საქმის“)

საფოსტო ყუთების საშუალებით





ამერიკის კოლონიზაციის ისტორიაში ე.წ. მშვიერი დრო ერთ-ერთი ყველაზე მძიმე პერიოდია. ფორტ ჯეიმსის მოსახლეობა ინდიელთა ტომების ალყაში მოექცა

## ამერიკის პირველ კოლონისტებს კანიბალიზმას უწიათ

ამერიკის კონტინენტზე, ვირჯინიის კოლონიაში გადასახლებულ პირველ ბრიტანელებს კანიბალიზმზე გამოუვლიათ. ამის მტკიცებულებები ამერიკელმა მეცნიერებმა წარმოადგინეს. ისინი ამტკიცებენ, რომ კოლონისტებმა „ბრაქტიკა“ კანიბალიზმში 1609-1610 წლების მკაცრ და სუსხიან ზამთარში გაიარეს. მსგავსი ფაქტების შესახებ წყაროებშიც იყო ცნობები დაცული, თუმცა მეცნიერულად მათი დადასტურება მხოლოდ პირველად მოხერხდა.

ვაშინგტონის ეროვნული მუზეუმის მეცნიერებმა 14 წლის გოგონას ნეშტის ანალიზი ჩატარეს, რომელიც შარშან, ვირჯინიის შტატში, ფორტ ჯეიმსის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს. მეცნიერებმა კანიბალიზმის მსხვერპლი გოგონას პორტრეტის შექმნაც მოახერხეს.

ფორტი ჯეიმსი 1607 წელს დაარსდა. დროთა განმავლობაში კი მის ირგვლივ კოლონია ჯეიმსტაუნ გაშენდა.

გოგონას თავის ქალასა და დიდი წვივის ძვალებზე, რომელთა ასაკი 400 წელია, დარტყმებისა და აჩუხვის კვალია.

მეცნიერთა მტკიცებით, ეს ყველაფერი მიუთითებს, რომ ვიღაც თავის ქალის გახსნასა

და ტვინის ამოღებას ცდილობდა. ამას გარდა, მსხვერპლს ენაც ამოჭრილი ჰქონდა და სახეზე ხორციც.

საყურადღებოა, რომ ცხოველის სხეულის ეს ნაწილები XVII საუკუნეში დელიკატესად მიიჩნეოდა. ოღონდ ამჯერად საქმე გვაქვს გოგონას სხეულთან...

„არსებობს საკვებით ნათელი მტკიცებულება, რომ გოგონას სხეული დანაწევრებულია, ხოლო ხორცი ძვალს მოაშორეს“, — ამბობს ანთროპოლოგი, დოქტორი დაგ ოუსლი.

ძვლებზე შემორჩენილი კვალი ადასტურებს, რომ კანიბალიზმი, რომლებიც სხეულს ანაწევრებდნენ, პროფესიონალები არ იყვნენ.

არ არის გამორიცხული, ისინი ქალები ყოფილიყვნენ. რაც შეეხება მსხვერპლი გოგონას გარდაცვალების მიზეზს, იგი უცნობია. ანთროპოლოგები ამტკიცებენ, რომ მისი სხეული სიკვდილიდან მალევე დაანაწევრეს. კემბრიჯელმა მკვლევარებმა მისი ძვლების ანალიზის შემდეგ წარმოადგინეს დასკვნა, რომ გოგონა ბრიტანელი კოლონისტი იყო, რომელსაც კარგად კვებავდნენ, ძირითადად ხორციით.

სკანირებისა და კომპიუტერული გრაფიკის დახმარებით მეცნიერებმა გოგონას სამგანზომილებიანი პორტრეტიც შეადგინეს. ანთროპოლოგები აღნიშნავენ, რომ იგი კანიბალთა ერთადერთი მსხვერპლი არ ყოფილა.

ე.წ. მშვიერი დრო ერთ-ერთი ყველაზე მძიმე პერიოდია ამერიკის კოლონიზაციის ისტორიაში. ცნობილია, რომ ფორტ ჯეიმსის მოსახლეობა ინდიელთა ტომების ალყაში მოექცა. მარაგი კი, რომელიც ფორტში იყო, საკმარისი არ აღმოჩნდა ცივი და სუსხიანი ზამთრის გადასატანად. კოლონისტებმა ჯერ ცხენები შეჭამეს, შემდეგ ძაღლები, კატები, ვირთხები, თაგვები და გველები. ზოგიერთმა ტყავის ტანსაცმლის შეჭმაც სცადა.

ფორტის ალყამ და შიმშილმა თითქმის ნახევარ წელიწადს გასტანა. დახმარება ლორდ დე ლა ვერისგან მხოლოდ ამის შემდეგ მოვიდა. როცა ლორდი და ახალი კოლონისტები ფორტ ჯეიმსის ნაპირებს მოადგნენ, აღმოჩნდა, რომ 500 მცხოვრებლიდან მკაცრ ზამთარს მხოლოდ 61 გადარჩენილა.

„ასეთ შემთხვევაში ისინი ყველაფერს აკეთებდნენ თავის გადასარჩენად“, — აღნიშნა დოქტორმა ოუსლიმ.



*მეცნიერებმა კანიბალთა მსხვერპლი გოგონას პორტრეტის შექმნა მოახერხეს*

თუმცა სიკვდილი მანამდეც თან სდევდა ფორტის მოსახლეობას. ის 1607 წელს დააარსა ინგლისელმა სამხედრომ, ჯონ სმითმა. ერთ წელიწადში, სანამ ევროპიდან მომარაგების გემები ჩამოაღწევდა, მოსახლეობის ორი მესამედი დაიხოცა. ყველა მოგლეჩის გათვალისწინებით, პირველ ხუთ წელიწადში მოახალშენეთა და მათ შემცვლელთა დიდი უმეტესობა ამოწყდა.

**მომზადებულია BBC-ის მასალების მიხედვით**



*მეცნიერთა მტკიცებით, ვიღაც გოგონას თავის ქალის გაზნასა და ტვინის ამოღებას ცდილობდა*





დაკიდებული ბალები. მხატვრული რეკონსტრუქცია

## დახიდახი ბალები ახსებობდა... მაბხამ ახა ბაბილონში

მითოლოგია ბურუსის საბურველში ხვევს მსოფლიოს შვიდ საოცრებას, მაგრამ მათგან არც ერთი არ არის ისეთი ამოუცნობი, როგორც სემირამიდას დაკიდებული ბალები. არქეოლოგებს მათი არსებობის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება არასოდეს აღმოუჩენიათ. ამდენად, მის არსებობას მეცნიერები სულ ეჭვქვეშ აყენებდნენ. თუმცა, ოქსფორდის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მკვლევარი სტეფანი დალი ამტკიცებს, რომ იცის, რატომ აღმოჩნდა ასე მოუხელთებელი მკვლევრებისთვის სემირამიდას დაკიდებული ბალები და ამ მიზეზსაც ასახელებს. მეცნიერი ირწმუნება, რომ ბაბილონში ის საერთოდ არ არსებობდა.

ბერძნულ და რომაულ ტექსტებში სემირამიდას დაკიდებული ბალების მშვენიერ და ამაღელვებელ სურათებს ხატავდნენ. ძველი ბაბილონის ცხელ და გაუდაბნოებულ პეიზაჟს დაკიდებული ბალები ამშვენებდა ჩანჩქერებით, ეგზოტიკური მცენარეებითა და ყვავილნარით, რომელთა სილამაზე შეერას ატყვევებდა, სურნელი კი შორს აღწევდა.

ისტორიკოსებმა დიდი ბრიტანეთიდან დაასკვნეს, რომ სემირამიდას დაკიდებული ბალები სინამდვილეში არა ბაბილონში, არამედ მისგან 300 მილის დაშორებით, ნინეფიაში მდებარეობდა. ამ თეორიამდე 20-წლიანი კვლევების

შემდეგ გერმანელ მეცნიერთა ჯგუფიც მივიდა. სტეფანი დალიმ ასევე მოახერხა გაერკვია, რომ სემირამიდას დაკიდებული ბალები სინამდვილეში არა ბაბილონის მმართველმა ნაბუქოდონოსორმა, არამედ ასურეთის მმართველმა სინაქერიბმა ააგო.

ამის დასტურად მკვლევარს მოჰყავს ბარელიეფი სინაქერიბის ნინეფიის სასახლიდან, რომელზეც დაკიდებული ბალები და სპეციალურ, გადახურულ კოლონადაში გაზრდილი ხეებია გამოსახული.

სტეფანი დალი ამბობს, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 689 წელს ბაბილონი ასურეთმა დაიპყრო და ამის შემდეგ ასურეთის დედაქალაქ ნინევიას ახალი ბაბილონი ეწოდა. ამიტომ სემირამიდას დაკიდებული ბალები სწორედ ნინეფიაში აშენდა, მოიხსენიებოდა, როგორც ახალი ბაბილონის ღირსშესანიშნაობა, მოგვიანებით კი უბრალოდ, ბაბილონის ღირსშესანიშნაობა.

ამას გარდა, ბრიტანელმა მეცნიერმა ის ტერიტორიებიც შეისწავლა, სადაც ოდესღაც ნინეფია და ბაბილონი მდებარეობდა და დაადგინა, რომ სახელგანთქმული ბალების ბაბილონში ყოფნის შემთხვევაში, არათუ ჩანჩქერებისთვის, მწვანე ნარგავებისა და ყვავილნარისთვის საჭირო წყლის მიწოდებაც გაჭირდებოდა.

*მომზადებულია history.com-ის მიხედვით*

# გადარჩა ის, ვინც ნადირობას უკით სწავლობდა


ამერიკელმა მეცნიერებმა უძველეს მონადირეთა კვალს მიაგნეს, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2 მილიონი წლით თარიღდება. ამის შესახებ განაცხადა მკვლევართა ჯგუფმა ბეილორის უნივერსიტეტიდან.

კენიაში, სამხრეთ კანჯერაში მეცნიერებმა განადგურებულ ცხოველთა ნაშთების მთელი ფენა იპოვეს. აქვე აღმოჩნდა მტკიცებულებები, რომ ჰომინიდები მტაცებელთა მსხვერპლი ცხოველების ნარჩენებითაც იკვებებოდნენ.

ამ ტიპის ნადავლს ნადირობით მოპოვებულ ხორციდან ერთად დიდი ადგილი რომ ეკავა, მეცნიერთა აზრით, ადგილზე ნაპოვნი ანტი-ილუპების მხოლოდ თავის ქალებიც მოწმობს. მათგან განსხვავებით, სხვა ცხოველთა ჩონჩხები მთლიანადაა შემორჩენილი.

კვლევის ავტორები ვარაუდობენ, რომ ჰომინიდები მტაცებლების, მათ შორის ლომებისა და აფთრების ნანადირევის თავებით იკვებებოდნენ. ქვის ინსტრუმენტების დახმარებით ადამიანის წინაპრები თავის ქალას ხსნიდნენ და ანტილოპას ტვინს იღებდნენ, რაც მტაცებელთათვის შეუძლებელი იყო.

ქვის ინსტრუმენტებით ძვლების დამუშავებამ და ნადირობამ უძველეს ადამიანებს შესაძლებლობა მისცა, რაციონი გაეფართოებინათ. დამატებითმა ენერგიამ კი ჰომინიდების ფიზიკურ თუ გონებრივ განვითარებასა და აფ-



ქვის იარაღებით უძველესმა ადამიანებმა რაციონი გაიფართოეს, რაც ვერ შეძლეს, მაგალითად, ნეანდერტალელებმა

რიკის ტერიტორიიდან მათ შემდგომ მიგრაციას შეუწყო ხელი.

უძველესი ადამიანების უნარმა, განვეითარებინათ ნადირობის სხვადასხვა სახეობა, მეცნიერთა აზრით, გადამწყვეტი როლი შეასრულა ჰომინიდების ამა თუ იმ სახეობის გადარჩენაში. წლეულს, მარტში, გამოქვეყნდა კვლევის შედეგები, რომელშიც ავტორები ნეანდერტალელთა გადაშენების მიზეზად იმას ასახელებდნენ, რომ მათ კურდღლებზე ნადირობა ვერ აითვისეს.

მომზადებულია Archaeology.com-ის მიხედვით



# TALIZI

## თქვენი გადარჩენის სანჯი

ტაშქენბის 27. ტელ: 2141515

### WWW.TALIZI.GE





# წმინდა ნეშტების „გასამართლება“

## ბოლშევიკური ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკის ნაშთები

*ლევანდის თანახმად, ღვთისმყოფარე ქართველ მეფე ბაგრატს სიზმრად ორი აზოვანი მხედარი გამოცხადებია ჯვრითა და ზმლით ხელში. მათ მეფისთვის უცნობებიათ, რომ არგვეთის მთაგორები იყვნენ, წმინდა დავით და კონსტანტინე მხედრეები. უთხოვიათ, ზარების ეკლესია აღადგინე და ჩვენი ნეშტებიც იქ გადააბრძანეო. დიდმა მეფემ აღასრულა ეს თხოვნა და მათ საფლავზე აშენებულ მონასტერში, ზარების ეკლესიაში დიდმოწამე წმინდანთა უზრჩვეული ნეშტები მლოცველთა თაყვანსაცემად დიდი, შავი ლუსკუშით დაასვენა.*

რვა საუკუნე განისვენებდნენ წმინდა მოწამენი უზრჩველნი და უვნებელნი, ქართველი ერისაგან დიდად პატივდებული, მეოხი გაჭირვებულთა, მხსნელი და მკურნალი ყოველთა სნეულებათაგან, ვიდრე საქართველოს არ მოველინა მურვან ყრუზე არანაკლები განსაცდელი — წითელ ჭირად შერაცხული ღვთისმგობი ბოლშევიკური ხელისუფლება, რომელმაც სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა წმინდა ეკლე-

სიას და ამით უდიდესი ვნება მოუტანა ერს. სოციალისტური რევოლუციის პირველივე წლებიდან დაიწყო ეკლესიის არნახული დევნა და დიდი ანტირელიგიური კამპანია. ჯერ კიდევ 1919 წელს ხელისუფლებამ დღის წესრიგში დასვა საკითხი ეკლესიასთან ცენტრალიზებული ბრძოლის შესახებ, ხალხში წმინდა ნაწილების თაყვანისცემის ჩვეულების აღმოსაფხვრელად. VIII ყრილობაზე მიღებულ



პარტიულ პროგრამაში საქვეყნოდ პირველად გაცხადდა ქრისტიანობის სრული ამოძიარების ამოცანა. პროგრამაში პირველ ეტაპზე აყენებდნენ „ეკლესიის კონტრრევოლუციური არსის მხილებისა და სამღვდლოების მიერ ხალხის საუკუნოვანი მოტყუების გამოაშკარაების“ მიზანს, რომლის განხორციელების მნიშვნელოვან გზას წარმოადგენდა წმინდა ნაწილების სახალხო გახსნა-განქიქება, შეურაცხყოფა და „მხილება“.

დიდი ანტირელიგიური კამპანია გაჩაღდა საქართველოს ყველა კუთხეში, მათ შორის იმერეთში. ღვთისმგმობთა უმთავრეს სამიზნეს მოწამეთაში დაბრძანებული წმინდა ნემტების განქიქება წარმოადგენდა, რისთვისაც წინასწარ მძაფრი იდეოლოგიური მუშაობა გასწია ქუთაისში გამოძავალმა პარტიული ორგანოს გაზეთმა „მუშა და გლეხი“.

„ხალხმრავალი მიტინგი (რამდენიმე ათასიანი) მოითხოვს ეკლესიისა და სამღვდლოების წინააღმდეგ დაწყებული შეტევის გაგრძე-

ლებას; კერძოდ, მოწამეთაში „წმინდანების“ დავით და კონსტანტინე მხეიძეების „ნაშთების“ გახსნას და ქუთაისის უმრევლო ეკლესიის, „სობოროს“ დახურვას“, — წერდა გაზეთი „მუშა და გლეხი“ 1923 წელს.

საქართველოს კომპარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებაში ნათქვამი იყო: „დაირღვეს საკათედრო ტაძარი (სობორო), მასალა გამოყენებულ იქნას ძმათა სასაფლაოს შემოსაღობად, იმ ადგილას კი გაფართოვდეს მოედანი და ტაძრის ადგილას დაიდგას ამხანაგ ლენინის ძეგლი“.

„1923 წლის 22 აპრილს ქუთაისის პეტრეპავლეს ტაძარი დაიხურა და გადაეცა წითელ არმიას. მიტინგზე სიტყვით გამომსვლელებმა ილაპარაკეს რელიგიისა და მისი მსახურების მოლაღატურ და მშრომელთა მასის დამმონებელ როლზე კაცობრიობის ისტორიაში. სამღვდლოებასა და რელიგიას საერთოდ აქვს ბურჟუაზიული ხასიათი და აშკარად ემარება კონტრრევოლუციას. შესრულდა ინტერნაციონალის ჰიმნი“. ასეთი წერილები იბეჭდებოდა გაზეთ „მუშა და გლეხის“ ყოველ ნომერში.

1923 წლამდე მოწამეთის მონასტერში მორწმუნეები ყოველთვის განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ წმინდა დიდმოწამე დავითისა და კონსტანტინეს წმინდა ნაწილებს. ყოველწლიურად იმართებოდა დიდი სახალხო-რელიგიური დღესასწაული „მოწამეთობა“ ანუ „ორწიფობა“.

1923 წლის აპრილში, ადღომის წინა კვირას, ვნების შვიდეულში, როცა ტაძარში ცისკრის ღოცვა მიმდინარეობდა, ვინმე უღირსმა მორჩილმა მიხაილამ მონასტრის შესასვლელი კარი ჩუმად გაუღო „უღმერთოთა კავშირის“ ჩასაფრებულ აქტივისტებს. ისინი ტაძარში შეიჭრნენ, თავს დაესხნენ მლოცველ ბერებს, დაარბიეს მონასტერი, ააწიოკეს და გაძარცვეს ეკლესია, გაიტანეს ძვირფასი ხატები, წიგნები, ჩამოგლიჯეს ზარები. მონასტრის დაცვას რამდენიმე ბერი შეეწირა. უღმერთოებმა წმინდა ნემტებს დააგლიჯეს კიდურები და ნაძარცვ ნივთებთან ერთად, მატარებლის ღია ვაგონით წაიღეს ქუთაისისკენ. იქ კი დროგზე დააწყვეს, ქუჩა-ქუჩა ხალხის დასანახად დაატარებდნენ და შეურაცხყოფდნენ. საუბედუროდ, სწორედ ეს იყო ანტირელიგიური კამპანიის მიზანი. თვითმხილველთა გად-





მოწამეთა. ადგილი, სადაც დავით და კონსტანტინე მხეიძეების წმინდა ნაწილები ასვენია

დავით და კონსტანტინე მხეიძეების წმინდა ნაწილები, რომლებიც მოწამეთაში ინახება



მოცემით, დროგზე შემდგარი ახალგაზრდა ათეისტი დიდმოწამე ძმების თავის ქალებს ერთმანეთს უკაკუნებდა და ქილიკობდა:

— აბა, ამ ძვლებს თუ რამე შეუძლია, მე მაენოსო!

გაზეთი „მუშა და გლეხი“ ამ მოვლენას ასე ეხმაურებოდა: „ბოლო მოელო საზიზღარ მატყუარობას და ხალხის ყვლეფას. გაიხსნა წმინდანთა ნეშტები, რომლებიც აღმოჩნდა დაბინძურებული, დამტვერილი ძვლები, ვინ იცის ვინ? ზღვა ხალხი იყო ამის მოწმე. პასუხი უნდა მოეთხოვოს იმ მღვდლებს, ვინც საუკუნეების განმავლობაში ატყუებდა ხალხს და ის ქელებდა ჯიბეს“.

„ძვლები ხალხს უჩვენეს. ისინი მონასტრის ეზოში ჩამწკრივებულნი ელოდნენ თავის რიგს. მალეობ ადგილზე ჩნდება ამხანაგი ვალია ბახტაძე, მას ხელში უჭირავს თავის ქალა და უხსნის ხალხს, რა ხერხს მიმართავდა საუკუნეების განმავლობაში სამღვდლოება ხალხის მოტყუება-მარცვისთვის. შემდეგ ხალხი მატარებლით წვიდა ქუთაისისკენ, „ნაშთებიც“ თან წაიღეს. მატარებელი ძალიან ნელა მოძრაობდა, რომ ღიანდაგებს მომწყდარ ხალხს დაეთვალიერებინათ. ქუთაისის სადგურზე ვ. ბახტაძემ ისევ თქვა სიტყვა და უჩვენა ხალხს ძვლები. შემდეგ ისინი წაიღეს პროფკავშირებში. პროფკავშირების წინ გაიხსნა მიტინგი. გამოვიდნენ ვ. ბახტაძე და ი. ხარაბაძე. „ბედნიერია ხალხი, რომელსაც ედირსა თვალების ახელა, მაგრამ ჯერ კიდევ არიან უგუნურნი, გონებადანშულები, ცრუმორწმუნენი, რომლებიც გაიძახიან, რომ ამ ნეშტების შეურაცხყოფისთვის ქვეყანას საშინელება მოეღის“, — წერდა გაზეთი.

ხალხისთვის იმის დასამტკიცებლად, რომ წმინდა ნეშტებში თითქოსდა არაჩვეულებრივი არაფერი იყო, ღვთისმგებლობა გაზეთში გამოაქვეყნეს სამედიცინო კომისიის დაწერილებითი ოქმი „დავით და კონსტანტინე მხეიძეების ნეშტების გახსნის შესახებ“, სადაც იუწყებიან, რომ ქუთაისის ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების პრეზიდენტის წინადადებით სპეციალისტთა და ექსპერტთა ჯგუფმა (ჩამოთვლილია სრული შემადგენლობა) მოახდინა ნეშტების დათვალიერება. სამედიცინო კომისიის დასკვნაში ხაზგასმულია, რომ მეცნიერება იცნობს არა მარტო ადამიანების, არამედ ცხოველების ძვლების

შენახვის ბევრ შემთხვევაში (ავსტრალიაში, იტალიაში, ეგვიპტეში, რუსეთში და სვანეთშიაც კი). ეს ხდება როგორც ხელოვნური, ისე ბუნებრივი გზით და სხვადასხვა გარემო ფაქტორის ზემოქმედებით აიხსნება და რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მხეიძეების ნეშტების შენახვაში არაბუნებრივი და სასწაულებრივი არაფერი იყო“.

ოქმის ბოლოს არის სამედიცინო კომისიის პასუხი რამდენიმე კითხვაზე:

„კითხვა: მეცნიერული თვალსაზრისით გიგიენურია თუ არა ასეთი ჩონჩხების შენახვა და რამდენიმე ათასი კაცის კოცნა მისი ან მისი შესანახი ყუთის?“

პასუხი: არ არის გიგიენური.

კითხვა: მეცნიერული თვალსაზრისით რა უფრო გიგიენურია, ჩონჩხის შენახვა, მიწაში დამარხვა თუ დაწვა?

პასუხი: დაწვა.

კითხვა: მაშინ რატომ არ მიმართავენ ამ საშუალებას და შემოღებულია სხვა წეს-ჩვეულებები?

პასუხი: მეცნიერული თვალსაზრისით დაწვა უფრო გიგიენურია, მაგრამ ამ საშუალებას არ ხმარობენ სარწმუნოებრივი და ეკონომიური მიზეზების გამო, რადგან კრემატორიუმი ძვირი ჯდება“.

ამ დასკვნის აქცენტირებული ტირაჟირების მიზანი იყო წმინდანთა ნეშტების ბედის საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანისა და მათი სრული განადგურების სურვილი.

„უღმერთოთა კავშირმა“ წმინდანთა ნეშტებს მოუწყო „სახალხო სასამართლო“, მიტინგზევე წაუყენა ბრალი „მრავალი საუკუნის განმავლობაში ხალხის მოტყუებისთვის“ და მიუსაჯა რიონში გადაყრა.

„ჯოჯოხეთური პროცესია“ ქუთაისის ქუჩებში დროვით დადიოდა და სიწმინდეთა უდიერად მოპყრობას განაგრძობდა. უღმერთოებმა ათეისტური მიტინგებით შემოიარეს ცენტრალური ქუჩები და განაჩენის აღსასრულებლად რიონის პირს მიუახლოვდნენ. ის იყო ხიდზე უნდა შემდგარიყვნენ, რომ მოხდა სასწაული, რომლის შესახებ წლების განმავლობაში ყველა თვითმხილველი გაცხადებით ყვებოდა: აპრილის ამ შზიან დღეს ატყდა ძლიერი ქარბუქი, წამოვიდა თავსხმა წვიმა და სეტყვა. ელვისა და ჭექა-ქუხილისგან კი ჩამობნელდა. რიონის მხრიდან ისეთი სეტყვაშერე-



წმინდა მოწამეების, დავით და კონსტანტინე მხეიძეების ხატი

ული წვიმა მოდიოდა და ქარიშხალი ამოვარდა, რომ პროცესია შეჩერდა და წინ ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოახერხა, ამიტომ უღმერთოთა კავშირის წევრები იძულებულნი გახდნენ, წმინდა ნაწილების წყალში გადაყრა გადაედოთ.

ამ შეფერხებით ისარგებლა ჭეშმარიტმა ქრისტიანმა და საზოგადო მოღვაწემ, ქუთაისის საისტორიო საზოგადოებისა და მუზეუმის დამარსებელმა ტრიფონ ჯაფარიძემ და სასწრაფოდ დაუკავშირდა რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმმართველობის გამგეს, ვუკოლ ბერიძეს, რომელმაც დაარწმუნა ბოლშევიკური მთავრობის წევრები, რომ დავით და კონსტანტინე მხეიძეები იყვნენ ერის სახალხო გმირები და მათი ნეშტები ფასდაუდებელი სამუზეუმო ექსპონატები იქნებოდა. ამის შედეგად თბილისიდან მოსული ბრძანების შესაბამისად, ტრიფონ ჯაფა-







მოწამეთის სამონასტრო კომპლექსი

2) მოწამეთის პლათფორმა მოხსნილ იქნეს, რადგან მის ახლოს არც სოფელი და სხვა დასახლებული პუნქტი არ არის, რომლისთვისაც საჭიროა პლატფორმით სარგებლობა“.

მოგვიანებით ამ საკითხზე სამაზრო კომიტეტმა გამართა პრეზიდენტის მეორე სხდომაც, რომლის ოქმშიც ვკითხულობთ:

„მოისმინეს: ცეკადან მოსულია ცნობა იმის შესახებ, რომ მოწამეთის ყოფილი მონასტერი განთავისუფლდეს ბერებიდან და გაიხსნას იქ საბავშვო სახლი.

დაადგინეს: მოწამეთას ყოფილი მონასტრის შენობა საბავშვო სახლათ, ან სხვა რაიმე დაწესებულებათ გამოუხადებია.

განმეორებულ იქნას ჩვენი შუამდგომლობა ცეკას წინაშე, ამ მონასტრის სავესტის ლიკვიდაციისა და რეინიგზის პლატფორმის გაუქმების შესახებ“.

ამის მერე მოწამეთას მონასტრიდან ბერები გამოაძევეს, მღვდელთმსახურება აკრძალეს, ხოლო ეკლესია ბოლომდე გაძარცვეს,

ნაწილობრივ დაანგრის და დალუქეს.

დავით და კონსტანტინეს წმინდა ნაწილები 31 წლის განმავლობაში დაბრძანებული იყო ქუთაისის მუზეუმში. მორწმუნე მრევლი ფარულად მაინც ახერხებდა მიახლებოდა და თაყვანი ეცა სიწმინდეებისთვის. საქართველოს საპატრიარქო და ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსები მთელი ამ ხნის განმავლობაში განუწყვეტლვ ცდილობდნენ, მაგრამ ბოლშევიკური რეჟიმი დაჟინებით ეწინააღმდეგებოდა წმინდა ნაწილების მოწამეთის ტაძარში გადაბრძანებას.

სამართლიანობის აღდგენა ქართული სამღვდელთმსახურებისა და ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის გაბრიელის (ჩაჩანიძე) შეუპოვარი ბრძოლისა და მცდელობის შედეგად მხოლოდ 1954 წელს მოხერხდა და წმინდა დავით და კონსტანტინეს ნეშტები დიდი პატივითა და მორწმუნეთა სახალხო მსვლელობით, მოწამეთის აღდგენილ ტაძარს დაუბრუნდა.

**ანდრო ჩაჩანიძე**





მეფე თბილისი

# ერეკლე II-ის თავსატეხი

ბეორბიემგსკის ტრაქტატი (1783 წ.)

წერილი პირველი

*ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის პრორუსული ორიენტაციის კრაზმა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო არა მარტო ქართლი, არამედ კახეთიც. ისლამური სამყარო (ირანი, ოსმალეთი, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები) საფრთხის წინაშე დადგა. რუსეთის შემოჭრა სამხრეთ კავკასიაში ვახტანგ VI-ისთვის ქართლის გადარჩენას ნიშნავდა, ხოლო ისლამური სამყაროსთვის — უაღრესად დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. ამ ძნელბედობის ფაქტს ქართლისა და კახეთის სამეფოებს მხსნელად მოველინენ კახეთის სამეფოს სახლის წარმომადგენლები — ერეკლე I ნაზარ-ალი-ხანის უმცროსი ძე თეიმურაზი (მომავალი მეფე თეიმურაზ II) და მისი ძე ერეკლე (მომავალი მეფე ერეკლე II).*

XVIII საუკუნის 20-იან წლებში სეფიანთა ირანი ისე დასუსტდა, ლამის იყო, ერთ დროს უძლიერესი სახელმწიფოს ტერიტორია რუსეთმა და ოსმალეთმა გადაინაწილეს. ვითარება კარდინალურად შეცვალა სამოღვაწეო ასპარეზზე ირანის სამხედრო მინისტრ ნადირ-ხანის გამოსვლამ. ნადირ-ხანმა (1737 წელს იგი ირანის შაჰი გახდა) აუღანელები სასტიკად დაამარცხა, ძლიერი დარტყმა მიაყენა ოსმალეთს და რუსეთიც აიძულა, წინა წლებში დაკავებული ირანის ტერიტორიები დაეტოვებინა. თეიმურაზმა და ერეკლემ ზუსტად

შეათვისეს სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში შექმნილი ძალთა ახალი თანაფარდობა და 1735 წელს პროირანული ორიენტაცია ირჩიეს. ირანისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო თეიმურაზისა და ერეკლეს მიმხრობა. პროირანული ორიენტაციის თეიმურაზისა და ერეკლეს დახმარებას ნადირ-შაჰისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო სამხრეთ კავკასიაში რუსეთის შემოჭრის შემთხვევაში, არამედ დაღესტნის დასამორჩილებლად წარმოებულ ომშიც. ყოველივე ეს კარგად გაითვალისწინა ნადირ-შაჰმა. 1744 წელს



*ძველი სანქტ-პეტერბურგი*

მან თეიმურაზი ქართლის, ხოლო ერეკლე — კახეთის მეფედ დაამტკიცა. თეიმურაზ II და ერეკლე II პროირანულ ორიენტაციას ინარჩუნებდნენ ნადირ-შაჰის მკვლელობის (1747 წ.) შემდეგაც ორ ათეულ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში.

ქერიმ-ხანის მმართველობის წლებში ირანი ძალიან დასუსტდა. ერეკლე II ვარაუდობდა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში რუსეთის შეპოვების შემთხვევაში, ირანი რუსეთს სათანადო წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. რამდენადაც ქართლ-კახეთისთვის პროირანული ორიენტაცია მომგებიანი იყო ძლიერი ირანის არსებობის პირობებში, იმდენად წამგებიანი იქნებოდა იგი ირანის დასუსტების შემთხვევაში. ერეკლე II-მ პრორუსული ორიენტაციისთვის ნიადაგის მოსინჯვა დაიწყო. მეფე არ ჩქარობდა, მაგრამ 1768 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებამ ერეკლე II-ს პრორუსული ორიენტაციის რეალიზების იმედი ჩაუსახა. ერეკლე II ამით იმდენად იყო დაინტერესებული, რომ რუსეთის იმპერიასთან ნაკლებად მომგებიან და საფრთხის შემცველ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირსაც დასთანხმდა და 1770 წლის გაზაფხულზე რუსეთის მხარეზე ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაება. ოსმალეთთან ომის პირობებში იმპერატორი ეკატერინე II (1762-

1796) ირანის ვასალურ ქვეყანაში ჯარს არ გამოგზავნიდა. რუსეთის, ქართლ-კახეთისა და იმერეთის შეთანხმების საფუძველზე გადაწყდა, რომ ოფიციალურად რუსეთის ჯარი იმერეთის სამეფოში გაიგზავნებოდა (იმერეთის სამეფო ოსმალეთის გავლენის სფეროდ მიიჩნეოდა და ოსმალეთთან ომში ჩაბმული რუსეთი, ცხადია, იქ ჯარის გაგზავნისგან თავს არ შეიკავებდა). შემდეგ ეს ჯარი იმერეთის სამეფოს ჯართან ერთად აღმოსავლეთ საქართველოში გადავიდოდა და რუსეთის, ქართლ-კახეთისა და იმერეთის ჯარები ერთად დაიძრებოდნენ სამცხე-ჯავახეთის (აწყურის, ხერთვისის, ახალციხის, ახალქალაქის) ოსმალთა ბატონობისგან გასათავისუფლებლად.

რას იგებდნენ რუსეთისა და იმერეთ-ქართლ-კახეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირიდან ეკატერინე II, სოლომონ I და ერეკლე II? ეკატერინე II სამხრეთ კავკასიაში საბრძოლო მოქმედებების დაწყებით შემდეგ მიზანს ისახავდა — ოსმალეთი იძულებული გახდებოდა, სამცხე-ჯავახეთში ჯარისა და არტილერიის ნაწილი დაეტოვებინა. სოლომონ I-ს შანსი ეძლეოდა იმერეთში ოსმალეთის გავლენა ან საერთოდ მოესპო, ან საგრძნობლად შეესუსტებინა. ერეკლე II-ს ამით შეეძლო, სამცხე-ჯავახეთი დაებრუნე-





კატერინე II

ნადირ-შაჰი



ბინა. ერეკლე II-ის მოქმედება არ იყო ბოლომდე ზუსტად გათვლილი: პირველი ის იყო, რომ ირანის ვასალი ქართლ-კახეთის სამეფო ომში ებმებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ, რაც მნიშვნელოვნად გაართულებდა ირან-ოსმალეთის ურთიერთობას. ოსმალეთი ირანს ურჩი ვასალის (ერეკლე II-ის) დასჯას მოსთხოვდა. მეორე ის გახლდათ, თუ ვის უნდა გადასცემოდა ტერიტორია სამცხე-ჯავახეთიდან ოსმალეთის განდევნის შემდეგ. ცხადია, სამცხე-ჯავახეთი ქართლ-კახეთს უნდა რგებოდა. ასეთ გადაწყვეტილებას საზავო მოლაპარაკებისას ოსმალეთის პროტესტი მოჰყვებოდა. ოსმალეთისთვის სამცხე-ჯავახეთის ქართლ-კახეთის სამეფოსთვის გადაცემა ამ ტერიტორიის ირანის მფლობელობაში გადასვლას ნიშნავდა, რადგან ოსმალეთ-ირანის ურთიერთობაში ქართლ-კახეთის სამეფო ირანის ვასალად განიხილებოდა. ამრიგად, სამცხე-ჯავახეთის ქართლ-კახეთის სამეფოსთვის გადაცემით (თუკი ეს მაინც მოხდებოდა) ერეკლე II სამომავლოდ ოსმალეთს უპირისპირდებოდა. საბოლოოდ კი ქართლ-კახეთის სამეფო სამცხე-ჯავახეთს მაინც ვერ შეინარჩუნებდა. ვერ შეინარჩუნებდა არა მარტო ოსმალეთთან მოსალოდნელი ომის შემთხვევაში, არამედ მანამდეც.

აღსანიშნავია, რომ ჭარ-ბელაქანში მოკალათებული დაღესტნელების (ლეკების) მიერ ქართლ-კახეთის მარცვასა და იქიდან ადამიანთა გატაცებას მხოლოდ მაშინ ჰქონდა აზრი, თუ ისინი ნაძარცვსა და ტყვეებს ახალციხის გზით ოსმალეთში გაჰყვებდნენ. ასე რომ, აწყურის, ხერთვისის, ახალციხისა და ახალქალაქის ციხეებში ქართლ-კახეთის ჯარის ჩაყენებით (ზოგადად, მდინარე მტკვრის ხეობის ნაწილზე ქართლ-კახეთის სამეფოს კონტროლის დაწესებით) დაღესტნელები გასაღების ბაზრის გარეშე რჩებოდნენ. ახალციხის გზით ტყვეთა ბაზრის მომარაგებით ოსმალეთი ძალიან იყო დაინტერესებული. ეს კი ნიშნავდა, რომ ჭარ-ბელაქანისა და სამცხე-ჯავახეთის პრობლემა ერთ პრობლემად იქცეოდა და ერეკლე II-ს დიდ თავსატეხს უჩენდა. სამცხე-ჯავახეთის შენარჩუნებისთვის აუცილებელი ეკონომიკური სახსარი და ჯარი ქართლ-კახეთის სამეფოს არ გააჩნდა. ამ ტერიტორიის შენარჩუნება ვერც რუსთა მცირე რაზმით (1000-2000 კაცი) იქნებოდა შესაძ-

ლებელი. მესამე, სამცხე-ჯავახეთის შემოერთების შემთხვევაში ერეკლე II სხვა დიდი პრობლემის წინაშეც დგებოდა: ქართლ-კახეთის სამეფო ოფიციალურად ხდებოდა ორი დიდი სახელმწიფოს — ირანისა და ოსმალეთის დანტერესების, ანუ აგრესიის ობიექტი. ამრიგად, რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, წარმატების შემთხვევაშიც, ქართლ-კახეთის სამეფოს სასიკეთოს არაფერს მოუტანდა.

რა იყო მიზეზი, რომ პრორუსული ორიენტაციის ერეკლე II ასე ნაჩქარევად, დიდი ფიქრისა და განსჯის გარეშე ჩაება ოსმალეთის წინააღმდეგ ომში? ამ მოვლენას ერთდერთი ახსნა აქვს. ერეკლე II-მ იგრძნო, რომ რუსეთ-იმერეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ქართლ-კახეთის გარეშეც შედგებოდა. ისიც ცხადი იყო, რომ რუსეთისა და იმერეთის გაერთიანებული ჯარი სამცხე-საათაბაგოზე ილაშქრებდა — აწყურის, ხერთვისის, ახალციხისა და ახალქალაქის დაკავებას შეეცდებოდა. ერეკლე II მიიჩნევდა, რომ სამცხე-საათაბაგო ქართლ-კახეთის სამეფოს ნაწილი იყო და თუ ეს ტერიტორია ოსმალეთის ბატონობისგან გათავისუფლდებოდა, იგი ქართლ-კახეთის სამეფოს შემადგენლობაში უნდა შესულიყო. ერეკლე II-მ ისიც კარგად იცოდა, რომ რუსეთის საიმპერატორო კარს ქართველი მეფის პროირანული ორიენტაცია არ მოეწონებოდა. ქართლ-კახეთის ნეიტრალიტეტი რუსეთის იმპერატორს კიდევ უფრო გააღიზიანებდა და გამორიცხული არ იყო, ომში წარმატების შემთხვევაში სამცხე-საათაბაგო ეკატერინე II-ს იმერეთის მეფისთვის ებოძებინა...

რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომში ჩაბმა, როგორც იმერეთის მეფის სოლომონ I-ის, ისე ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის მხრიდან, დიდი სტრატეგიული შეცდომა იყო. ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმა გამართლებული იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი სამხრეთ კავკასიაში დიდ სამხედრო ძალებს გადმოიხრებდა და რეგიონიდან ოსმალეთის გამეუბლებას დაისახავდა მიზნად. ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს უნდა ეგრძნოთ, რომ რუსეთი სამხრეთ კავკასიაში დიდი ომის წარმოებას არ აპირებდა. ამის დამადასტურებელი ცნობები



ერეკლე II

სოლომონ I







გენერალი გოტლიბ-კურტ ჰენრიხ ტოტლებენი

ორივე მეფეს საკმაოზე მეტი ჰქონდათ. რუსეთის მხარეს ომში ჩაბმით ერეკლე II-მ და სოლომონ I-მა მძიმე მდგომარეობაში ჩაიგდეს თავი. სოლომონ I-ს ომის დასაწყისისთვის უკვე მოგვარებული ჰქონდა ურთიერთობა ოსმალეთთან (იმერეთისადმი ოსმალეთის დამთმობი პოლიტიკა რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებამდე იყო განპირობებული). ომში ნეიტრალიტეტით იმერეთის მეფე ოსმალეთის სულთნის კეთილგანწყობილებას დაიმსახურებდა. კიდევ უფრო დიდი შეცდომა დაუშვა ერეკლე II-მ. თბილისიდან გაძევებულმა ოსმალეთის ელჩებმა შეიტყვეს, რომ ომში ნეიტრალიტეტის თაობაზე მოლაპარაკების შეწყვეტისა და მათი ქვეყნიდან გაძევების მიზეზი თბილისში რუსეთის წარმომადგენლის ჩამოსვლა იყო. ასეთი ქმედებით ერეკლე II-მ ოსმალეთთან ურთიერთობა გაართულა. უმთავრესი კი ის გახლდათ, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მხარეზე ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმა დიდ მღელვარებას იწვევდა ირანში და ძაბავდა არა მარტო ქართლ-კახეთისა და ირანის ურთიერთობას, არამედ ქართლ-კახეთისა და

ოსმალეთის ურთიერთობასაც. არც სოლომონ I-სა და არც ერეკლე II-ს 1769 წელს არ შეიძლება სცოდნოდათ უმთავრესი: რით დამთავრდებოდა რუსეთ-ოსმალეთის ომი. ომში გამარჯვების შემთხვევაში, ოსმალეთი იმერეთს სასტიკად ააოხრებდა. კარგი დღე არც ქართლ-კახეთს დაადგებოდა. ასე რომ, მეფეები ყოველმხრივ გაუმართლებელ რისკზე მიდიოდნენ.

რუსეთ-ოსმალეთის ომმა (1768-1774 წწ.) ერეკლე II-ის იმედები ვერ გაამართლა. ცხადი გახდა, რომ რუსეთი სამხრეთ კავკასიაში ოსმალეთის წინააღმდეგ ფართომასშტაბიან საბრძოლო ოპერაციებს არ გეგმავდა. გენერალ გოტლიბ-კურტ ჰენრიხ ტოტლებენის სარდლობით საქართველოში შემოსული რუსის ჯარი იმდენად მცირე იყო, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ ომისთვის არ იკმარებდა. ამას დაერთო გენერალ ტოტლებენის ავანტიურა, რომლის მიზანი ერეკლე II-ის ტახტიდან ჩამოგდება იყო. მართალია, ერეკლე II-მ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა აღკვეთა, მაგრამ ოსმალეთის წინააღმდეგ ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ლაშქრობა ჩაიშალა.

ერეკლე II-ს ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმას სულთანი, ცხადია, არ აპატიებდა. ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარის გამოჩენა მიუღებელი იყო ირანისთვისაც. ასე რომ, ერეკლე II-მ ერთდროულად გაართულა ურთიერთობა როგორც ოსმალეთთან, ისე ირანთან. ქართლ-კახეთის მეფემ გამოცდილებით კარგად იცოდა, რომ მომხდარის შემდეგ ირანთან და ოსმალეთთან ძველი ურთიერთობის აღდგენა წარმოუდგენელი იქნებოდა — ერეკლე II-ს აღარ ენდობოდნენ. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილმა ქართლ-კახეთის მეფემ რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლაზე დაიწყო ფიქრი.

დღეს არ შეგვიძლია გადაჭრით ვუპასუხოთ კითხვას, შეეძლო თუ არა ერეკლე II-ს ძველი ურთიერთობის აღდგენა ირანთან და ოსმალეთთან. როგორც ჩანს, მეფემ მიიჩნია, რომ ეს შეუძლებელი იყო და სანამ ირანისა და ოსმალეთის უკმაყოფილება სამხედრო აგრესიაში გადაიზრდებოდა, მანამ რუსეთის მფარველობა უნდა მოეპოვებინა.



ილია  
ცვეტკოვი

# ეროვნული კლავი სოციალისტთა რკალში

## ეროვნულ- დემოკრატიული პარტია

ქართულ პოლიტიკოსთა  
ბალერა

*კონსტანტინე გამსახურდიამ შენიშნა ერთხელ, — ილია ცვეტკოვი მსოფლიო ტენდენციის წინააღმდეგ მოუწია ბრძოლაში. მწერალი XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიოსა და შესაბამისად, რუსეთის იმპერიასა და საქართველოში ეპიდემიასავით გავრცელებულ სოციალისტურ მოძრაობას გულისხმობდა. საქართველოში მოქმედი ყველა პოლიტიკური ჯგუფი და პარტია სოციალისტური იყო, გარდა ერთი მიმდინარეობისა, რომელიც დიდი ილიას შემკვიდრებასა და მიმდევრობაზე აცხადებდა პრეტენზიას. ამ მიმდინარეობას ეროვნულ-დემოკრატიული წარმოადგენდნენ.*

სოციალ-დემოკრატებმა, ილიას მსგავსად, ეროვნულ-დემოკრატიული თავიდანვე ამოიღეს მიზანში და მწვავედ დაუპირისპირდნენ.


მეორე მხრივ, ეროვნულ-დემოკრატიების ბუნებრივი მტერი რუსეთის იმპერიის ხელისუფლება იყო, რომელიც ყველანაირად ცდილობდა, ქართველ ხალხში ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები არ გავრცელებულიყო. ეროვნულ-დემოკრატიების უპირველესი საზრუნავი და მიზანი კი ქართული სახელმწიფოს აღდგენა გახლდათ. ასე აღმოჩნდნენ ილიას პოლიტიკური შემკვიდრებები ორმაგ შეტევათა მსხვერპლნი, რამაც შედეგად ის გამოიწვია, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბება საქართველოში თითქმის ოც წელიწადს გაჭიანურდა.

პირველად ეროვნულ-დემოკრატიული პო-

ნიკო ნიკოლაძე







ექვთიმე თაყაიშვილი

ლიტიკური ორგანიზაციის შექმნა ქართველ-მა სტუდენტებმა სცადეს. ჯერ კიდევ 1892 წელს იმპერიის უნივერსიტეტების სტუდენტებმა ჩამოაყალიბეს ფარული ორგანიზაცია „საქართველოს თავისუფლების ლიგა“. ორგანი-

ნინო ჩერქეზიშვილი და გიორგი გვაზავა



ზაციის პროგრამის ერთ-ერთი პროექტის ავტორი გახლდათ შემდგომში ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გვაზავა. საბოლოოდ მიღებული პროგრამა მოითხოვდა კავკასიის ხალხების დამოუკიდებლობასა და მათ ერთ ფედერაციაში გაერთიანებას. „ქართველებო, — ასე მთავრდებოდა ორგანიზაციის პროგრამა, — ლიგა უკანასკნელად შეგახსენებთ ჰამლეტისეულ კითხვას — ყოფნა თუ არყოფნა! ვთქვათ ყოფნა და შევუდგეთ მოქმედებას“. სამწუხაროდ, დიდხანს მოქმედება ვერ შეძლეს. 1894 წელს იმპერიის სპეცსამსახურებმა „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ კვალს მიაგნეს და გაანადგურეს.

1890-იანი წლების ბოლოს ეროვნულ-დემოკრატიულად განწყობილმა ერთმა ჯგუფმა ჟურნალ „მოამბის“ გარშემო მოიყარა თავი. ჟურნალი ეროვნული ბურჟუაზიის გაძლიერებისთვის იღვწოდა და საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებას ასაბუთებდა — ნიკო ნიკოლაძის, გიორგი ზდანოვიჩი-მაიაშვილისა თუ იაკობ ფანცხავას პუბლიცისტური წერილებით. შემდგომში მოამბისტები ახალგაზრდა ივერიელებთან გაერთიანდნენ. 1904 წელს ეროვნულ-დემოკრატი ჯგუფი ახალჩამოყალიბებულ სოციალისტ-ფედერალისტთა

პარტიაში შევიდა და პარტიის მემარჯვენე ფრთა შეადგინა.

კი მაგრამ, რა საერთო ჰქონდათ კერძო საკუთრების დამცველ ეროვნულ-დემოკრატიებს ქართული სოციალიზმის სხვადასხვა ნაირსახეობასთან: მაგალითად, სოციალისტ-ფედერალისტებთან, რომლებიც კერძო საკუთრებას ეჭვით უყურებდნენ; ან ანარქისტებთან, რომელნიც პიერ ჟოზეფ პრუდონის მტკიცებით, კერძო საკუთრებას ქურდობად და სოციალური ბოროტების წყაროდ მიიჩნევდნენ? იყო ერთი საერთო და უპირველესი მიზეზი, რამაც ეროვნულ-დემოკრატიები სოციალისტ-ფედერალისტებსა და ანარქისტებთან მიიყვანა და მათთან გააერთიანა — ქართული სახელმწიფოს აღდგენისთვის საერთო ბრძოლა. საერთო ეროვნულმა მიზანმა მიიყვანა ფედერალისტურ ბლოკისტურ პარტიაში შემდგომში ცნობილი ეროვნულ-დემოკრატიები: რევაზ გაბაშვილი, სპირიდონ კეღია, შალვა ამირეჯიბი, ივანე ზურაბიშვილი და სხვანი.

თუმცა გაერთიანება ხანგრძლივი მანძილზე არ აღმოჩნდა. ეროვნულ-დემოკრატიებს არ მოსწონდათ ფედერალისტების სოციალისტური ფრაზეოლოგია და დამოუკიდებელი პარტიის ჩამოყალიბება სურდათ, რომელსაც გამოკვეთილი ეროვნული მიზნები ექნებოდა. იმდროინდელ ქართველ საზოგადოებაშიც ტრიალებდა ეროვნული მიმართულებების ვგუფების გაერთიანებისა და პოლიტიკურ პარტიად ორგანიზების იდეა. 1905 წლის შემოდგომაზე პატრიოტულად განწყობილი საზოგადოების ერთი ნაწილი ალექსანდრე ორბელიანის სახლში შეიკრიბა, რომელმაც გაიზიარა კიტა აბაშიძის წინადადება, საქართველოში შექმნილიყო სოციალისტ-ფედერალისტებთან შედარებით „უფრო გარკვეული ეროვნული ხაზის მიმართულება“.

რაც მთავარია, ეროვნული პარტიის შექმნის აზრს მხარი დაუჭირა შეკრებაზე მყოფმა ილია ჭავჭავაძემ, რომელიც ენერგიულად ამოუდგა მხარში თავის ახალგაზრდა თანამოაზრეებს. დაახლოებით იმავე ხანებში, ილია ჭავჭავაძის ინიციატივით, სათაუდაზნაურო ბანკის შენობაში მოიწვიეს „ყრილობა“. ივანე ზურაბიშვილის ბიოგრაფთა გადმოცემით, ყრილობას ესწრებოდნენ: ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი გვაზაფა, ნიკო თევდგირიძე, პავლე თუმანიშვილი... ილიამ შეკრებილთა წინაშე წა-



პეტრე ზურგულაძე



რევაზ გაბაშვილი



დავით გაბაშვილი





სხედან: ნიკო ნიკოლაძე, აკაკი ჩხენკელი და ზურაბ ავალიშვილი; დგანან: სპირიდონ კეღია, გიორგი მაჩხელი და მიხაკო წერეთელი (1917 წ.)

მოაყენა „ეროვნული და დემოკრატიული მოძრაობის“ შექმნის წინადადება. გიორგი გვაზავას მონაწილეობით შეიმუშავეს ახალი პარტიის პროგრამაც, რომელიც ჯერ გაზეთმა „ცნობის ფურცელმა“ გამოაქვეყნა, ხოლო შემდეგ ათი ათას ცალად გამოსცეს. ამ პარტიას რამდენჯერმე შეუცვალეს სახელი და სხვადასხვა ვარიაციით მოიხსენიებოდა. როგორც არჩილ ჯორჯაძე წერდა: იმ ხანებში „ქართველ პოლიტიკურ პარტიებს მიემატა ერთი ახალი პარტია, რომელმაც ქართველ დემოკრატთა პარტიის ანუ ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტიის სახელი დაირქვა“. 1906 წლის აპრილში პეტერბურგის გაზეთი „სტრანა“ აღნიშნავდა: „შეიქმნა ქართული დემოკრატიული პარტია, ამასთან საქართველოს ავტონომია წამოყენებულია, როგორც პროგრამის ძირითადი პუნქტი. არჩეულია პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ ქართველი ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები. პარტიის პროგრამის შედგენაში ენერგიული მონაწილეობა მიიღო სახელმწი-

ფო საბჭოს წევრად არჩეულმა თავადმა ჭავჭავაძემ“.

ახალი წმინდა ეროვნული პოლიტიკური პარტიის დაარსებამ საგრძნობი საფრთხე შეუქმნა როგორც მემარჯვენეებს, ისე მემარცხენეებს. ეროვნული იდეის პოპულარობა არ მოსწონდათ არც მემარცხენე სოციალ-დემოკრატებსა და არც მემარჯვენე მონარქისტებს, ორივე ეს ბანაკი დაინტერესებული იყო რუსეთის სახელმწიფოს ერთიანობით. განსაკუთრებით გასშირდა ორივე ბანაკის თავდასხმები ილია ჭავჭავაძეზე, რომლის გარშემო სულ უფრო მჭიდროვდებოდნენ ეროვნული ძალები, რომელნიც ავტონომიის ფორმით ქართული სახელმწიფოს აღდგენისთვის იბრძოდნენ. ანტიეროვნული და ანტიჭავჭავაძისტური პროპაგანდისტული ისტერია 1907 წლის 30 აგვისტოს, ილიას მკვლელობით დამთავრდა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ფორმირების პროცესი კიდევ ერთხელ შეფერხდა და დიდი ხნითაც.

1909-1910 წლებიდან იწყება ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის ახალი აღმავლო-

ბა. რადგან პარტიად ორგანიზება ვერ შეძლეს, ახლა ეროვნულ-დემოკრატიები ზედიზედ აარსებენ ერთიმეორეზე უკეთეს შურნალ-გაზეთებს და მათ გარშემო ჯგუფდებიან. შურნალები: „ერი“, „კლდე“, „თავისუფალი საქართველო“; გაზეთები: „იმერეთი“, „სამშობლო“, „საქართველო“... თითოეული მათგანი ეროვნული თავისუფლების იდეის პოპულარიზატორი იყო და ხელისუფლების მკაცრ დევნას განიცდიდა. შურნალ-გაზეთებს ხურავდნენ, დროებით ან სამუდამოდ კრძალავდნენ, რედაქტორებსა და თანამშრომლებს ასახლებდნენ, დევნიდნენ.

მაგრამ ეროვნულ-დემოკრატიები პირველნი იყვნენ ახალი დროის პოლიტიკურ სფეროში, რომლებმაც საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნა და მიზანი ადადგინეს და დღის წესრიგში შეიტანეს. ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობა ცდილობდა საკუთარ თავზე პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღებას. ამის გამო, საქართველოში მოქმედი ეროვნულ-დემოკრატიები კვლავ ავტონომიის მოთხოვნით კმაყოფილდებოდნენ, რათა მსოფლიო ომში ჩაბმული რუსეთის იმპერიის რისხვა თავიდან აეცილებინათ. სამაგიეროდ, ევროპაში მოღვაწე ეროვნულ-დემოკრატიულმა ჯგუფებმა ღიად ადადგინეს დამოუკიდებლობის ღოზუნგი.

ჯერ კიდევ 1910 წელს საზღვარგარეთ მოხვედრილი ეროვნულ-დემოკრატიული და სხვა მიმართულებების წარმომადგენლებმა, ფენევაში შექმნეს „თავისუფალი საქართველოს ჯგუფი“. მისი მთავარი ფიგურა იყო პეტრე სურგულაძე, ხოლო აქტიური წევრები: ნესტორ მაღალაშვილი, ძმები ლეო და გიორგი კერესელიძეები, მიხეილ იშხნელი, მათთან ახლო კავშირში მყოფნი: გერონტი ქიქოძე, სანდრო შანშიაშვილი, მიხაკო წერეთელი, ვარლამ ჩერქეზიშვილი... სწორედ ამ ჯგუფის ბაზაზე შეიქმნა 1914 წლის შემოდგომაზე „საქართველოს დამოუკიდებლობის (ან განთავისუფლების) ეროვნული კომიტეტი“. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად ორგანიზაციის წევრებს შორის სხვა პოლიტიკურ მიმართულებათა წარმომადგენლებიც იყვნენ, „დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი“, ფაქტობრივად, საქართველოში მოქმედი ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობის საზღვარგარეთულ ფილიალს წარმოადგენდა.



სანდრო  
შანშიაშვილი



გერონტი  
ქიქოძე



ტიციან  
ტაბიძე



*საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრები, მათ შორის რვა დეპუტატი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენდა*



„დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი“, რუსეთის იმპერიის საწინააღმდეგოდ, გერმანიას დაუკავშირდა და მისი მხარდაჭერით ფიქრობდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენას. კომიტეტმა გერმანიის ხელისუფლებასთან ხელშეკრულებაც კი გააფორმა, რომლის თანახმად, თუ ქართველები სახელმწიფოს აღადგენდნენ, გერმანიას დახმარება უნდა აღმოეჩინა ქართველი პატრიოტებისთვის და საქართველოს დამოუკიდებლობაც უნდა ეცნო. ცნობილია გერმანიის მოკავშირე ოსმალეთთან დადებული კომიტეტის ხელშეკრულება, რომლის ანალოგიურიც უნდა ყოფილიყო ქართულ-გერმანული ხელშეკრულება. სამწუხაროდ, ხელშეკრულების ტექსტი „ჯერჯერობით მიკვლეული არ არის“ — როგორც აღნიშნავს მკვლევარი ოთარ ჯანელიძე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიის შესახებ ფუნდამენტური ნაშრომის ავტორი.

1915 წლის შემოდგომაზე ეროვნულმა კომიტეტმა საქართველოში ფარულად მოაგვინა თავისი წარმომადგენელი გიორგი მაჩაბელი. კომიტეტს კარგად მოეხსენებოდა, რომ საქართველოში პატრიოტები ოფიციალურად ავტონომიის მოთხოვნას სჯერდებოდნენ, მაგრამ მას აინტერესებდა ქართული პოლიტიკური სპექტრის ნამდვილი შინაგანი აზრი დამოუკიდებლობის იდეის შესახებ. ქუთაისში გიორგი მაჩაბელს შეხვდნენ ძირითადი პარტიების წარმომადგენლები. სოციალ-დემოკრატებმა გულახდილად განაცხადეს, რომ ისინი დამოუკიდებლობას ღიად მხარს ვერ დაუჭერდნენ, მაგრამ ხელსაც არ შეუშლიდნენ. დაახლოებით იგივე პასუხი მიიღო მაჩაბელმა სოციალისტ-ფედერალისტებისგანაც. დამოუკიდებლობასა და კომიტეტის საქმიანობას მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატებმა გამოუცხადეს სოლიდარობა, თუმცა ამჯერად მათაც ფარულად.

1917 წლის 2 მარტს, დემოკრატიული რევოლუციის შედეგად, რუსეთის მონარქია დაემხო, ნიკოლოზ მეორე გადადგა. საქართველოში მოქმედი ყველა პარტია სოციალისტური იყო. ქვეყანას სჭირდებოდა პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც მხოლოდ ეროვნული იდე-

ითა და მიზანდასახულობით იქნებოდა განმსჭვალული და ეროვნულ ძალებს დარაზმავდა. „ჩვენ ვართ არა პროლეტართა, არა გლეხთა, არა ვაჭართა ანუ მრეწველთა, არამედ ეროვნულ-ხალხოსური ან ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. და ჩვენს დრომას აწერია: ეროვნება, სახელმწიფო და კერძო საკუთრება“, — განმარტავდა ვასილ წერეთელი. ეროვნულ-დემოკრატები სწრაფად ამოქმედდნენ.

მონარქიის დამხობიდან ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ 1917 წლის მარტის დასაწყისში შეიქმნა პარტიის საინიციატივო ჯგუფი — მთავარი საორგანიზაციო კომიტეტი. მისი ინიცირებით მოკლე ხანში შემუშავდა მომავალი პარტიის პროგრამა და წესდება; ეროვნულ-დემოკრატი აქტივისტები მიუღო საქართველოში ცდილობდნენ ახალი პარტიის პოპულარიზაციას, მისი იდეების პროპაგანდას; ქალაქებსა და რეგიონებში მხარდამჭერთა კრებებზე იქმნებოდა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციები.

1917 წლის 4 ივნისს, თბილისში მუშაობა დაიწყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელმა ყრილობამ. მას თავმჯდომარეობდა სპირიდონ კეღია. თავმჯდომარეს სიმბოლურად მხარს უჭერდნენ ნიკო ნიკოლაძე და ალექსანდრე ცაგარელი, როგორც საპატიო თავმჯდომარეები. ყრილო-



ბამ მსჯელობისა და აზრთა გაზიარების შემდეგ მიიღო რეზოლუციები, და რაც მთავარია, დაამტკიცა პარტიის პროგრამა და წესდება, რომლებშიც აისახა ეროვნულ-დემოკრატიული ადრინდელი და თანამედროვე მიზნები, მსოფლმშენებლობა და პოზიციები: ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა; კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა და მის საფუძველზე დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობა.

პირველი და უმთავრესი მიზანი იყო საქართველოს პოლიტიკური ავტონომია. ეროვნულ-დემოკრატიები ცდილობდნენ რეალიზების საფუძველზე დარჩენილიყვნენ და მაქსიმალის მის გარეშე ჯერ ის მოეთხოვათ, რაც შესაძლებელი იყო. „ყველანი საქართველოს ბედს დაესტირით, — მიმართავდა ყრილობას გიორგი გვაზავა, — მაგრამ ძლიერ შორსაც ნუ წავალთ. ეს არ ვარგა. ნუ დავემსგავსებით გათავისუფლებულ მონებს. სიბრძნე გვმართებს. გვაქვს დამოკიდებულება, რომელიც არ არღვევს რუსეთის მთლიანობას და ანიჭებს საქართველოს თავისუფლებას“. სწორედ ამგვარ მდგომარეობას გულისხმობდა საქართველოს პოლიტიკური ავტონომია, მაგრამ ავტონომია მაინც დროებითი მიზანი იყო და როცა ხელსაყრელი ვითარება შეიქმნებოდა, ეროვნულ-დემოკრატიები დამოუკიდებლობის პოზიციასზე დადგებოდნენ. უკვე 1918 წლის დასაწყისში

ეისში ეროვნულ-დემოკრატი პარტიის მეორე ყრილობამ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება რეალისტურ მიზნად აღიარა.


მაგრამ ეს უკვე ისტორიის შემდეგი ფურცელია. ჯერ მხოლოდ 1917 წლის ზაფხული იყო. 4 ივნისს დაწყებულმა დამფუძნებელმა ყრილობამ 16 ივნისს დაასრულა მუშაობა და საბოლოოდ გაასრულა კიდევ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ფორმირების თითქმის 25-წლიანი პროცესი. ყრილობამ პარტიის მთავარი კომიტეტის წევრებად აირჩია: სპირიდონ კეღია (თავმჯდომარე), ალექსანდრე ასათიანი, დავით ვანნაძე, გრიგოლ ვეშაპელი, რევაზ გაბაშვილი, გიორგი გვაზავა, გიორგი ჟურული, რაფიელ ინგილო, სანდრო შანშიაშვილი, შალვა ქარუმიძე, გერონტი ქიქოძე... მხარდამჭერთა და აქტივისტთა შორის იყვნენ: სანდრო შანშიაშვილი, ტიცინან ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, სანდრო ახმეტელი და სხვანი.

ახალი პარტიის გარშემო თავი მოიყარეს იმდროინდელი ქართველი საზოგადოების საუკეთესო პატრიოტულ-ინტელექტუალურმა ძალებმა, რომლებსაც ხელწიფებოდათ ორი-ათასწლოვანი ქართული სახელმწიფოებრივი ტრადიციის გაცოცხლება ახალი დროის გამოწვევების საფუძველზე.

**ლიბიტრი შველიძე**



# ბამოცსაღებულო ომი საქართველოს წარსულის წინააღმდეგ



ქართული  
საისტორიო  
თემატიკა „დიდ  
რუსულ  
ენციკლოპედიაში“

„დიდი რუსული ენციკლოპედია“ (Большая Российская Энциклопедия) იბეჭდება 2005 წლიდან და დაიწყო იგი საკუთრივ რუსეთისადმი მიძღვნილი ტომით, რომელიც ფართო ფორმატის ათასამდე გვერდს მოიცავს. ჯერჯერობით, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სულ დაიბეჭდა თვრამეტი ტომი (A-დან M-მდე).

თითქოს იქმნება ზოგადი შთაბეჭდილება, რომ რუსული ენციკლოპედიის უახლესი გამოცემა მრავალმხრივ შეესაბამება თანამედროვე მეცნიერების დონეს, მაგრამ მასში აშკარად იკვეთება პოლიტიკური და იდეოლოგიური მიდგომები, რაც, ცხადია, ხელს უშლის სინამდვილის ობიექტურ, ადეკვატურ გადმოცემას. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ უახლესი რუსული ენციკლოპედია მისაბამი უნდა იყოს საქართველოსთვის. ჩვენთან ხომ, სამწუხაროდ, ამგვარი გამოცემის პერსპექტივა საკმაოდ ბუნდოვანია.

ამჯერად შეეჩერდებით საკითხზე, თუ როგორ არის წარმოდგენილ-გამოქვეყნებული ამ გამოცემაში ქართული თემატიკა. იგი ძირითადად ასახულია მერვე ტომში, რომელიც გამოქვეყნდა 2007 წელს, ე.ი. რუსეთ-საქართველოს ბოლო ომის წინ. ამიტომ მოხდა, რომ საქართველო გამოცემაში წარმოდგენილია მთლიანი სახით, ე.ი. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ჩათვლით. სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ აღნიშნული ტომის უფრო გვიან (ომის შემდგომ) გამოცემის შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გადმოცემაზე თავს არავინ შეიწუხებდა.

უთუოდ შემცირებულია ქართველთა საერთო რიცხოვნობა. 2002 წლის მონაცემების მიხედვით თითქოს იგი 4 მილიონს მოითვლიდა. კერძოდ, თურქეთში მცხოვრები ლაზები და

იმერხველები (მოიხსენიებიან კლარჯებიც და მაჭახლებიც) 42 ათასი არიან (ტ. 8, გვ. 54). თუმცა სხვაგან თურქეთში მცხოვრებ ლაზთა რაოდენობა მინიმუმებულია 50 ათასით (ტ. 16, გვ. 610).

რუსული უახლესი ენციკლოპედიის გამოცემელთა დიდი პრეტენზიის მიუხედავად, გამოცემას იწვევს თვალში საცემი და საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლაფსუსები, რაც ამ ენციკლოპედიაში შეიმჩნევა. რასაკვირველია, ეს არ ეხება იმ სტატიებს, რომელთა ავტორებიც ქართველები გახლავან. მაგრამ როგორც კი საქმე მიდგება რუს ავტორებზე, თანაც ისეთებზე, რომელთაც ქართველოლოგიის სფეროში არავითარი, ანდა უკეთეს შემთხვევაში, უაღრესად კნინი როლი მიუძღვით, ვითარება ძალიან იცვლება.

დიდ გაურკვევლობას იწვევს საქართველოში პირველყოფილი (გნებავთ, ტერმინი პრიმიტიული ვიხმაროთ) საზოგადოების ისტორიის სურათი, რომელიც ძირითადად არქეოლოგიური თვალსაზრისით არის წარმოდგენილი.

ტომში ზედა პალეოლითის კულტურის ძეგლები სახელდება „იმერული (ИМЕРТИНСКАЯ) კულტურით“. მომდევნო ხანის „დასავლურ-კავკასიური“ ჯგუფი კი თითქოს დიდ სიანგლოვს ავლენს პროტომაიკოპურ ძეგლებთან. თითქოს შავი ზღვის სანაპიროზე არსებული ადრეული ბრინჯაოს ხანის კულტურა უფრო ახლოსაა მაიკოპის კულტურასთან. ქრონოლოგიურად 3000-2000 წლებს უკავშირებენ „ოჩამჩირის კულტურას“. ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე-მესამე მეოთხედებში (XVII-XIII სს.), კერძოდ, რაჭა და სვანეთი თითქოს შედიოდა „დიგორის კულტურაში“. II ათასწლეულის მეორე ნახევარში წარმოშობილა ადგილობრივ საფუძველზე კოლხური კულტურა, II-I ათასწლეულების მიჯნაზე კი ჩამოყალიბებულა რამდენიმე დამოუკიდებელი კულტურა (ბზიფის, ენგურის, რიონის, ლეჩხუმურ-იმერული და სხვ.), რომლებიც თითქოსდა ძვ.წ. 500 წლამდე ყობანურ-კოლხურ კულტურაში შედიოდნენ. ტერიტორიულად აქვე შედიოდა ე.წ. სამხრეთ ოსეთში (ცხადია, ტომში ეს ტერმინი ფიგურირებს ბრჭყალების

გარეშე) არსებული კულტურა (თლიის სამაროვანი). მოგვიანებით არსებული „წებელდის კულტურაც“, მაგრამ გაურკვევლად რჩება, იგი ზანებს (ეგრებს, კოლხებს) ეკუთვნოდნოდა, აფხაზებს თუ სვანებს. ყოველივე აღნიშნულის თაობაზე ფართო ხასიათის მსჯელობა უპირველესად, ცხადია, არქეოლოგებსა და ისტორიკოსებს გეშართებს. მიუხედავად და ამის წაყრუება გამოსავალი როდია. თუმცა თუ გავითვალისწინებთ ქართულ მეცნიერებაში (არქეოლოგიასა და ისტორიოგრაფიაში) ფართო გაგებით არსებულ დონეს, დიდად ვეჭვობთ, აღნიშნულ საკითხებზე სერიოზული, სასარგებლო პოლემიკა გაიმართოს.

რაც შეეხება ე.წ. ადრეკლასობრივი საზოგადოების თემას, ტომში დადასტურებულია ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში კოლხეთის სამეფოს არსებობა დასავლეთ საქართველოში, რომლის ადმინისტრაციული და საკულტო ცენტრები ვანსა და საირხეში ყოფილა. არაფერია ნათქვამი ციხე-გოჯის თაობაზე. ამასთანავე აღნიშნულია ისიც, რომ კოლხეთში არგონავტების ცურვის (плавание) ლეგენდაში (თუ მითში?) ბევრი სადავო ცნობაა. თუმცა ამის საწინააღმდეგო მტკიცებულებასაც ვხვდებით (იხ. სტატია კოლხეთის სამეფოზე). ფრიად გამაოგნებელია აღნიშვნა, რომ ძვ.წ. V საუკუნეში იბერიაში (ქართლში) წარმოქმნილია სახელმწიფო, რომლის დედაქალაქი

დადასტურებულია ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში კოლხეთის სამეფოს არსებობა დასავლეთ საქართველოში, თუმცა არაფერია ნათქვამი ციხე-გოჯის თაობაზე







ამოტ დიდი კურაპალატის სტატუსი, რუსი ისტორიკოსების აზრით, „სამეფომდე“ ვერ ამაღლებულა (ოპიზის კედელზე ამოტ კურაპალატის გამოსახულების ფოტორეპროდუქცია)

ყოფილა უფლისციხე, რომ აქვე შედიოდა ქალაქები: სარკინე, ურბნისი და ოდრახე(!) (გვ. 61). მაგრამ რუს ავტორთა უფრო დიდი „აღმოჩენა“ იმაში მდგომარეობს, რომ ერთი საუკუნის შემდგომ, ფარნავაზის ზეობისას (იგი დასახელებულია ფარნავაზიანთა დინასტიის დამფუძნებლადაც) ჩამოყალიბებულა ქართლის სახელმწიფო, დედაქალაქით მცხეთაში (არმაზისხევიში!). თუ ასეა, მაშინ საკითხავია, როგორ თანაარსებობდა თითქოსდა იბერიაში (ქართლში) მდებარე ეს ორი სახელმწიფო. სხვაგან ძვ.წ. IV-III საუკუნეებთან დაკავშირებით ფიგურირებს მხოლოდ „ქართლის სამეფო“ (იხ. სტატია „იბერია“, ტ. 10). ყოველივე ეს ხომ მკითხველთა შორის დიდ დაბნეულობას გამოიწვევს. ისე, დიდი სომხეთის სამეფომ იბერიას (ქართლს) ტერიტორიები ძვ.წ. I საუკუნეში კი არ ჩამოაჭრა, არამედ უფრო ადრე, სელევკიანთა სამეფოს დაშლის შემდეგ — ძვ.წ. II საუკუნის პირველ ნახევარში. თუმცა სხვაგან წერია, რომ ეს მოხდა ტიგრან II-ის ზეობისას (ძვ.წ. 95-36) (იხ. ტ. 4, გვ. 720). საიდან მტკიცდება, რომ ერთ-ერთი შემოერთებული ტერიტორია

— გოგარენა, გუგარქი მტკვრამდე აღწევდა (იხ. ტ. 2, გვ. 234).

უძველეს ქართულ ფოლკლორულ ძეგლთა შორის ნახსენებია... „არსენას ლექსი“.

VIII ტომის 61-ე გვერდის მიხედვით, II საუკუნეში (ახ. წ.) წარმოქმნილი ლაზთა და აფსილთა პოლიტიკური გაერთიანებები თურმე წებელდის არქეოლოგიური კულტურიდან განვითარებულან.

გაურკვეველია, რა იგულისხმება და რის საფუძველზეა აღნიშნული „ლეჩხუმელთა ბელადები“.

განხილულ (მერვე) ტომში არაფერია ნათქვამი ქართლის ერისმთავრებზე, მათი ხელისუფლების რაობაზე. VIII-IX საუკუნეებში ქართლსა და კახეთში მსხვილი საერისთავოები წარმოქმნილან, ტაო-კლარჯეთსა და ჰერეთში — სამთავროები. ასე რომ, უკანასკნელი გაერთიანებების სტატუსი „სამეფომდე“ ვერ ამაღლებულა. თუ რუს ავტორებს ვერწმუნებით, ასეთი რამ ჰქონია მხოლოდ და მხოლოდ აფხაზთა პოლიტიკურ გაერთიანებას. მკითხველს კონკრეტული წარმოდგენა ვერ შეექმნება ამოტ პირველზე, როგორც ტაო-კლარჯეთის პოლიტიკური მმართველის ხელისუფლების არსზე.

X-XI საუკუნეებში ჩამოყალიბებულა „ქართველი ეთნოსი“, რასაც ავტორები, ალბათ, მხოლოდ ერთიანი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს წარმოშობას უკავშირებენ. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამას სხვა წინაპირობებიც (რელიგიური, საეკლესიო ერთიანობა, კულტურა და სხვ.) ჰქონდა. გარდა აღნიშნულისა, არაფერია ნათქვამი ერზე, ნაციასზე, რაც საბჭოთა კავშირის მემკვიდრე დღევანდელი რუსეთის ფედერაციის ვითარებაში გაუგებარი უნდა იყოს. ესენი ხომ უმაღლეს ეთნიკურ ფორმად მიიჩნეოდა. ასეთ შემთხვევაში რას უნდა ნიშნავდეს ერთობ ბუნდოვანი „ეთნოსი“?

რაკი სიტყვამ მოიტანა, იმავეს ვიტყვოდი „ადრეკლასობრივი საზოგადოების“, „ფეოდალიზმის“ და „კაპიტალიზმის“ თაობაზე, რომელთა (ეკონომიკურ-სოციალური კატეგორიების) გამოყენების გარეშე ეკონომიკური და სოციალური ისტორიის გააზრება-გაგება ფრიად გამწვანებულია.

წიგნში აღნიშნულია, რომ XI-XII საუკუნეები — ეს არის „ოქროს ხანა“ ქართული ეკ-

ლესიის ისტორიაში. მაგრამ მსგავსი რამ უპირველესად, ზოგადად, საქართველოს ისტორიისადმი ითქმის.

გიორგი V ბრწყინვალის დროს საქართველოში აღდგენილა სამეურნეო და კულტურული კავშირ-ურთიერთობანი. მაგრამ უფრო ნათლად და პირდაპირ რომ ვთქვათ, ამ დროს ხომ საქართველოს ხელახალი პოლიტიკური გაერთიანება მოხდა?

ჩვენს ქვეყანაში თემურ-ლენგის შემოსევის (нашествие) XIV საუკუნეში ჰქონდა ადგილი. მაგრამ ხომ შეიძლება ამ მოვლენის, ფაქტის უფრო დაკონკრეტება დროის თვალსაზრისით? თანაც ეს ცდომილება ხომ, დიდად სამწუხაროდ, ერთეული შემთხვევა არ ყოფილა?

ლეკიანობა (XVII საუკუნიდან) ძველებურ სტილში კვლავ „ჩრდილოკავკასიელ ფეოდალთა“ თავდასხმებადაა გამოცხადებული.

ტომში ლაპარაკია XVIII საუკუნეში თურქეთის (ოსმალთა იმპერიის) მიერ საქართველოს დაპყრობაზე, შესაბამისად, გათურქება, გამაჰმადიანების პროცესებზე. მაგრამ არ არის დაკონკრეტებული დრო და ისტორიული რეგიონი. აქ, რასაკვირველია, ავტორებს მხედველობის არედან „გამორჩათ“ რუსეთის ვერაგული როლი ქართლის სამეფოს კატასტროფაში, კერძოდ, ვახტანგ VI-ის პოლიტიკის მარცხში. ცხადია, არც ის არის ნათქვამი, რა ტრაგიკული შედეგები მოუტანა ქართლ-კახეთსა და საერთოდ საქართველოს გეორგიევსკის ტრაქტატმა, სახელდობრ, ალა მაჰმად-ხანის 1795 წლის შემოსევაში. აღნიშნულია, რომ ამ ეროვნული კატასტროფის შედეგად ჩვენს უკანასკნელ მეფე გიორგი XII-ს მიუმართავს პეტერბურგისთვის ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიაში უმუშალო შესვლის თაობაზე. გამოდის, ჩვენი ბედოვლათი მეფე თანახმა გამხდარა ქართლ-კახეთისთვის რუსეთის გუბერნიის სტატუსის მიღებისა და სხვა რამ სურვილი მას არც ჰქონია.

ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ ენციკლოპედიის მერვე ტომში აღარ არის გამოვლენილი რუსეთის მიერ ქართველობის, როგორც ეთნოსის, ერის გადარჩენა, სამაგიეროდ, გულახდილად აღიარებული მიერთების (присоединение-ს) (ნათქვამი ქართველი ისტორიკოსები და პოლიტიკოსები „შეერთებად“ რომ თარგმნიდნენ) მნიშვნელობა რუ-




გიორგი V ბრწყინვალე,  
მხატვარი ვიორჯი გვეგეჭკორი. 1997

სეთის გეოპოლიტიკურ მისწრაფებათა თვალსაზრისით, აღმოსავლეთის საკითხის მის სასარგებლოდ გადასაჭრელად.

გაურკვეველია, რას ნიშნავს 1830-1840 წლებში და შემდგომ „ფეოდალურ-გვაროვნული“ მამულების შემცირება წამგებიანობის გამოისობით. აქ ხომ სხვა სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები მოქმედებდნენ?

საქართველოში „ეროვნულ მოძრაობას“ ჩამოყალიბება დაუწყია 1860-იან წლებში და მასზე ზემოქმედებდა(!) „თერგდალეულთა მოძრაობა“. აქედან გამომდინარე, აქ ჩანს თვით უკანასკნელთა სოციალური აქტიურობის რაობა, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვათა მისწრაფებების არსი. აქვე აღნიშნულია „პირველი დასი“ და „მეორე დასის“ „ლიბერალური მოძრაობა“. რა, განა ილია და მისი თანამოაზრენი ლიბერალიზმის მიმდინარეობიდან განზე იდგნენ? ამდენად, საკვებით იგნორირებულია ქართველთა რამდენიმეჯგისი აჯანყება, ჩვენი თავდაზნაურობის 1832 წლის შეთქმულება, რომლებიც ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებასა და აღდგენას





მერაბ კოსტავა ორჯერ მოიხსენიება ზვიად გამსახურდიასადმი მიძღვნილ სტატიაში. მისთვის სპეციალური სტატიის მიძღვნა საჭიროდ არ მიუჩნევათ

ისახავდნენ მიზნად. სხვათა შორის, საბჭოურ ენციკლოპედიებში ამ ფაქტებს გვერდს არ უვლიდნენ.

ჭეშმარიტად „ობიექტურად“, გააზრება-შეფასებათა გარეშე არის გადმოცემული 1917-1921 წლების ამბები. თითქოს ამ დროს არ მომხდარა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა — ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა და საერთოდ დამოუკიდებლობის მოპოვება.

ბუნდოვანი რჩება შინაარსი ფრაზისა: „...შემდგომ ქართული ეკლესიის ავტონომიის(!) აღდგენისა, რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიციის საწინააღმდეგოდ (вопреки)“. ისე გამოდის, თითქოს ქართველი სამღვდელთა, საერთოდ ქართველობა ამ შემთხვევაში, არალეგიტიმურად მოქმედებდა.

ამასთანავე VIII ტომში არ არის „დავიწყებული“ გერმანიისა და ინგლისის ჯარების მიერ საქართველოს „ოკუპაცია“. ცალკე, მცირე მოცულობის სტატია გადმოსცემს საკითხს — „ქართველ მენშევიკთა პარტია“. მაგრამ ასეთი სახელწოდების პარტიას ჩვენი ისტორია არ იცნობს. დაარსდა, სამწუხაროდ დაგ-

ვიანებით, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მუშათა პარტია), თანაც ეს მოხდა არა 1918 წლის ნოემბერში, არამედ ამ წლის ოქტომბერში (იხ. სტივენ ჯონსი, სოციალიზმი ქართულ ფერებში, თბილისი, 2007, გვ. 356).

1921 წლის თებერვალ-მარტის მოვლენებზე თხრობისას პირწმინდადაა გამეორებული საბჭოური მითოლოგია (მეცნიერების სახელით) საქართველოს სოვეტიზაციის შესახებ.

ზვიად გამსახურდიას თემასთან დაკავშირებით მცდარად არის აღნიშნული, რომ იგი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს 1991 წლის აპრილში (თანაც თარიღის გარეშე) (ტ. 6, გვ. 365) და თითქოს მან საქართველოს სუვერენიტეტი ამავე წლის აგვისტოში (კონკრეტულად როდის?) გამოაცხადა.

ეგრძნობა საყვედურის ტონი, რომ 1990 წელს საქართველოს მთავრობამ(!) არ დაუშვა რესპუბლიკაში საკავშირო რეფერენდუმის გამართვა საბჭოთა კავშირის შენარჩუნების თაობაზე. მართლაცდა, რა საჭირო იყო მსგავსი რამ? 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმმა ხომ ნათლად გამოხატა ქართველთა და ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ არაქართველთა უმრავლესობის (93%) ნება-სურვილი?

მერაბ კოსტავას სახელი და გვარ-სახელი მოიხსენიება ორჯერ, ზვიად გამსახურდიასადმი მიძღვნილ სტატიაში. ასე რომ, არ უცვნიათ საჭიროდ მისთვის სპეციალური სტატია მიეძღვნათ.

საქართველოში 2003 წლის ნოემბერში განვითარებული მოვლენები „ვარდების რევოლუციის“ (ბრჭყალებში) სახელწოდებით მოიხსენიება. შევნიშნავთ, რომ იმავეს ვხედავთ „პერესტროიკასთან“ დაკავშირებით.

სხვათა შორის, საქართველოს ისტორიის ნარკვევის ბოლოს დართულ ბიბლიოგრაფიაში არ არის მითითებული ივანე ჯავახიშვილის რომელიმე ნაშრომი და, თქვენ წარმოიდგინეთ, „ქართლის ცხოვრების“ მრავალტომეულიც კი. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ დიდ რუსულ ენციკლოპედიაში ვერ ვხედავთ სტატიას ისტორიკოს სიმონ ჯანაშიაზე (ნიკო ბერძენიშვილზე კი). გამოსარკვევია, ეს მოხდა უბრალოდ დაუდევრობით, თუ რამე პრინციპული მოსაზრებით (ან მოსაზრებებით).

ცხადია, უაზრობაა მტკიცება, რომ დასაუღლეთ საქართველოში გაერცელებულია მესა-

ქონლეობა და მელორეობა, აღმოსავლეთ ნაწილში კი — მეცხვარეობა.

მკითხველებს ვერავითარი წარმოდგენა ვერ შეექმნება ტრადიციულ საქართველოში მეცნიერებისა და ფილოსოფიის განვითარების შესახებ, ხელოვნების თაობაზე კი ეს არ ითქმის.

განხილულ ენციკლოპედიაში (იხ. ტომი I) დიდი გაუგებრობანი სუფევს აგრეთვე აფხაზურ თემატიკასთან დაკავშირებით. აფხაზები თითქოს დასავლეთ ამიერკავკასიაში ცხოვრობდნენ უძველესი ხანიდან მოყოლებული. მაგრამ პირველყოფილ და უძველეს ეპოქებს რომ თავი დაეანებოთ, აფშილები და აბაზგები ხომ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთში ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში გამოჩნდნენ? გვერდი აქვს ავლილი შესაბამისი პერიოდის აფხაზეთში მცხოვრები სანიგების ქართველურ (სვანურ) წარმომავლობას.

ენციკლოპედიაში შეიმჩნევა აშკარა ტენ-

დენცია აფხაზთა საკითხის იზოლირებულად, დანარჩენი საქართველოსაგან განცალკევებით განხილვისა. მაგრამ ხომ ურყევი ფაქტი გახლავთ, რომ აფხაზთა ადრეკლასობრივმა (თუ ადრეულმა) სახელმწიფომ, ტაო-კლარჯეთის სამეფოსთან ერთად, თვალსაჩინო როლი შეასრულა ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნაში (X-XI სს.). გამოცემაში კი ეს არ ჩანს. იგივე ითქმის ქართული კულტურის მნიშვნელობაზე ამ ისტორიულ რეგიონში, კერძოდ, იმაზე, რომ ქართველი საზოგადოების შემადგენელ ფეოდალურ კლასში, პოლიტიკურ ელიტაში აფხაზებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. მიჩუმათებულია ის გარემოებაც, რომ ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდგომ აფხაზეთი კვლავაც (XVI-XVII სს.) შედიოდა ჯერ იმერეთის სამეფოს, შემდგომ კი ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში.

თვით XIX საუკუნის შესახებაც კი აღნიშ-

*გაზრება-შეფასებათა გარეშე არის გადმოცემული 1917-1921 წლების ამბები. თითქოს ამ დროს არ მომხდარა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა — ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა და საერთოდ დამოუკიდებლობის მოპოვება.*







ენციკლოპედიაში შეიმჩნევა აშკარა ტენდენცია აფხაზთა საკითხის იზოლირებულად, დანარჩენი საქართველოსაგან განცალკევებით განხილვისა (ფოტოზე — სახედაკარგული ილორის ეკლესია დღეს)

ნულია, რომ აფხაზური ინტელიგენცია ცდილობდა განემტკიცებინა კავშირ-ურთიერთობანი რუსულ კულტურასთან, მაგრამ განაქართულ კულტურასთან დაკავშირებით ეს ნაკლებად ითქმის?

ასევე, თითქოს აფხაზური ენის უცხოურიდან ნასესხებ ლექსიკაში ჭარბობს რუსიზმები (ანდა რუსული ენის მეშვეობით ნასესხები უცხო სიტყვები), ბევრია არაბიზმები, ფარსიზმები და თურქიზმებიო. ისე გამოდის, თითქოს ამ მხრივ არაფერი ითქმის ქართული, მეგრული და სვანური ენების შესახებ, რაც, ცხადია, დიდი აბსურდია. აფხაზური ენა ხომ ქართველურ ენებთან ხანგრძლივი დროის განმავლობაში თანაარსებობდა?

მაინც, მიუხედავად აღნიშნული უგვანი ტენდენციისა, ძალაუნებურად ლაზიკის სამეფოსთან დაკავშირებით (ტ. 16) აღნიშნულია, რომ მასში შედიოდნენ აფსილებიც და აბაზგებიც და ისინი იხდიდნენ ნატურალურ ხარკსა და სამხედრო ბეგარას.

ენციკლოპედიის პირველი ტომის მიხედვით, XX საუკუნიდან მოკიდებული, აფხაზთა

შორის შეიმჩნევა ეროვნული ცნობიერების გაზრდა. მაგრამ, რასაკვირველია, მასში არაფერია ნათქვამი, რომ აფხაზთა სეპარატისტული იდეოლოგია მრავალმხრივ წაქეზებული, სტიმულირებული იყო ჩვენი დიდი ჩრდილოელი მეზობლის მიერ. ასე რომ, ჩვენსა და აფხაზებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტი მართოდენ შიდა კონფლიქტის რანგში როდია განსახილველი, როგორც ამას რუსული გამოცემები გვამცნობს.

ცხადია, იგივე არ არის ნათქვამი ვთქვათ, ჩვენებისადმი. კერძოდ, უკანასკნელთა ბრძოლა (ომები) 1994-1996, 1999-2001 წლებში ამჯერად კვალიფიცირებულია როგორც „რუსეთის ანტიტერორისტული ოპერაცია ჩეჩენ ბანდფორმირებათა სალიკვიდაციოდ“ (იხ. ცალკე ტომი „რუსეთი“, გვ. 866). 1994 წელს აფხაზეთში ე.წ. დსთ-ის მშვიდობისმყოფელი ჯარების შემოყვანა, რაც წიგნში დადებით კონტექსტში მოიხსენიება, სინამდვილეში წინაპირობა აღმოჩნდა აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფისა (მტკიცედ გვჯერა, რომ ჯერჯერობით). მსგავსი ალოგიკურობა ხომ მიუ-

ღებელი უნდა იყოს ცივილიზებული სახელმწიფოს პოლიტიკოსებისა და დიპლომატებისთვის, მით უფრო გამორიცხული უნდა იყოს მეცნიერების დონეზე.

დიდი რუსული ენციკლოპედიის ტომებში ქართულ საისტორიო თემატიკასთან დაკავშირებით უამრავ წვრილმან შეცდომასაც ვაწყდებით. ასე მაგალითად, არქეოლოგიური ძეგლი „ტრელის“ სახელწოდებით კი არ არსებობს, არამედ „თრელიგორის“ ფორმით. ძველი ქართული ქალაქი „ოდრახე“ კი არ იყო, არამედ — „ოდრხე“. „არმაზისხევის“ მაგიერ უნდა ყოფილიყო არმაზციხე. დასაზუსტებელია „ქართველური ენების ქართულ-ზანური შტო“. მცდარი გახლავთ „ქართლის ამირას“ აღნიშვნა (ნაცვლად თბილისისა). სამცხე-საათაბაგო არ შედიოდა დასავლეთ საქართველოს „რაიონებში“. გრემში არ მოქმედებდა მონასტერი შესაბამისი კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციებითურთ. იმერლები ხან ქართველთა ეთნოგრაფიულ ჯგუფად (ტ. 8, გვ. 54), ხან კი ეთნიკურ ჯგუფად არიან მოხსენიებულნი (ტ. 11, გვ. 129), ასევე ლაზები — ხან ერად (народ) და ხან ქართველთა ეთნოგრაფიულ ჯგუფად. საკმაოდ შემცირებულადაა ნაჩვენები მათი რიცხოვნობა საქართველოში (2-3 ათასი).

ავქსენტის ცაგარელის პიესის სრული სახელწოდება არის „მზის დაბნელება საქართველოში“ და არა უბრალოდ „მზის დაბნელება“. კირიონ II (სამაგლიშვილი) მოიხსენიება კირიონ III-დ. ენციკლოპედიის თანდართულ რუკაზე (VIII ტომისა) ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსი მტკვრის მარჯვენა მხარესაა გამოსახული. ამავე რუკაზე მინიშნებულია „კოდორის გადასასვლელი“ ყადორის ნაცვლად. უხერხულია „ფეტვ-დომის“ (просогом) ხმარება, აგრეთვე „კველიერიაის“ — „ყველიერობის“ აღსანიშნავად. ბალეტ „მალთაყვის“ ავტორი ოთარ თაქთაქიშვილი კი არ გახლავთ, არამედ — შალვა თაქთაქიშვილი. ირაკლი გამრეკელი ფიგურირებს ქართველ მსახიობთა ჩამონათვალში, მაშინ როცა, როგორც ცნობილია, იგი იყო თეატრის მხატვარი. ერთგან, ლაზებთან დაკავშირებით, ვაწყდებით ავტორ ა. ტანდილოვას, თანდილოვას ნაცვლად. თიანეთი და ხარაგაული სოფლები კი არ არიან, არამედ ქალაქის ტიპის დაბები (შესაბამისად,



კირიონ II (სამაგლიშვილი) რუსულ ენციკლოპედიაში მოიხსენიება კირიონ III-დ

რაიონული ცენტრები). ამასთანავე პირველი ფშავეში როდი მდებარეობს, ასევე არც მეორე წარმოადგენდა კერამიკული წარმოების ცენტრს. სოხუმის ოკრუგის მაგიერ უნდა იყოს „ოტდელ“ „ობლასტ“ (იხ. ტ. 3, გვ. 370), თანაც იგი შედიოდა არა თბილისის, არამედ ქუთაისის გუბერნიაში და ა.შ.

ასეთია ჩვენი კრიტიკული შეხედულებანი „დიდი რუსული ენციკლოპედიისადმი“ ქართული თემატიკის გაშუქებასთან დაკავშირებით. საბოლოოდ დავასკვნით, რომ აღნიშნული გამოცემა შესრულებულია დაუდევრად, არაპროფესიონალთა (ვიმეორებთ, რუს ავტორებს ვგულისხმობთ) მიერ. თუმცა ამაში ერთგვარი როლი მიუძღვის ჩვენს მეცნიერებსაც. ამკარად იგრძნობა პოლიტიკური და იდეოლოგიური მიდგომები, ტენდენციურობა. მსგავსი რამ, ვიმედოვნებთ, გამორიცხული იქნება რუსეთისა და რუსების შესახებ თემატიკის გადმოცემისას ახალ ქართულ ენციკლოპედიაში, რასაც ალბათ, მომავალში დაადგება საშველი.

**გურამ ღორანაშვილი**





# მარაბდის ბრძოლა მოგების ტოტალური დამარცხება

*მარაბდის ბრძოლა XVII საუკუნის საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური სამხედრო დაპირისპირება იყო, რომელიც ქართველთა მარცხით დასრულდა. ყიზილბაშებისთვის ეს პირობის გამარჯვება გამოდგა, რადგან სწორედ მარაბდის ველზე განცდილი დიდი ზარალის შემდეგ ჩაიშალა შაჰ აბასის განზრახვა, საბოლოოდ დაეპყრო და ირანის ნაწილად ექცია ქართლ-კახეთი, რომლის დაკავებასაც სეფიანთა ირანი შაჰ თამაზ I-ის დროიდან თავგამოდებით ცდილობდა, მაგრამ თბილისის აღების მიუხედავად, მთელი ქვეყნის დამორჩილებას თითქმის ვერასდროს ახერხებდა. მარაბდის ბრძოლა სწორედ შაჰ აბასის აგრესიული კავკასიური პოლიტიკის ნაწილი იყო და გულისხმობდა ამიერკავკასიის დამორჩილებას და ირანისთვის დაქვემდებარებას.*

მარაბდის ბრძოლა 1625 წლის 1-ელ ივლისს გაიმართა და მასში მონაწილეობა ორივე მხრიდან ღირსეულმა მხარეებმა მიიღეს. ეს იყო იმდროინდელი კავკასიის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური სამხედრო ეპოპეა, რომელმაც გავლენა მოახდინა როგორც საქართველოზე, ისე ირანის ექსპანსიურ პოლიტიკაზე კავკასიაში. მიუხედავად მარაბდასთან გენერალურ ბრძოლაში დამარცხებისა, ქართველებმა შეძლეს ომის გაგრძელება და ქვეყანაში შემოსული ირანული საარმიო ნაწილების განადგურება.

## ირანის ჯარი

ირანის ერთ-ერთმა უდიდესმა შაჰმა, აბას I-მა თავის ჯარში მნიშვნელოვანი სამხედრო

რეფორმების გატარება გადაწყვიტა, რაშიც ორი ინგლისელი თავგადასავლების მადიებელი მძა დაიხმარა. მძებნი ანტონ და რობერტ შირლეები სპარსეთში 1598 წელს ჩავიდნენ, რათა ირანი წაექეხებინათ, რომ ანტიოსმალურ კავშირში შესულიყო. 1587 წელს, როცა აბასი ირანის შაჰი გახდა, სახელმწიფოს 60 ათასამდე მეომრის მობილიზება შეეძლო, რომელთა დიდ ნაწილს ცხენოსანი ჯარი შეადგენდა. ყიზილბაშები ჯარის დიდ ნაწილს წარმოადგენდნენ და ბევრი სამხედრო თანამდებობაც ეკავათ. შაჰმა მათი რაოდენობა თითქმის გაანახევრა და მისი მმართველობისას ირანში სულ 30 ათასამდე ყიზილბაში ჯარისკაცი შემორჩა. მძებნი შირლეებისა და



მარაბდის ველი

სხვა ვეროპელი სამხედრო პირების დახმარებით აბასმა ჩამოაყალიბა არმიის მთავარი ბირთვი, 40 ათასი გაწვერთნილი მებრძოლისგან შემდგარი ჯარი, საუკეთესოდ აღჭურვილი ცეცხლსასროლი და ცივი იარაღით. ამ 40 ათას მეთომარში შედიოდნენ არტილერიისტებიც, ანუ თოფჩები, რომელთა მეთაურს თოფჩიბაში ეწოდებოდა. ირანს იმ დროისთვის ძლიერი არტილერია ჰქონდა. თოფოსან ჯარს სპარსელები თოფანგილარს უწოდებდნენ, თოფოსნებს კი თოფანგჩის. ამ შენაერთის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს იტალიელი მოგზაურის, პიეტრო დელა ვალეს (1586-1652) დოკუმენტები. ძმები შირლების რჩევით, შაჰმა თოფანგილარის რაზმები ძირითადად ირანელი გლეხებისგან ჩამოაყალიბა. იყვნენ ცხენოსანი თოფანგჩებიც. დელა ვალეს ცნობით, თოფოსანთა შენაერთი შაჰ აბასის საყვარელი საჯარისო ნაწილი იყო და მის განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევდა.

ჯერ კიდევ შაჰ თამაზ I-ის დროს ირანში შეიქმნა 4,5-5 ათასი მეთომრისგან შემდგარი გვარდია, რომელსაც ყორჩილარს უწოდებდნენ (ყორჩი მონღოლურად მშვილდოსანს ნიშნავს). შაჰ აბასის დროს მათი რაოდენო-

ბა გაიზარდა და 12 ათას მეთომრამდე ავიდა. ისინი შეიარაღებული იყვნენ მუშკეტით, ხმლით და ზოგჯერ ცულით. ყორჩილარის მეთომრები განსხვავდებოდნენ დანარჩენი ყიზილბაში ჯარისკაცებისგან, თუმცა ბრძოლის დროს მათაც ხშირად ეხურათ ტრადიციული ყიზილბაშური ქუდები. ყორჩილარის მეთაურს ეწოდებოდა ყორჩი-ბაში და ირანის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ფიგურას წარმოადგენდა. მარაბდის ბრძოლაში ირანელთა სარდალი ისა-ხანი სწორედ ამ ტიტულს ატარებდა. აქედან ჩანს, რომ შესაძლოა საქართველოში შემოსულ ირანულ ლაშქარში ყორჩილარის ნაწილებიც ყოფილიყო.

შაჰ თამაზ I-ს დროს დაიწყო თურქმან დულამთა ფორმირებაც და მათი დაწინაურება სამხედრო და სამოქალაქო ასპარეზზე, რაც მისი მემკვიდრეების დროს, განსაკუთრებით შაჰ აბას I-ის მმართველობისას აქტიურად მიმდინარეობდა. ირანის ისტორიის ცნობილი მკვლევარი კაევჰ ფაროკი წერს, რომ ისე-

სერ რობერტ შირლი







სეფევიდების პერიოდის ირანელი მხედარი

*ზოსრო-მირზა მოგვიანებით ქართლის ვალად დაინიშნა როსტომ ხანის სახელით*



ვე როგორც ოსმალები, ირანელებიც იყენებდნენ ქართველ და სომეხ მონებს მეომრებად. ზრდიდნენ ღულამების მსგავსად, ასწავლიდნენ მუშეკეტის, მშვილდ-ისრის, ხმლის, შუბისა და ცულის გამოყენებას. XVII საუკუნის ფრანგი მოგზაური ტავერნიე აღნიშნავდა: „ღულამები იმით გამოირჩევიან, რომ მათი ამბოხება ძალიან იშვიათია, რადგან რამდენადაც ისინი სხვადასხვა ერის მონები არიან, მათ არა აქვთ არც დამაკავშირებელი ძაფი და არც ნათესაური კავშირი; და როცა მეფეს რომელიმე მათგანის დასჯა სურს, ის იყენებს მათ მეთაურს საკუთარი ბრძანების შესასრულებლად“. შაჰ აბასის დროს ღულამთა რიცხვი არ აჭარბებდა 15 ათასს. სასახლის გვარდია (ყულის ჯარი) ეწოდებოდა კარგად შეიარაღებულ და გაწვრთნილ 3 ათას მეომარს, რომლებიც ყველგან დაჰყვებოდნენ თავიანთ მბრძანებელს.

ყიზილბაშები, რომელთა დიდი ნაწილი წარმოშობით თურქმანი იყო, ცხენოსან ჯარში კვლავ ტრადიციას მისდევდნენ და ცეცხლსასროლი იარაღი მათ შეიარაღებაში არ დომინირებდა. ისინი იყოფოდნენ ასკაციან რაზმეულებად, რომელთაც უზბაშები მეთაურობდნენ. ჯარში სასტიკი დისციპლინა სუფევდა და ყველა დამრღვევი სასტიკად ისჯებოდა. ამ რეგულარული სამხედრო ნაწილების გარდა, ირანს უზარმაზარი არმიის შეკრება შეეძლო ომის დროს, თუმცა საბრძოლო თვისებებით არარეგულარული ჯარი ბევრად ჩამორჩებოდა ღულამების კორპუსს. ომის დროს გაწვეული ირანელი გლეხები შეიარაღებულები იყვნენ მსუბუქად და ომისთვისაც მოუშზადებელნი, ამიტომ მთავარ ძალად მაინც ღულამების რეგულარული ნაწილი მიიჩნეოდა. ირანის არტილერიის ნაწილი მართლაც გამართული ზარბაზნებითა და გაწვრთნილი არტილერისტებით იყო შედგენილი. ირანელები იყენებდნენ ზამბულაკებსაც, პატარა ქვემეხებს, რომლებიც აქლემის ზურგზე მაგრდებოდა და ამიტომ ძალიან სწრაფი და მობილური იარაღი გახლდათ.

მარაბდასთან ბრძოლისას ირანელებმა 50 ათასი მეომარი გამოიყვანეს, რომელთაგან 12 ათასი საუკეთესოდ შეიარაღებული და გაწვრთნილი თოფოსანი ანუ თოფანგჩი იყო. დანარჩენი კი რჩეული მხედრობა და ქვეითი ჯა-

რის ნაწილები. არმიის მთვარსარდალი იყო შაჰ აბასის სიძე, ისა-ხან ყორჩიბაში, ხოლო თანაშემწე სარდლები იყვნენ შირვანის ბეგლარბეგი ყაზახ-ხან ჩერქეზი, ერევნის ბეგლარბეგი ამირგუენ-ხანი (ყვითელი ჯიქი), აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰბენდე-ხანი და ისპაჰანის ტარულა, ქართველი ბატონიშვილი, ხოსრო-მირზა. უნდა ითქვას, რომ ამ 50 ათას მეომარს შორის ბრძოლის დაწყებისას შაჰბენდე-ხანი არ იდგა. ის მხოლოდ მოგვიანებით გამოჩნდა თავისი ჯარით და ბრძოლის ბედის გადაწყვეტაში დიდი როლი შეასრულა. ირანის არმია ბრძოლაში თავდაცვითი წყობით იდგა და ქართველებს მთელ ფრონტზე ძლიერ ცეცხლს უპირისპირებდა ზარბაზნებითა და თოფებით, ხოლო შაჰბენდე-ხანის გამოჩენის შემდეგ კონტრშეტევაზე გადავიდა.

### ქართლ-კახეთის ჯარი

XVII საუკუნის ქართული არმია ძალიან ჩამორჩებოდა როგორც ევროპის, ისე ირანის არმიას განვითარების დონით, შეიარაღებითა და ტაქტიკით, ამიტომ დიდად არ განსხვავდებოდა XIV-XV საუკუნის ქართული ფეოდალური ლაშქრისგან. ქართველი მეომრების დიდი ნაწილი გლეხობისგან შედგებოდა, რომლებიც ქვეითად იბრძოდნენ და აღჭურვილი იყვნენ ჯაჭვის პერანგით, მუზარადით, ფარით, ხმლით, შუბით, მშვილდ-ისრით ან უკეთეს შემთხვევაში თოფით. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, ჯაჭვის პერანგის ხუთი სახეობა არსებობდა — სამანქანი, ზეიდალი, ხოსროვანი, ქირაფქა და ჯაბალა. ცეცხლსასროლი იარაღი საქართველოში

პირველად თემურ-ლენგს უნდა გამოეყენებინა XIV საუკუნეში. XV საუკუნესა და შემდეგ კი ქართულ წყაროებში უკვე ჩნდება ცნობები ზარბაზნების, თოფებისა და ზამბულაკების შესახებ. თავდაპირველად ასეთი იარაღი თურქეთიდან და რუსეთიდან შემოდიოდა, უფრო გვიან საქართველოშიც გაჩნდა თოფხანები. ცხენოსნების საწვრთნელად იყენებდნენ სხვადასხვა თამაშსა და შეჯიბრებას, ასევე ნადირობას. ამიტომ ქართველი მხედრები გამოცდილი და გაწაფული მეომრები იყვნენ. ინდივიდუალურად არაფრით არ ჩამორჩებოდნენ და ხშირად აღემატებოდნენ კიდევ მოწინააღმდეგეს.

ყველაფერთან ერთად, ქართლ-კახეთი მტერს ძალიან ჩამორჩებოდა არმიის რიცხოვნობით და 50 ათასი სპარსელის წინააღმდეგ სულ 20 ათასი მეომარი გამოჰყავდა. მიუხედავად ამისა, ქართველებს ჰქონდათ რამდენიმე უპირატესობა: თავიანთ მიწაზე იბრძოდნენ, შესანიშნავად იცნობდნენ ადგილმდებარეობას და რაც მთაურია, იცოდნენ, რომ სამშობლოსთვის და ყველაფერი იმისთვის იბრძოდნენ, რაც მათთვის ძვირფასი იყო. ეს მათ სიმამაცეს მატებდათ და ბრძოლაში გამარჯვების იმედს აძლევდათ. კიდევ ერთი უპირატესობა ქართველებისა ის იყო, რომ ადგილობრივი მოსახლეობისგან შემდგარი რაზმები, მიუხედავად იმისა, რომ რეგულარული ჯარის ნაწილები არ იყვნენ, არარეგულარული ირანული სამხედრო ნაწილების ჯარისკაცებს ბევრად აღემატებოდნენ, როგორც სამხედრო ხელოვნების ფლობით, ისე სიმამაცითა და ბრძოლაში გამოცდილებით, რადგან XVI-XVII სა-

შაჰ აბას I-ის გამოსახულება ისპაჰანის ჩეჩელ სოტუნის სასახლის კედელზე







გიორგი სააკაძე  
და  
თეიმურაზ I  
ღონ  
ქრისტოფოროს  
დუ კასტელის  
ნახატები



ქართველი მეომრის საჭურველი XVII-XVIII სს.



უკუნეების განმავლობაში ქართველები მუდმივ ომებში იყვნენ ჩართული.

ქართველთა კიდევ ერთი დიდი უპირატესობა გიორგი სააკაძე იყო, მრისხანე მებრძოლი და ჭკვიანი სარდალი, რომელმაც სახელი გაითქვა როგორც კავკასიაში, ისე ირანსა და ავღანეთში, როგორც შესანიშნავმა მხედართუფროსმა. სააკაძე გამოცდილი იყო როგორც ირანელთა წინააღმდეგ, ასევე მათ მხარდამხარ ბრძოლაში, ამიტომ კარგად იცოდა შაჰ აბასის არმიის ძალა და შესაძლებლობა. 1609 წელს მან გაიმარჯვა ტაშისკარის ბრძოლაში ყირიმელ თათართა წინააღმდეგ. საქართველოდან გაქცევის შემდეგ ირანელებთან ერთად მონაწილეობდა ყანდაჰარის, ბაღდადის აღებასა და სხვა ბრძოლებში. 1625 წელს მარაბდის ბრძოლაში, სააკაძე შაჰის ჯარს შემოუძღვა საქართველოში, თუმცა ჩუმად დაუკავშირდა ქართველებს და მტერი მარტყოფის ველზე გაანადგურა. ქართველებს ალბათ შეცდომა მოუვიდათ, როცა ბრძოლაში მთავარსარდალად მეფე თეიმურაზ I დაადგინეს, რომელიც ვერც დიდი გამოცდილებით დაიკვებინდა და ვერც სამხედრო ნიჭით, მაგრამ იგი მეფე იყო, რაც უმთავრესად მის უმაღლეს მხედართმთავრობასაც გულისხმობდა. დანარჩენი სარდლები იყვნენ: ზურაბ არაგვის ერისთავი, მისი ძმა დავით ერისთავი, ქვემო ქართლის სპასპეტი ბარათა ბარათაშვილი, იასე ქსნის ერისთავი, თეიმურაზ მუხრანბატონი, მისი ძმა ქაიხოსრო მუხრანბატონი, ალათანგ ხერხეულიძე, ბაადურ ციციშვილი, დავით ჯანდიერი და მანუჩარ ათაბაგი, ასევე ოთხი ეპისკოპოსი — მროველი (რუისურბნისის ეპისკოპოსი), ალავერდელი, რუსთველი და ხარჭაშნელი.

თათბირზე ყველა სამხედრო მეთაურმა გამოთქვა აზრი, როგორ წარემართათ ბრძოლა მტრის დიდ და უკეთ შეიარაღებულ ჯართან. გიორგი სააკაძის აზრით, ქართველები კოჯორ-ტაბახმელის მთებში უნდა დარჩენილიყვნენ და მტრის შემოტევას იქ დალოდებოდნენ, რათა თავად აერჩიათ მომგებანი პოზიცია და არ მიეცათ ალყის შემორტყმის საშუალება მრავალრიცხოვანი ირანელებისთვის. მას ემხრობოდა ბაადურ ციციშვილიც. ზურაბ ერისთავი, მანუჩარ ათაბაგი, ბარათა ბარათაშვილი და ძმები მუხრანბატონები მტერზე იერიშს მოითხოვდნენ. ასეც მოხდა.

გადაწყდა დილით ადრე, გამთენიისას შეეტი-  
ათ მტრისთვის. ბრძოლაში მხედართმთავრად  
თეიმურაზ I დანიშნეს. ბრძოლის წინ ჯარი  
რუისის ეპისკოპოსმა, მროველმა დომენტი  
ავალიშვილმა აზიარა და დალოცა. საინტე-  
რესო ფაქტია მარაბდის ბატალიაში ცხრა მძა-  
ხერხეულიძის მონაწილეობა და მათგან გა-  
მოჩენილი გმირობა.

### ბრძოლა

ირანელები ბრძოლას მომზადებული დახ-  
ვდნენ, მით უმეტეს, ცეცხლსასროლი იარა-  
ღის მაქსიმალური გამოყენებისთვის საუკე-  
თესო პირობები ჰქონდათ. მათ სანგრები გათ-  
ხარეს, მიწაყრილებზე ზარბაზნები დადგეს,  
შემდეგ 12 ათასი თოფოსანი განალაგეს ოთხ  
რიგად. პირველ რიგში ცალ მუხლზე ჩაჩო-  
ქილი თოფოსნები იდგნენ, მეორე რიგში ფეხ-  
ზე მდგომები, მესამე-მეოთხეში აქლემებზე  
ამხედრებული მეთოფეები და ზამბულაკის  
მსროლელები. მუშეკეტურთა მასას ერთიანი  
მძლავრი ცეცხლით უნდა შეეჩერებინა მოწი-  
ნალმდევე. ჯარის მქონავე ნაწილს ამირგუ-  
ნე-ხანი ანუ სარუ ასლანი (ყვითელი ჯიქი)  
მეთაურობდა. ცენტრში მძლავრი კავალერი-  
ული შენაერთი იდგა ისა-ხან ყორჩიბაშის მეთაურობით, დანარჩენ ნაწილებს ხოსრო მირ-  
ზა და ყაზახ-ხან ჩერქეზი ედგნენ სათავეში.

მეფე თეიმურაზმაც განალაგა ჯარი საომ-  
რად. წინ კავალერია დააყენა, უკან — ქვეითი  
ჯარი, თუმცა რომელ სარდალს რა ადგილი

ეჭირა, არ არის ცნობილი. შეტევა ქართვე-  
ლებმა დაიწყეს. სათოფე მანძილამდე წელი,  
მწყობრი ნაბიჯით იარეს, სათოფეზე კი ია-  
რადი მოიმარჯვეს და ცხენები გააჭვნეს. სპარ-  
სელთა თოფოსანმა ჯარმა ერთიანი ცეცხლი  
გაუხსნა ქართულ კავალერიას, მაგრამ მიუ-  
ხედავად ამისა, ვერ მოახერხა ნიაღვარივით  
წამოსული მხედრობის შეჩერება და ქართვე-  
ლებმა მოახერხეს ირანელთა რიგების გადა-  
თელვა. ბრძოლაში დაიჭრა ამირგუნე-ხანი.  
განსაკუთრებული სიმამაცით იბრძოდნენ გი-  
ორგი სააკაძე და ზურაბ ერისთავი. ყაზახ-ხან  
ჩერქეზი თავის ჯართან ერთად გაიქცა, უკან  
ავთანდილ სააკაძე და დავით ერისთავი მიჰ-  
ყვნენ თავიანთი მხედრობით. მალე მარჯვენა  
ფლანგიც დამარცხდა, რომელსაც ხოსრო-  
მირზა სარდლობდა. ისა-ხან ყორჩიბაშმა რჩე-  
ული ნაწილებით უკან დაიხია და ქართველებმა  
მისი ბანაკიც ჩაიგდეს ხელთ. ირანულ ბანაკ-  
ში უამრავი სიმდიდრე აღმოჩნდა, რასაც ქარ-  
თველები სწრაფად დაესივნენ და ნადავლის აკ-  
რეფა დაიწყეს.

სწორედ ამ დროს, როცა ავთანდილ სააკა-  
ძე და დავით ერისთავი მტერს შორს გაეკიდნენ  
და თვალს მიეფარნენ, ხოლო ქართველთა რი-  
გები არეული იყო, ბრძოლის ველზე შაჰბენდ-  
ხანის ჯარი გამოჩნდა, რომელსაც ისა-ხან  
ყორჩიბაშისა და ხოსრო-მირზას ნაწილებიც  
შეუერთდნენ და ერთობლივი იერიში მიიტა-  
ნეს ქართლ-კახეთის არეულ ჯარზე. ბრძო-  
ლა განაზღვრა, მაგრამ უკვე გამოჩნდა, რომ

ირანული არტილერია მოქმედებისას

სეფევიდების დროს







ცხრა ძმა ხერხეულიძის საფლავები მარაბდის ეკლესიის ეზოში



მარაბდის ეკლესია. ბიორბი თეოდორაძის ფოტო



შემცირებული და დაფანტული ქართველები წინააღმდეგობას ვეღარ უწევდნენ მტრის უზარმაზარი არმიის მჭიდრო რიგებს. დაეცა თეიმურაზ მუხრანბატონი, დავით ჯანდიერი, ალათანგ ხერხეულიძე, დაიღუპნენ ეპისკოპოსები — რუსთველი და ხარჭაშენელი, დაეცა ბაადურ ციციშვილიც. დაიღუპნენ დროშის მცველი ძმები ხერხეულიძეები. გიორგი სააკაძე და თეიმურაზ I მამაცურად იბრძოდნენ, მაგრამ ბრძოლის ბედის შემოტრიალება უკვე აღარ შეეძლოთ. ქართველთა ნაწილმა თავს უშველა, ხოლო დანარჩენი მარაბდის ველზე უსულოდ ესვენა.

ბრძოლის შედეგები ასეთი იყო: დაიღუპა 14 ათასამდე ირანელი და 10 ათასამდე ქართველი. ეს საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ბრძოლა იყო, რომელშიც ქართული ლაშქარი დამარცხდა, მაგრამ ვერც მტერმა მოიპოვა დიდი გამარჯვება, რადგან დაეღუპა არმიის დიდი ნაწილი და უცხო ქვეყანაში ბრძოლისთვის ძალები აღარ ეყო. ბრძოლაში ქართველთა დამარცხება დიდწილად არახელსაყრელ პირობებს და სარდალთა არასწორ მოქმედებას შეიძლება მივაწეროთ. მარაბდის ბრძოლაში გამოიკვეთა ქართველ სარდალთა, განსაკუთრებით თეიმურაზ I-ის სისუსტე, ჯარის ტაქტიკური გაუმართაობა, ჭარბ ძალებთან მინდორზე შეტაკება და სხვა სამხედრო პრობლემები. მეთაურთა გასამართლებლად შეიძლება მოვიყვანოთ ის არგუმენტი, რომ ჯარის მუდმივად შენახვა, გამოკვება და თვეების განმავლობაში 20 ათასი კაცის იარაღქვეშ ყოფნა ფეოდალური ქვეყნისთვის, რომელიც მძიმე ვითარებაში იმყოფებოდა, ძვირად ღირებული იქნებოდა. სარდლობამ გადაწყვიტა, სანამ ეს 20 ათასი მეომარი მათ ხელთ იყო, დაერთყა და ერთიანად დაემარცხებინა მტერი. შემტევი მხარე კი ძირითადად იძულებულია, მიიღოს მოწინააღმდეგის პირობები, რომელიც თავდაცვით პოზიციას იკავებს. ეს ყველაფერი ერთად მარცხის მიზეზი გახდა. საბოლოოდ, სააკაძემ მოახერხა ირანელთა ამ შემოტევის მოგერიება პარტიზანული ტაქტიკის გამოყენებით და ამით შაჰ აბასის კიდევ ერთი ცდა ქართლის მთლიანად დაპყრობისა, უშედეგოდ დასრულდა.

ნიკა სოფიანი



# უსვინათ „ისტორიანს“ რადიო პალიტრის ეთერში

საქართველოსა  
და მსოფლიოს  
ისტორიის ნაცნობი  
და უცნობი ფაქტები,  
პიროვნებები,  
მოვლენები-ახალი  
კუთხით!



თოქოუს  
ავტორი და წამყვანი  
ჯაბა სამუშია

ჩვენთვის ტაბუდადებული თემები არ არსებობს!



უსვინათ!

**FM 103.9**

[www.palitratv.ge](http://www.palitratv.ge)

უყურეთ!



ყოველ სამუშაოს  
**16.00** სთ-ზე  
განმეორებით კვირას  
**17.00** სთ-ზე





## თარხანოვების ზღაპრული სახლი

*სიძველეებისადმი დამოკიდებულება განსზვავებულია. როცა ძველი ნივთები ძვირფას ადამიანთან დაკავშირებულ დღეებს ახსენებთ, უფვარდებით და გადასაყრელად ენანებათ. თუმცა ერთ დროს საყვარელი ნივთი ზოგჯერ სიმძიმედაც კი იქცევა, წარსულისკენ გვაბრუნებს და თითქოს ახალ ემოციებს ეღობება. მაგრამ ძველი შენობების შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა...*

სოლოლაკი სხვა უბნებისგან, სადაც უმთავრესად დიდ კორპუსებში ყველა თავისთვის ცხოვრობს, იმიტაც გამოირჩევა, რომ ადამიანურ ურთიერთობათა ფეიერვერკი გამვლელისთვისაც საგრძნობია: ორი, სამი და ზოგჯერ მეტი ოჯახისთვისაც საერთო, დაბზარული და ღრიჭოებიანი სამზარეულოებიდან გამოსული ჭურჭლის ხმაური, ვიწრო ქუჩებში დატრიალებული ახალმომზადებული კერძების სუნი, გაზაფხულზე აყვავებული ტყემლის ხეების ქვეშ ნარდის სათამაშოდ შეკრებილი პენსიონერები, კამათლების წკარუნის ხმა, ბავშვების ჟივილ-ხივილი, კლასობანა და შვიდქვაობანა... ერთი მეგობარი მყავს, მთელი ბავშვობა

ვერცხლის ქუჩაზე გაატარა ხის რიკულებიან ძველ სახლში. მშობლების გარდაცვალების შემდეგ საბურთალოზე გადასახლდა ახალაშენებულ ბინაში და მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: დავისვენე, აღარც ჭერიდან ცვივა ბათქაში, ფეხქვეშ იატაკიც აღარ ჭრიალებს და მუსიკას რა ხმაზეც მინდა, ვუსმენ — როზას შემოვარდნისა აღარ მეშინია, რომ დამკივლებს, სხვებიც ვცხოვრობთ ამ სახლშიო. თუმცა უნდა გითხრათ, რომ მისმა „აღფრთოვანებამ“ დიდხანს არ გასტანა. ერთი წლის შემდეგ უკვე მისტიროდა იმ ძველ, ბათქაშამოცვენილ, ჭრიალიათაკიან, მაგრამ კეთილ, თბილ და სიყვარულით სავსე სახლს.

სოლოლაკის ძველი სახლების დაკიდული აივნები, აჟურული მოაჯირები და ვარდულებით, რომბებით, არშიებით გაფორმებული თაღები ჭლექიანობის მძიმე წლების მოგონებასაც ინახავენ და ბენდიერი დღეებისაც. ამ ადგილებს მეფისა და დედოფლის ბაღების გასაოცარი ყვავილები ახსოვთ, მთელ სოლოლაკს რომ ნელსურნელებით ავსებდნენ XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. მერე ნელ-ნელა სოლოლაკის ბაღებმა ბურჟუაზიულ საცხოვრებელ სახლებს დაუთმო ადგილი. 1844 წლის გვერდზე აქ უკვე აღნიშნულია ქუჩები, სახლებიც მომრავლებულია, თუმცა ტერიტორიის დიდი ნაწილი მაინც ბაღებს უჭირავს. საუკუნის შემდეგ კი სოლოლაკი ქუჩებით თითქმის მთლიანადაა დასერილი და განაშენიანება დიდად ჭარბობს ბაღებს.

„მხარდი ქალაქი უშუალოდ მიეზღინა სოლოლაკის წალკოტს, ერეკლეს მშვენიერი ბაღი, განთქმული თავისი ჩრდილოვანი ვერხვებითა და ალვის ხეებით, ახლა განკუთვნილია ახალი უბნის ასაგებად“, — წერდა ფრანგი ვაჭარი და მოგზაური ჟან ფრანსუა გამბა 1926 წელს. ამ დროიდან მოყოლებული, ოცი წლის განმავლობაში ნადგურდებოდა „წალკოტნი და საგარდენი მრავალნი, ყოვლის ხილითა და ყვავილითა სავსე“, რომელთაც ვახუშტი მოიხსენიებს „გარემოდ ქალაქისა“. სწორედ ამ დროიდან იქმნება დღემდე თითქმის უცვლელად შემორჩენილი სოლოლაკის ქუჩების ქსელი.

სახლი, რომელზეც მინდა გვიამბოთ, კლდისუბანში, ბეთლემის ქუჩის სამ ნომერში მდებარეობს.

ახლახან მეგობრებთან ერთად ფოტოგრაფიას ვსწავლობდი და როცა კურსებზე თბილისის არქიტექტურის გადაღება დაგვაუღეს, დიდიდან საღამომდე ძველი თბილისის ქუჩებში დავეხეტებოდით, არ ვტოვებდით არც ერთ სადარბაზოსა და ეზოს. რა თქმა უნდა, გვეგონა, რომ ამოცანას კარგად ვასრულებდით, მერე კი აღმოვაჩინეთ, რომ უამრავ ფოტოგრაფს გადაეღო ჩვენამდე ეს სახლები და ჩვენზე უკეთაც. თუმცა ერთად „მოგზაურობა“ და სიძველეების „აღმოჩენა“ მოგვწონდა. ჰოდა, ერთ-ერთი ასეთი ხეტილისას, როცა დღის ბოლოს კაფეში გამამხნეველები ყავის ფული არც ერთს არ აღმოგვაჩინა, ხის უზარმაზარ, გაშლილ აივანზე, რომელიც ბეთლემის ქუჩას გადმოჰყურებდა, საგარძლებს მოვკარით თვალი. დიდხანს არ გვიფიქრია, დასასვენებლად ავედით. სახლს ულამაზესი, ფერადი ვიტრაჟებით შემინული სადარბაზო ჰქონდა. გარედან შემოსული შუქისგან შებინდებისას აქ ფერადი ზღაპარი ტრიალებდა. ძველი საგარძლების გარდა, ხის აივანზე მაგიდაც აღმოვაჩინეთ, დივანიც, თანაც ამ სართულზე აშკარად არავინ ცხოვრობდა, ოთახებში შუქი არ ენთო და ჩვენც მეტი რა გვინდოდა, ჩავესვენეთ საგარძლებში და მთელი დღის სიარულისგან დადღილი, მონუსხული გავცქეროდით განათებულ ქალაქს. მას მერე აქ ხშირად დავდიოდით, ვისვენებდით, ვსაუბრობდით, ერთმა დაბადების დღეც აქ გადაიხადა, ღია აივანზე. მოკლედ, ჯიბეგაფხეკილი სტუდენტებისთვის ზედგამოჭრილი ადგილი იყო ძველი საგარძლებით, მაგიდითა და ულამაზესი ხედით. მერე აქ

თარხანოების სახლი  
ავტორის ფოტოვარი







გაზაფხული თარხანოების ეზოში

ვილაცები გადმოვიდნენ საცხოვრებლად, მაგიდაცა და საგარძობიც სადღაც გაქრა. ძველ მეგობრებსაც იშვიათად ვხვდები, თუმცა როცა ვხვდებით, ერთხელ მაინც ვასსენებთ: „აუ, ფერადი სახლი გახსოვს?“

როცა ამ სახლიდან საჟურნალო რეპორტაჟის მომზადება დავაპირე, ისიც გავიგე, რომ მისთვის, გამორჩეული მხატვრულ-ისტორიული ღირებულებების გამო, ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსი მიუნიჭებიათ. მართლაც ზღაპრულ სასახლეს ჰგავს რომბების, სამკუთხედების, წრეებისა და ობობას ქსელის ფორმის ალათეხში (ჩარჩოებში) ჩასმული ფერადი ვიტრაჟებით. აივნის მოაჯირებზე რთულნახატიანი, ფაქიზი ორნამენტები ხელითაა ამოკვეთილი. მრგვალ სვეტებს შორის დეკორატიული, აჟურული თაღებია, მაქმანისებური კიდევებით. შენობას ორი დიდი ეზო აქვს და ბეთლემისა და ასკანის ქუჩების შესაყართან საკმაოდ დიდი ადგილი უკავია.

XIX საუკუნის შუა წლებში აუგიათ. ზუს-

ტად არავინ იცის, ფრანგმა არქიტექტორმა რიპარმა დააპროექტა შენობა, იტალიელმა სკუდიერიმ თუ რომელიმე სხვა ევროპელმა, რომლებმაც რამდენიმე ასეული სახლი — სავაჭრო, ადმინისტრაციული თუ საზოგადოებრივი შენობა შეკმატეს იმ დროის თბილისს. სახლს ევროპელი არქიტექტორის ხელი ნამდვილად ეტყობა, განსაკუთრებით, ვიტრაჟებიან სადარბაზოს. აივნის ხელით ნაკვეთი ორნამენტები და სვეტისთავეების დეკორატიული თაღები კი ალბათ თბილისის დურგალთა ამქრის ნამუშევარია. სვეტისთავეების მაქმანებიანი თაღები ისეთი გულმოდგინებით ამოუკვეთავთ, შესაძლოა ხეზე კვეთის ნამდვილ ოსტატთა გედის სიმღერაც კი ამოვიკითხოთ ამ დახვეწილ და ფაქიზ დეკორატიულ ელემენტებში. 1850 წლის დოკუმენტების მიხედვით თბილისში ხომ უკვე აღარ მოიძებნებოდნენ მძერწავი ოსტატები, რომელთაც ხელწიფებოდათ დორიული, იონიური და კორინთული სვეტისთავეების, არაბესკიანი ფრიზების,

მრგვალი როზეტებისა და მსგავსი ორნამენტების გამოყვანა.

ამ სახლში თავდაპირველად ქალთა პანსიონი ყოფილა, სადაც ფრანგულს, მუსიკას, ცეკვასა და ჭრა-კერვას ასწავლიდნენ. შეიძლება სწორედ აქ, ამ ზღაპრულ სასახლე-პანსიონში ჩამოდის „სრულიად ახალი სახეობის არტისტი, ბრესლავერი ველნერი, რომელიც ქალებს რამდენსამე საათში ასწავლის ჭრა-კერვას ჟურნალების მოღური ნახატების მიხედვით“, როგორც ამას მაშინდელი პრესა იუწყებდა.

ალბათ ამ პანსიონის ქალები ოდესიდან ჩამოსული პელეტეის ფრანგული წიგნების ბიბლიოთეკაშიც დადიოდნენ და ბლოტის მოდების მაღაზიის ხშირი სტუმრებიც იყვნენ, სადაც საფრანგეთიდან ჩამოჰქონდათ: პოლანდიური ტილოს ხელთათმანები, მარაოები, ბრინჯაოს ნივთები, გრაფიურები, მოოქრული ჩარჩოები, ქალის კაბები და ქუდეები.

ალბათ ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ გოგირდის აბანოებში, ხუთშაბათობით დილაადრიან მიემართებოდნენ მამადავითზე სალოცავად, ოფიციალურ სადამოებსაც არ აცდენდნენ, მცირე შეძლების თაგდანაურთა წრის ან ქალაქის საშუალო ფენის ქალები კი სადამოობით ბანებზე ცეკვა-თამაშით ირთობდნენ თავს.

ბარონი ტორნაუ, რომელიც 1832 წელს ჩამოსულა თბილისში, გადმოგვცემს, რომ ამ დროს მხოლოდ უმაღლესი წრის რამდენიმე ქართულ ოჯახში ეცავთ ქალიშვილებს მოღური ფრანგული სამოსი, ქართველი მამაკაცები კი ეროვნულ ტანსაცმელს მხოლოდ სამხედრო სამსახურში ჩადგომისას თმობდნენ და მუნდირს იცვამდნენ, მაგრამ ფრაკსა და მრგვალ ქუდს განსაკუთრებულად ერიდებოდნენ, როგორც მათთვის დიდად შეუფერებელ სამოსს. თავიდან ქალბატონებიც არ თმობდნენ თურმე ყურთმაჯიან კაბებს, მაგრამ ახლებურ და მოღურ ფეხსაცმელზე უარს არ ამბობდნენ და ჩიხტიკოსაც იშორებდნენ, ამას მოსდევდა ფრანგული კადრილისა და რუსული ენის სწავლა, „ანტრამა“, „ვარშაული ტანცაობა“ და „რეფორმაც“ ხშირად ამით მთავრდებოდაო.

ბეთლემის სამი ნომრის ფერადი სახლის ახლანდელ მცხოვრებთაგან ყველაზე ძველი ბინადარი 70 წლის ვანიკა ხაჩატურიანია. აქ ცხოვრობდნენ მისი ბაბუაცა და მამაც. ორივენი მღებავები იყვნენ და თვითონაც ეს ხელობა აირჩია. მისი ყველა ბავშვური მოგონე-



*დეკორატიული დეტალები თბილისის დურგალთა ამქრის ნახელაფია...*

ბა ამ სახლს უკავშირდება. მთელ კალაში თარხანოების სახლს ეძახდნენ ვიტრაჟებიან სასახლეს, რადგან პანსიონის დაშლის შემდეგ ვაჭარ თარხანოვს უყვიადა, მერე მის შთამომავლებს ნელ-ნელა გაუყვიადათ ოთახები ცალცალკე და ბოლო თარხანოვი ამ სახლში მესაათე ლიოვა ყოფილა, რომელიც ვანიკა ხაჩატურიანს კარგად ახსოვს.

იმასაც იხსენებს, როგორ თამაშობდა ებრაელ შალიკოსთან და ბორია აზატოვთან ერთად ამ ეზოში გრძელ ვირს, მოკლე ვირს, შეიძქვაობანასა და თვალხუჭობანას; როგორ იპარებოდნენ ბერიას კლუბში, ახლანდელ სამეფო უბნის თეატრში ფილმების ჩვენებებზე; როგორ დასცინოდნენ ბავშვები მალულად მერე სართულის ბინადარ პოლკოვნიკს, რომელსაც პოლკოვნიკისთვის სრულიად შეუფერებელი ჩვევა ჰქონდა თურმე: მანქანამდე ფეხსაცმლით მიდიოდა, სალონში კი ოთახის ფლოსტებს იცვამდა. სახალისო იყო იმის დანახვა, მუნდირიანი კაცი მანქანას რომ ოთახის ფლოსტებით



მართავდაო. ამავე სახლში ცხოვრობდა თურმე თეატრის განთქმული მკერავი, რომელიც მაკო საფაროვა-აბაშიძის, ნატო გაბუნias, ელისაბედ ჩერქეზიშვილისა და ლადო მესხიშვილისთვის კერავდა სპექტაკლის სამოსს.

მიუხედავად იმისა, რომ სახლის ავარიული მდგომარეობა მესამე ხარისხითაა შეფასებული, ვანიკა ხაჩატურიანსა და მისი ოჯახის წევრებს აქედან გადასვლა არასოდეს უფიქრიათ. სხვა უბნები ქალაქად არ მიაჩნია ვანიკო პაპას და ამბობს, რომ ნამდვილი თბილისი სწორედ აქ არის. ხაჩატურიანების ოჯახი ერთადერთი იყო ამ სახლში, ვინც ინვესტორების შემოთავაზებას არ დათანხმდა და უარი თქვა საბურთალოს ახალაშენებულ „ელიტურ“ კორპუსში გადასვლაზე. ვანიკა ანუშა ბებიას იხსენებს, რომელიც ცხარე ცრემლით ტიროდა თურმე, როცა ვანიკას ბიძა იქვე, ხუთი დეკემბრის ქუჩაზე გადასულა საცხოვრებლად, — ეს სად გაუუშვი შეილიო.


ბეთლემის სამი ნომრის საცხოვრებელ სახლს 2010 წელს გაუკეთა რესტავრაცია ერთერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომლის ძირითადი მიმართულება გამორჩეული მხატვრული ღირებულების სახლების აღდგენაა. გამოცვალეს სახურავი, მთლიანად დაშალეს და თავიდან ააწყვეს ნახევრად დანგრეული, ხის ვიტრაჟებიანი სადარბაზო. ურთულესი ტექნიკით შესრულებული ვიტრაჟების აღდგენა ხელოსნებისგან დიდ სიფრთხილესა და პროფესიონალიზმს მოითხოვდა. ვიტრაჟებისთვის გამოსადგეი შესაბამისი სისქის მინა ადგილზე არ მოი-

პოვებოდა და საჭირო გახდა სპეციფიკური კვლევები და ტრენინგები, რაშიც დიდად დაეხმარნენ საყოველთაოდ აღიარებული ხის კონსერვაციის ნორვეგიული სკოლიდან. ასე გადარჩა ფერადი სადარბაზო — სახლის მთავარი მხატვრულ-დეკორატიული ელემენტი, მაგრამ საცხოვრებელი ნაწილი კვლავ ავარიულ მდგომარეობაშია. სარდაფები და საძირკველი მუდმივად სველია, ნესტმა დროთა განმავლობაში საფრთხე შეუქმნა კედლების სიმყარესა და ეზოს გალავანს, დიდი ბზარები პირველი სართულის კედლებზე ამკარად შესამჩნევია.

ბეთლემის უბნის ორმოცდაერთი საცხოვრებელი სახლიდან ცხრა ძველადაა აღნუსხული, მათგან სამი კი ეროვნული მნიშვნელობისაა: მათ შორის ეს ჯადოსნური სახლიცაა, რომელიც ისევ უხმობს მშველელს. ჩვენი ფერადი სახლი მორიგ, საფუძვლიან რესტავრაციას ელოდება. თავის მხრივ, ეს ჯადოსნური შენობა „მზადაა“, მომავალში რაც შეიძლება მეტ ადამიანს გაუმხილოს სხვადასხვა ეპოქაში დაგროვილი მიფიწყებული ამბები...

კითხვაზე, რა საერთოა ქალთა პანსიონსა და თარხანოვების ზღაპრულ სახლს შორის, ამჯერად უკვე აღარ მიჭირს პასუხის გაცემა. ეს ერთი ლამაზი თბილისური ძველი სახლია, რომელსაც გაფრთხილება და სიყვარული ისევე სჭირდება, როგორც თითოეულ შენობას, რომელიც დედაქალაქის ისტორიის ნაწილია. გამორჩეულ უძველეს სახლებს ჩვენს ქურონალში კვლავაც წარმოგიდგენთ.

თამარ ნარბაძე



# ბრაზილიის ატლანტიდა

*გეოლოგებმა ქალაქ რიოდან 1500 კილომეტრზე ბრაზილიის ატლანტიდის აღმოჩენის შესახებ გააკეთეს განცხადება. იაპონელ და ბრაზილიელ მეცნიერთა ჯგუფმა საერთაშორისო წყლებში მიაკვლია იმის დამადასტურებელ ნიშნებს, რომ სამხრეთ ამერიკის კონტინენტი ოდესღაც აფრიკას უკავშირდებოდა.*

ბრაზილიის გეოლოგიურმა სამსახურმა, ვისი ვედიტაც კვლევებს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებისგან შემდგარი ჯგუფი წარმართავდა, განაცხადა, რომ ეს წინასწარი ვარაუდია და ჰიპოთეზა აუცილებლად გადამოწმდება.

იაპონურმა წყალქვეშა საკვლევმა აპარატმა „შინკაი 6500“-მა ზღვის ფსკერზე, 1000 მეტრის სიღრმეში, ე.წ. რიო-გრანდეს პლატოზე გრანიტის კლდე აღნუსხა. რიო-გრანდეს პლატო ჩრდილოეთით ბრაზილიის აუზს, აღმოსავლეთით — სამხრეთ-ატლანტიკურ ქედსა და სამხრეთით — არგენტინის აუზს შორის მდებარეობს. ეს იშვიათი შემთხვევაა, რადგან გრანიტი მხოლოდ ხმელეთზე გვხვდება. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ კლდეთა ეს სისტემა ოდესღაც ხმელეთის ნაწილი იყო. ტექტონიკური ძვრები კი, რომელთა გამოც კლდე ჩაიძირა, დაახლოებით 100 მილიონი წლის წინ მოხდა (პალეოზოურ ეპოქაში).

„გეოლოგიური ქანები გავაანალიზეთ და შედეგებმა დაგვამუწჯა. რა ესაქმება აქ კლდეს? — ვეკითხებოდით საკუთარ თავს. სრული დარწმუნებით ვერ ვამტკიცებთ, რომ „დაკარგული კონტინენტი“ ვიპოვეთ, მაგრამ გრავიმეტრიის (გეოფიზიკის ნაწილი, რომელიც სწავლობს სიმძიმის ძალის განაწილებას დედამიწის ზედაპირის სხვადასხვა წერტილში) მეთოდებიც გამოვიყენეთ და იგივე შედეგი მივიღეთ. გეოდეზია გვკარნახობს, რომ ეს გრანიტია და რომ ის ოდესღაც ხმელეთის ნაწილი იყო.

ვვარაუდობთ, რომ ეს კლდე კონტინენტური პლატოს ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც სამხრეთ ამერიკისა და აფრიკის კონტი-



*ექსპედიციის წევრი გრანიტის კლდის ნატეხით, რომელიც ზღვის ფსკერიდან ამოიღეს*

„შინკაი 6500“



ნენტებს აკავშირებდა“, — ამბობს ექსპედიციის მონაწილე, გეოლოგი რობერტო ვენტური.

წყალქვეშა ნავით სამმა კაცმა ჩაყვინთა. მათგან ორი პროფესიონალი მეზღვაურია, ერთი კი მეცნიერი. მყვინთავი აპარატი უახლესი აპარატურით იყო აღჭურვილი.

შესაძლოა მეცნიერთა მიკვლეული გრანიტის კლდე სულაც არ არის მითური ატლანტიდის ნაშთი, მაგრამ, ეს მნიშვნელოვანი აღმოჩენა რამდენიმე გაბატონებულ სამეცნიერო თეორიაში კორექტივებს აუცილებლად შეიტანს.

*მომზადებულია Euronews-ისა და Guardian-ის მიხედვით*



# დიდი დეგუსტაცია

## ეთნობოხაფიუცი

### მუხაბეში

მაისის მეორე შაბათს ეთნოგრაფიული მუზეუმისკენ მიმავალ გზას დილიდანვე ლამის ნახევარი ქალაქი დაადგა. ერთმა ნაწილმა მოასწრო და მსუბუქი მანქანით ავიდა, დანარჩენები კი ფეხით აუფენენ არცთუ მოკლე გზას. მართალია, უფასო სამარშრუტო ტაქსები ყოველ 5-10 წუთში გადიოდა, მაგრამ უამრავ მსურველს ვერ აუდიოდა. თბილისელებსა და დედაქალაქის სტუმრებს წლეულს უკვე მეოთხედ მასპინძლობდა ტრადიციად ქცეული ღვინის ფესტივალი. ამჯერად საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან 40 ოჯახური მარანი და 30 კომპანია წარუდგენდა გულშემატკვართ თავიანთ დაწურულ-დაყენებულ უამრავი სახის ღვინოს.



სახელდახელო მერიქიფე და დეგუსტატორები

ღვინის ფესტივალზე  
მინიმილ როსტომავაშვილის ფოტოგრაფია





ღია ცის ქვეშ მუზეუმი ათასობით სტუმარს აგვსო, თუმცა კი ისეთი მშვიდი, დადინჯებული, დარბაისლური ატმოსფერო სუფევდა, როგორც იმგვარ „სერიოზულ საქმეს“ შეეფერებოდა, რომელსაც ქართული ვაზი და ღვინო ჰქვია.

**მალხაზ ხარბელია** (ღვინის კლუბის პრეზიდენტი): — ფესტივალის უმთავრესი მიზანია, შარშან დაწურული ღვინო შეაფასოს სწორედ მან, ვინც ღვინის ფასი იცის. აქ წარმოდგენილი თითოეული კომპანია თუ ოჯახური მარანი მთელ წელიწადს ემზადება ამ დღისთვის. წლეულს საქართველოს დანარჩენ რეგიონებს აჭარა და სამეგრელოც დაემატა. ერთ-ორ წელიწადში მესხეთიც შემოგვიერთდება, სადაც უკვე აშენებენ ვაზის ტრადიციულ ჯიშებს.

ფესტივალი, შეიძლება ითქვას, ქართული ღვინის დიდი დეკუსტაციაც არის იმავდროულად...

### **ბაბანურის ღვინოები ამერიკას იაყრობენ**

...ოღონდ მთელ ქვეყანაში კი არა, არამედ ნატურალური ღვინის ერთ-ერთ კომპანიაში, რომელმაც ბექა გოცამის საგვარეულო მარნის ღვინოს დაუთმო ასპარეზი. თუმცა კი ნატურალური ღვინის ამერიკელი კომერსანტი დარწმუნებულია, რომ სულ მალე მთელი ამერიკა აღიარებს შესანიშნავ ქართულ ბრენდს.

ამ მარნის ვენახები ბაბანურშია (ახმეტა) გაშენებული, სახელმწიფო ნაკრძალის მომიჯნავე ფერდობზე, მარანი კი კიკეთში, ზღვის დონიდან 1300 მეტრზე. განსხვავებული გრილი კლიმატი, როგორც ჩანს, განსხვავებულ გემოს სძენს აქ დაყენებულ ღვინოს. ბაბანურიდან ამოტანილი ქისი, მწვანე კახური, საფერავი, რქაწითელი, ხიხვი ტრადიციული კახური წესით მზადდება, ქვევრებში ტექნოლოგიური დანამატების გარეშე.

შარშან ბექამ ჩვენთან მხოლოდ 300 ბოთლი ღვინო გაყიდა. ბუნებრივია, ეძებდა გასაღების ბაზარს. ამერიკელმა ნეგოციანტმა კი, ლამის მთელ მსოფლიოში რომ არჩევს საუკეთესო ღვინოებს, ისე მოიწონა მისი „საფერავი“, რომ კიკეთში ერთი ბოთლიც აღარ დაუტოვებია, ამერიკაში კი „მთელი პარტია“ ორ დღეში გაქრა!

მანამდე თუ ცოტა გულგატეხილი იყო, ამ აღიარებამ ბექა იმდენად გაახარა, რომ ამ გაზაფხულზე მთელი რვა ათასი ძირი(!) ვაზი დარგო, სხვა ჯიშებთან ერთად ჩვეულებრივ საფერავს ბუდეშურისებრი საფერავიც დაუმატა და იმედოვნებს, რომ სამომავლოდაც გაუთქვამს სახელს ქართულ ღვინოს.

ანზორ ილოიდის ოჯახსაც ზვრები ბაბანურში აქვს, ოღონდ ღვინოსაც აქვე აყენებენ. ქისი, რქაწითელი, საფერავი, ხიხვი, მწვანე კახური ალაზნის მარცხენა ნაპირზე, ალვანი-მალრანის მიკროზონაში გაუშენებიათ. ილოიდებიც ყოველგვარი ტექნოლოგიური დანამატის გარეშე, ტრადიციული კახური მეთოდით ამზადებენ ღვინოს ქვევრებში.

ანზორ ილოიდე: — ვენახი 2005 წელს გავაშენე 10 ჰექტარზე. პირველი წლების მოსავალს უმთავრესად ყურძნად ვაპარებდით, ღვინოსაც ვაყენებდით, ოღონდ მცირე ოდენობით. რომ იტყვიან, „ნიადაგს ვამზადებდით“... წნორის ღვინის ქარხნიდან ძველებუ-

*მალხაზ ხარბელია: ფესტივალის უმთავრესი მიზანია, შარშან დაწურული ღვინო შეაფასოს სწორედ მან, ვინც ღვინის ფასი იცის*







აწურული (ახმეტის მუნიციპალიტეტი) მეოუნე რამაზ გაზუტიშვილი ღვინის ფესტივალის მუდმივი მონაწილეა



ბექა გოცაძისგან ამერიკელმა კომერსანტმა ერთ წელიწადს დაწურული „საფერავი“ სრულად შეიძინა

ბაბანურის საოჯახო მარნის წევრები: ანზორ და ვახტანგ ილიძეები და ნინო ნინუა-ილიძე.



რი, დიდი ზომის ქვევრები შევიძინეთ და მარანში დაგაბინავეთ. 2011 წელს პირველი ნამდვილი მოსავალი მოვიწიეთ და ქვევრებიც ავავსეთ. ამ ცოტა ხნის წინ ამერიკელი და ირლანდიელი სპეციალისტები დაინტერესდნენ ჩემი მარნის ღვინით და სინჯებიც წაიღეს. როგორც იწერებიან, მალე აპირებენ ჩამოსვლას ღვინის წასაღებად...

\*\*\*

**დავით ქაჯანია** (გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის ადმინისტრაციული მენეჯერი): — დღეს ამ ფესტივალზე ქართულ ღვინოს მთელი საქართველო წარმოადგენს და ის სწორედ აქ, ეთნოგრაფიულ მუზეუმშია „თავმოყრილი“. ქართული ღვინო, შეიძლება ითქვას, საკუთარ კარმიდამოებშია...

ჩემი აზრით, ყველაზე სრულფასოვნად და სრულყოფილად ჩვენებური ღვინის ფესტივალი თავს ამ გარემოში იგრძნობს. სიმბოლურად „მოეხდით თავს“ დღეს ქვევრს (ზოგისთვის ჭურს) მუზეუმის ეზოში და უამრავ თბილისელსა თუ არათბილისელს, ქართულ ღვინოზე შეგვარებულ არაერთ უცხოელ ტურისტსა თუ ჩვენს მეღვინეთა კომპანიონს ჩვენებურად ვათქმევინებთ საქართველოსა და ქართული ღვინის სადღეგრძელოს...

**ღვინის ბიზნესის მიწისპირა**

„ასკანელი ძმები“ — გურულები ამტკიცებენ, რომ თვით სოფლის სახელწოდება (ასკანა) ბახუსის შთამომავლის, ენეასის ვაჟის, ასკანიუსისგან მოდის. ღვინის კომპანიისთვის კი საძირკველი მის მფლობელთა წინაპარს, ანთიმოზ ჩხაიძეს ჩაუყვრია, რომლის ნაქონ ძველ ქვევრზე 1880 წელაა ამოტვიფრული და მუხის კასრებში დამზადებული სამარკო ღვინოების „დროის ათვლაც“ აქედან იწყება.

„ბაგრატიონი 1882“ ორი წლით „უმცროსია“ „ასკანელ ძმებზე“. ეს კომპანია 1937 წელს დაარსდა და საქართველოს ცქრიალა ღვინოების ბაზრის ლიდერია. კომპანიის სახელწოდება ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლის, ივანე ბაგრატიონ-მუხრანელის სახელს უკავშირდება, რომელმაც XIX

საუკუნის შუა ხანებში დაიწყო ქართული ცქრიალა ღვინის წარმოება ფრანგული მეთოდით. 1882 წელს ამ ღვინომ საერთაშორისო გამოფენის გრანპრი მიიღო მოსკოვში და კომპანიის სახელწოდებაც სწორედ ამ მოვლენას უკავშირდება.

„ღვინის კომპანია შუმი“ — ძველ საქართველოში შუმს განუზავებელ ღვინოს ეძახდნენ. კომპანია 2001 წელს დაარსდა წინანდალში, საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ცენტრში. თუმცა კომპანია ზვრებს არა მხოლოდ აქ, არამედ საქართველოს ყველა მიკროზონაში ფლობს. შუმი წითელ და თეთრ მშრალ, ასევე ნახევრადტკბილ ღვინოებსა და არაერთ სხვა ბრენდთან ერთად, კახურ ჭაჭასაც ამზადებს. თანაც ქართული ვაზისა და ღვინის მუზეუმიც დააარსა, რომელსაც „ვაზიონი“ ჰქვია.

„ჯაყელების ორგანული ვენახი და ღვინოები“ — სოფელ ხაშში ჯაყელებს 2001 წელს ჩაუყრიათ ვაზი მაველით, ქაცვითა და ასკილით მდიდარ ივრის ზეგანზე, ზღვის დონიდან 760 მეტრზე, ცივგომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთით. ბუნებრივად, ყოველგვარი დაჩქარებისა და ქიმიური ჩარევის გარეშე, ჯაყელების ღვინო შეუდარებელ გემოსა და განუმეორებელ სურნელს ინარჩუნებს. უკვე რამდენიმე წელიწადია, ჯაყელების ღვინოებმა ადგილი საერთაშორისო ბაზარზეც დაიმკვიდრეს.

კიდევ არაერთი კომპანიისა თუ ოჯახური მარნის შესახებ გვინდოდა მოგვეთხრო, რომელთა პავილიონებსაც ფესტივალზე უამრავი დამთვალიერებელ-დეგუსტატორი ეხვია, მაგრამ მოკლე რეპორტაჟი ამის საშუალებას არ იძლევა. ერთს კი დავძენთ, რომ ქართული ღვინის კლუბმა გააცოცხლა ქართველ მევენახეთა მივიწყებული ტრადიციები, აგრეთვე შეძლო გაბედული სიახლეების პოპულარიზაცია.

ღვინის ფესტივალი მართლაც ქართული ღვინის დიდი დეგუსტაციაა, რომლის „შედგენებზე“ ეთნოგრაფიულ მუზეუმში მოსული ათასობით „დეგუსტატორის“ განწყობაც მეტყველებდა, ხალისიანად რომ ემშვიდობებოდნენ გულუხვ მასპინძლებს...



*დავით ქაჯაია: ყველაზე სრულფასოვნად და სრულყოფილად ჩვენებური ღვინის ფესტივალი თავს ამ გარემოში იგრძნობს*

*ქართველები ამჯობინებენ, ღვინო მწკაღიან ერთად დაატანონ*





# გიბრალტარის ავიაკაბასტროფა

## პოლონეთის პრემიერ-მინისტრის სიკვდილის დღემდე ამოუხსნელი საიდუმლო

2010 წლის 11 აპრილს სმოლენსკში მომხდარი ტრაგედია, რომლის დროსაც პოლონეთის პრეზიდენტი და ამ ქვეყნის პოლიტიკური ელიტა თვითმფრინავის კატასტროფას ემსხვერპლა, პოლონეთის უაზლეს ისტორიაში პირველი არ ყოფილა და ღმერთმა ქნას, აღარ განმეორდეს. შეიძლება ითქვას, თითქმის ასეთივე შემთხვევა მოხდა 1943 წლის 4 ივლისს. მაშინ გიბრალტარიდან ჰაერში აიჭრა თვითმფრინავი, რომელსაც პოლონეთის უმაღლესი მთავარსარდალი და ამ ქვეყნის პრემიერი, გენერალი ვლადისლავ სიკორსკი ლონდონში მიჰყავდა (გენერალი ახლო აღმოსავლეთიდან ბრუნდებოდა, სადაც მან პოლონური სამხედრო ნაწილები დაათვალიერა). თვითმფრინავმა სტარტი 23 საათზე აიღო და რამდენიმე წუთში ზღვაში აღმოჩნდა.

პოლონეთის პრემიერ-მინისტრი, გენერალი ვლადისლავ სიკორსკი



პოლონეთის ისტორიაში, მრავალი ისტორიკოსის აზრით, არ არსებობს მეორე ისეთი შემთხვევა, რომელიც ასე გახვეულიყოს იდუმალების ბურუსში და რომლის ირგვლივაც ამდენი თეორია წარმოშობილიყოს.

ამ კატასტროფიდან 69 წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ ჯერაც დაუდგენელია, რა მოხდა სინამდვილეში. ისტორიკოსები ძირითადად ოთხ ჰიპოთეზას განიხილავენ. პირველის მიხედვით, ეს კატასტროფა ბრიტანელებმა მოაწყვეს, მეორე ვერსიით — თავად პოლონელებმა, მესამე ვერსია ამ საქმის მომწყობად საბჭოელებს განიხილაეს, ხოლო მეოთხის მიხედვით კი ეს უბრალოდ უბედური შემთხვევა იყო.

### თეორია I. ბრიტანელები

ამ თეორიის მიხედვით, იმ პერიოდში გიბრალტარს საკმაოდ მტკიცედ იცავდნენ ბრიტანელები და ამიტომ, ზოგიერთი ისტორიკო-

სის აზრით, სხვა ვერაზინ შეძლებდა აქ მათ გარდა ასეთი რამის მოწყობას. ეს ვერსია კატასტროფის მოხდენისთანავე წარმოიშვა. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ დაიკარგა უამრავი ფასეული დოკუმენტი, ასევე პოლონელები არ დაუშვეს საგამოძიებო პროცესებში და საექვოდ გამოიყურებოდა გამოძიების საბოლოო დასკვნაც.

ეს საქმე კვლავ გამოცოცხლდა 1967 წელს, როცა გერმანელმა დრამატურგმა როლფ ჰო-შუტმა გამოაქვეყნა ამ ტრაგედიის ამსახველი დრამა. ნაწარმოებში ავტორი გიბრალტარში მომხდარი შემთხვევის მთავარ დამნაშავედ უინსტონ ჩერჩილს ასახელებს.

სიკორსკის სიკვდილში ჩერჩილი მთავარ დამნაშავედ გამოჰყავს აგრეთვე ისტორიკოს დევიდ ირვინგს წიგნში „შემთხვევა“. ორივე ავტორის მოსაზრებით, ლონდონს სიკორსკის თავიდან მოშორება იმიტომ ეწადა, რომ ან-

ტიპიტლერულ კოალიციაში განხეთქილება არ მომხდარიყო. ამ თეორიის მომხრეთა აზრით, სიკორსკი, რომელიც გაოგნებული იყო 1943 წლის აპრილში გახსნილი კატინის ამბების გაგებით, გეგმავდა სრულიად საპიროსპიროდ შეეცვალა თავისი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი (კატინის ტყეში საბჭოთა ჩეკისტებმა 22 ათასამდე პოლონელი — ოფიცრები, პოლიციელები, სასულიერო პირები, პოლიტპატიმრები დახვრიტეს. სხვათა შორის, აქ სიცოცხლეს გამოასალმეს ასევე რამდენიმე ქართველი ოფიცერიც). ეს კი ძალიან აშინებდა ჩერჩილს, რომელსაც არ სურდა სტალინი აემუღებინა, დასავლეთისთვის რაღაც არასასურველ გარიგებზე წასულიყო პიტლერთან.

მრავალი ისტორიკოსისთვის მიუღებელია ეს თვალსაზრისი, რომ პოლონელი პრემიერი შესაძლოა ინგლისელებს მოეკლათ. სიკორსკი ხომ ჩერჩილის ნება-სურვილის აღმსრულებელი იყო და ბრიტანელებისთვის მაშინ ალბათ ძნელი იქნებოდა მის ნაცვლად უფრო დამყოლი პოლონელი პოლიტიკოსის გამოძებნა. ამ ვერსიაზე მსჯელობისას, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბრიტანელებს კი შეეძლოთ ასეთი საბოტაჟის მოწყობა, მაგრამ სამისო მოტივი არ გააჩნდათ.

*გენერალი სიკორსკი, პრემიერ-მინისტრი ჩერჩილი და გენერალი დე ვოლი*



## თეორია II. პოლონელები

არაგისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ გენერალი სიკორსკი პოლონელ ჯარისკაცებს, განსაკუთრებით პოლონეთის მარშალ პილსუდსკის დროინდელ ოფიცრებს არ უყვარდათ. მათ სიკორსკი უფრო იმის გამო აითვალწუნეს, რომ მეტისმეტად დამთმობი იყო მოკავშირეების — როგორც ბრიტანელების, ისე საბჭოელთა მიმართ.

სხვა მიზეზებიც იყო, რის გამოც ახალგაზრდა პოლონელი ოფიცრები მის გადაყენებაზე ოცნებობდნენ. კერძოდ, მათთვის მიუღებელი იყო ისიც, რომ საბჭოთა კავშირისადმი თავისი დათმობების პოლიტიკით სიკორსკი, მათი აზრით, პოლონეთს კატასტროფისკენ მიაქანებდა. სწორედ ამიტომ არის, რომ პოლონელ ისტორიკოსთა ნაწილი სიკორსკის დაღუპვის საქმეში ანტისაბჭოურად განწყობილ პოლონელებს ასახელებს.

აღსანიშნავია, რომ ამ ტრაგედიის თემაზე თავად პოლონელებსაც აქვთ გადაღებული ფილმი და დამნაშავედ თავიანთივე თანამემამულეები ჰყავთ გამოყვანილი. ერთ-ერთი ასეთი ფილმია „გენერალი“. თავდასხმა გიბრალტარზე“. ფილმის მიხედვით, პოლონელი ოფიცრები სიკორსკის ჯერ კლავენ ნახევარკუნძულის ბრიტანელი გუბერნატორის სასახ-





გენერალი სიკორსკი პოლონელ ჯარისკაცებთან ერთად

ლეში, ხოლო შემდეგ აწყობენ თვითმფრინავის კატასტროფას.

ფილმის მიხედვით, მეამბოხე პოლონელები თანამშრომელ ბრიტანელებთან ერთად გენერლის ცხედარს „ლიბერეიტორში“ (მძიმე ამერიკული ბომბდამშენი) ათავსებენ, რის შემდეგაც შეთქმულებაში მონაწილე პილოტი თვითმფრინავს ზღვაზე სვამს. სხვათა შორის ამ ვერსიას ადასტურებს ვარშავის პოლიტიკური უნივერსიტეტის პროფესორის, მარინიას ექსპერტიზაც. მეცნიერმა თვითმფრინავის ფრენის ტრაექტორია შეისწავლა და მხოლოდ ამის შემდეგ გააკეთა ასეთი დასკვნა.

თუმცა ამგვარი ვერსიის უსაფუძვლობა 2009 წელს დამტკიცდა, როცა გენერლის გვამის განმეორებითი ექსპერტიზა მოეწყო. კრაკოვის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ გენერალი სწორედ საჰაერო კატასტროფის შედეგად არის დაღუპული. ამიტომ ის ვერსია, რომ თითქოს გენერალი გუბერნატორის სასახლეში გაგუდეს, უნდა გამოირიცხოს.

ამ ვერსიის თაობაზე უნდა გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: რამდენადაც ბრიტანელებს ჰქონდათ გენერლის მოკვლის საშუალება, იმდენად მათ არ ჰქონდათ ამის გაკეთების მო-



გენერალი სიკორსკი ვიბრალტარში

ტივი. სამაგიეროდ, ოპოზიციურად განწყობილ პოლონელ ოფიცრებს მოტივი კი ჰქონდათ, მაგრამ არ გააჩნდათ გენერლის მოკვლის შესაძლებლობა.

### თეორია III. საბჭოელები

ბოლო წლებში განსაკუთრებით პოპულარული გახდა მოსაზრება, რომ გენერალი ვლადისლავ სიკორსკი სტალინის ბრძანებით მოკლეს.

ამ დანაშაულში ამკარა საბჭოთა კვალს ხედავს პოლონელი ისტორიკოსი თადეუშ კისილევსკი, რომელიც ავტორია პოპულარული წიგნებისა: „თავდასხმა“, „მკვლელები“, „გიბრალტარი და კატინი“ და „თავდასხმის შემდეგ“.

კისილევსკი ყურადღებას განსაკუთრებით იმას მიაპყრობს, რომ გიბრალტარზე მომხდარი კატასტროფის დროს ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში კონტრდაზვერვის უფროსი იყო ცნობილი მზვერაუი, დიდ ბრიტანეთში ყველაზე მნიშვნელოვანი საბჭოთა აგენტი კიმ ფილბი.

სწორედ მას შეეძლო კრემლის ბრძანებით დაგეგმა და შეესრულებინა ოპერაცია. ეს მას შეეძლო გიბრალტარში გაეკეთებინა როგორც საბჭოთა მზვერაუების მეშვეობით, ისე ბრიტანელი აგენტების დახმარებითაც, რომლებიც ბოლომდე დარწმუნებული იქნებოდნენ, რომ ბრიტანეთის მთავრობის დავლებას ასრულებდნენ.

თავიდან კისილევსკი უშეუბნა, რომ სიკორსკი რევოლუციის ტყვიით გარდაიცვალა. თავდასხმელები თვითმფრინავში ჩასხდნენ აფრენისთანავე, დახვრიტეს გენერალი და მისი რამდენიმე მხლებელი. შემდეგ ისტორიკოსის

ვარაუდით, ასევე შეთქმულმა პილოტმა თვითმფრინავი წყალზე დაანარცხა, თუმცა ეს თეორია 2009 წლის ექსპერტიზამ გააბათილა.

ამ ვერსიის სიმცდარე თავად კისილევსკიმაც აღიარა, თუმცა მტკიცედ იცავდა იმ აზრს, რომ ეს კატასტროფა უფრო თავდასხმა იყო და მის კვალს მოსკოვამდე მივყავდით. მისი აზრით, ეს საბჭოთა საბოტაჟი ეფუძნებოდა პილოტის მოსყიდვას, რათა მას თვითმფრინავი წყლის ზედაპირზე ისე დაეხეთქებინა, რომ ქამრებით დაუბმელი მგზავრები ადგილზევე დაზოცილიყვნენ. ისტორიკოსი არ გამორიცხავს იმასაც, რომ თვითმფრინავში იღო ნაღმი, რომელიც მფრინავი აპარატის წყალზე დაცემისთანავე უნდა აფეთქებულიყო.

ამ ვერსიას ერთი ფაქტიც ამტკიცებს: კატასტროფის დროს გიბრალტარზე გავლით იმყოფებოდა საბჭოთა ელჩი ლონდონში ივან მაისკი. კისილევსკის აზრით, ამ შეთქმულებაში წვლილი მასაც მიუძღოდა. მას დავალებული ჰქონდა ასევე, გაეტაცა გენერლის ქალიშვილი სოფია ლეშნიოვსკა, რომლის გვამიც მაშინ მართლაც წყალში ვერ იპოვეს. გავრცელდა აგრეთვე ჭორი, რომ კაიროს ერთ-ერთ სასტუმროში ნახეს სოფიას სამაჯური (მაისკი გიბრალტარის დატოვების შემდეგ სწორედ ეგვიპტეში გაფრინდა). არის აგრეთვე გადმოცემა, თითქოს სიკორსკის ქალიშვილი ციმბირის ერთ-ერთ ბანაკში ჰყავდათ კომუნისტებს გამოკეტილი.

„საბჭოურ ვერსიას“ ემხრობა ასევე პოლონური წარმოშობის ანდერსის არმიის ვეტერანი, ამჟამად ლონდონში მცხოვრები ისტორიკოსი იან ცუზანოვსკი (ეს არმია საბჭოთა მთავრობის მიერ შექმნილი პოლონური სამხედ-



გენერალი სიკორსკი პოლონეთის ელჩის გვერდით, პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების გაფორმებისას, მოსკოვი, 1941 წლის 12 აპრილი





გენერალ სიკორსკის მემორიალი ვიბრალოტარში

ვლადისლავ სიკორსკის გამოსვენება ტაძრიდან



დამკრძალავი პროცესია



რო ფორმირება იყო 1941-1942 წლებში და სუვერენული პოლონური რესპუბლიკის შეირადებული ძალებში შედიოდა). ის ჩერჩილის შვილიშვილთან ერთად იკვლევდა სიკორსკის გარდაცვალების გარემოებებს. მისი აზრით, თუკი აღნიშნული შემთხვევა მართლაც მკვლევობა იყო, ეს მხოლოდ სტალინის სპეცდანიშნულების მუშაკების მოწყობილი უნდა ყოფილიყო. ამ ისტორიკოსის დასკვნით, სტალინმა სიკორსკის განადგურების ბრძანება მისი მოსკოვისადმი მეტი სმეტად დამთმობი(!) პოზიციის გამო გასცა.

ცეხანოვსკის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ კატინის დანაშაული უკვე გახსნილი იყო, სიკორსკი მაინც ცდილობდა ჩერჩილის მოლობობას საბჭოელების მიმართ. მაგრამ ბოლშევიკებს მაშინ უკვე სხვა გეგმები ჰქონდათ და მაინცდამაინც არ ცდილობდნენ ლონდონთან ურთიერთობის დათმობას. 1943 წლის იანვრიდან სტალინს უკვე დასრულებული ჰქონდა პოლონელი კომუნისტებისგან შემდგარი მთავრობის ფორმირება, რომელსაც ამ ქვეყნისთვის უნდა ეხელმძღვანელა. წითელი არმიის გვერდით ჩამოყალიბდა ასევე ბერლინგის პოლონური არმია. ამ ვითარებაში სტალინს სიკორსკი უკვე ადარ სჭირდებოდა. მისი მოკვლით საბჭოთა ბელადმა შეასუსტა ემიგრაციაში მყოფი ლეგიტიმური პოლონური მთავრობა — აცხადებს ცეხანოვსკი.

მართლაც, საბჭოური ვერსია გაცილებით დამაჯერებლად გამოიყურება, ვიდრე ბრიტანული ან პოლონური. თუ ბრიტანელებს შეეძლოთ სიკორსკის მოკვლა, მაგრამ არ ჰქონდათ საამისო მოტივი, ხოლო ოპოზიციურად განწყობილ პოლონელ ოფიცრებს მოტივი ჰქონდათ, მაგრამ აღსრულება არ შეეძლოთ, საბჭოელებს ამ დანაშაულის ჩადენისთვის მოტივიც ჰქონდათ და შესაძლებლობაც. მართლა მათ მოკლეს სიკორსკი? ამის პასუხი მოსკოვის არქივებში დევს, რომელთა გახსნა უახლოეს მომავალში ალბათ შეუძლებელი იქნება.

### თეორია IV. შიმშილი

გენერალ სიკორსკის დაღუპვის მოტივებიდან ყველაზე ნაკლებ სენსაციური, მაგრამ იქნებ ყველაზე მეტად დამაჯერებელია, რომ ეს ამბავი შემთხვევით მოხდა. კატასტროფისთანავე ბრიტანელებმა გააერცვლეს ინფორმა-

ცია, რომ ეს შემთხვევა თვითმფრინავის საჭის გაჭედვამ გამოიწვია. თუმცა როგორც ყოფილი პილოტი და გიბრალტარის საიდუმლოების მკვლევარი შეჩისლავ რუჟიცივი ამტკიცებს, ეს ნამდვილად შეუძლებელია და რომ ტექნიკურად უბრალოდ, გამორიცხულია „ლიბერეიტორის“ საჭის ბლოკირება.

მაშ, რა შეიძლება მომხდარიყო? რუჟიცივის მიხედვით, „ლიბერეიტორი“ უბრალოდ გადატვირთული იყო, გაუჭირდა აფრენა და სათანადო სიმაღლის აღება ვერ შეძლო. წესის თანახმად, მისი მაქსიმალური წონა შეიძლება ყოფილიყო 50 ათასი გირვანქა, ხოლო სინამდვილეში თვითმფრინავის წონამ 58 ათას გირვანქაზე მეტი შეადგინა. ეს ნიშნავს, რომ თვითმფრინავში ატანილი იყო 4 ტონით მეტი ტვირთი. სამწუხაროდ, ზოგადად პუნქტუალურმა ბრიტანელებმა ამ შემთხვევაში პროცედურის მოთხოვნები დაარღვიეს და ასეთი სარისკო სტარტი დაუშვეს. ამასთან, იმ დღეს ამინდიც მკვეთრად გაუარესებულა.

რით იყო გამოწვეული თვითმფრინავის ამგვარი გადატვირთვა? პირველ ყოვლისა, მგზავრთა გადაჭარბებული რაოდენობით და ასევე ჭარბი კონტრაბანდული ტვირთით. „ლიბერეიტორის“ მგზავრებს კონტრაბანდის სახით გადაჰქონდათ დიდი რაოდენობით თურქული თამბაქო, ვისკი და ყავა.

სწორედაც თვითმფრინავის გადატვირთვა გახდა იმის მიზეზი, რომ ბრიტანელებმა მცდარი გზით წაიყვანეს გამოძიება. „ლიბერეიტორის“

წონის კონტროლი სწორედ მათი პასუხისმგებლობა იყო.

ტრაგიკული შემთხვევა გამოიწვია იმანაც, რომ პილოტებს არ ჰქონდათ ამგვარი თვითმფრინავების მართვის სათანადო მომზადება და გამოცდილება. შედეგად, მათ შეცდომა დაუშვეს თვითმფრინავის ჰაერში დროზე ადრე აყვანით. მაგრამ როგორ უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მან მხოლოდ რამდენიმე ასეული მეტრი გაიფრინა, შემდეგ წყალზე დაეცა და შედეგად ყველა მგზავრი დაიღუპა?

პასუხი მარტივია. სიკორსკის „ლიბერეიტორი“ იყო სამგზავროდ გადაკეთებული ბომბდამშენი. მასში მგზავრები ყველაზე რბილ ადგილას ისხდნენ, — მიანჩია ისტორიკოს სტივენ ვავერს, — როცა ამერიკელებმა მსგავს თვითმფრინავზე ასეთივე მანევრი გაიმეორეს, წყალზე დაცემისთანავე მანქანა ნაწილებად დაიშალა.

დასასრულ, ასევე არასენსაციურად გამოიყურება ის, რომ თითქოს საბჭოელებმა გაიტაცეს სიკორსკის ქალიშვილი სოფია. საქმე ის არის, რომ მყვინთავებს შორის გავრცელებულია ცრურწმენა, რომლის მიხედვითაც, თუ მყვინთავი დამხრჩვალად აღამიანის თმას შეეხება, თავად მასაც სიკვდილი არ ასცდება. შესაძლოა ამიტომაც, თუ სოფიაც „ლიბერეიტორის“ კატასტროფის დროს დაიღუპა მამასთან ერთად, მისი გვამი განგებ არ ამოიტანეს წყლიდან.

## აზროსი გრიზიკაშვილი

გიბრალტარის სრუტის გრაფიკული გამოსახულება, ზედი კოსმოსიდან





# გელათის ოთხთავის პირველი გამოცემა

ერთ-ერთი უძველესი და უძვირფასესი ქართული ხელნაწერი, გელათის ოთხთავი ფართო საზოგადოებისთვისაც ხელმისაწვდომი ხდება. XII საუკუნეში გიორგი მთაწმინდელის რედაქციით შექმნილი სახარების ბეჭდური, ილუსტრირებული გამოცემის პრეზენტაცია 10 მაისს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში გაიმართა. ამ დღეს, ცენტრის დირექტორის, ბუბა კუდავას ინიციატივით, ილია აბულაძის საგამოფენო დარბაზში რამდენიმე საათით ეროვნული ცენტრის საცავში დაცული უნიკალური ხელნაწერიც გამოიფინა.

XII საუკუნის ხელნაწერი სირიაში, შავი მთის კალაბოსის მონასტერში შეიქმნა. ოთხთავი 293 ფურცლისგან შედგება, რომელთა ზომები 26X18,8 სანტიმეტრია. საწერ მასალად გამოყენებულია საგანგებოდ დამუშავებული ეტრატი. ტექსტი გადაწერლია ნუსხურით, ყავისფერი მელნით, სინგურითა და ოქრომელნით, ამასთან, შემკულია ვეჭოვანი კამარებით.

დახვეწილი საზედაო ასოები ოქრომელნითაა შესრულებული. თითოეული მინიატურის ფონად ფურცლოვანი ოქროა გამოყენებული. ოთხზე თავს წინ უძღვის მახარებელთა გამოსახულებები, ხოლო სათაურები ჩასმულია ხალიჩისებური ორნამენტით შემკულ ჩარჩოში.

გელათის ოთხთავი განუმეორებელია გაფორმებით, დეკორის სიუხვით, ოქროს დაფერილობით, ფერწერული ტექნიკის თვალსაზრისით და 276 მინიატურით, რომლებიც შესრულებულია ფურცლოვანი ოქროს ფონზე სამი სხვადასხვა მხატვრის მიერ. ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვებით დამშვენებული ვერცხლით მოჭედილი ყდა დამზადებულია XVIII საუკუნეში. მასზე გამოსახულია „ჯვარცმა“ და „ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა“. ძირითად ტექსტს დართული აქვს სადეკლამაციო-ლიტურგიკულ ნიშანთა განმარტებები ბერძნულ და ქართულ ენებზე და „ავგაროზის ეპისტოლე“.

გელათის ოთხთავის ბეჭდური ვერსია გამოცემლობა „ბაკისა“ და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლობით გამოიცა. ოთხთავში მინიატურების 90 პროცენტი გადმოტანილია ზუსტად იმ ზომით, როგორც ორიგინალში გვხვდება.

**ნიკო ქავთარია** (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე)



გელათის ოთხთავის ფურცელი

ნული ცენტრის ხელოვნების ისტორიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი): — გელათის უნიკალური ხელნაწერი ოთხთავის სრული დასურათების სისტემას გვთავაზობს. სტილისტური და მხატვრული თავისებურებებით ეს არის საუკეთესო ნიმუში ქართული მინიატურული მხატვრობისა და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშებს ტოლს არ უდებს. თითოეული მინიატურა, შეიძლება ითქვას, ხელოვნების ნიმუშია. გიორგი მთაწმინდელის რედაქციით შექმნილ ტექსტს მინიატურები თანამიმდევრულად მისდევს. მასში ასახულია ეპოქის ტრადიცია, გემოვნება და ზოგადად ესთეტიკა. ამდენად, სახარების დასურათებაში მინიატურების ჩართვა შესაძლოა ერთ-ერთი საექტაპო მნიშვნელობის ნაბიჯი იყოს.

ოთხთავი უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარ ეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაიბეჭდა.

„ისტორიანი“

ოთხთავის ბეჭდური გამოცემა





# ევა ბრაუნი

## ჰიტლერის უხანასხნაი სიყვანი

ბერლინი, 1945 წლის 29 აპრილი.

მესამე რაიხი უკვე სულს დაფავს. გერმანიის დედაქალაქის ქუჩებში გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს. ესეველი კურტ ზინგერი სასოწარკვეთილია. ცხადია, რუსების შეტევას ვეღარ გაუძლებენ. დღეს-ხვალ დამხობილი ბერლინის თავზე რუსული დროშა აფრიალდება.

— კარგი, ნუ გაუტეი! — ბრაზით გამოცრა მისმა განუყრელმა მეგობარმა იურგენმა, — ფიურერს ყველაფერი გათვლილი აქვს! გუშინ მისი გამოსვლა არ მოისმინე? მტერი თავის სამარეს ბერლინში ნახავს! შენ კი...

— ფიურერი დღეს ჯვარს იწერს, — ზინგერმა შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

— რაო? — იურგენს გაცეცებისაგან თვალები შუბლზე აუცვივდა.

— შენ რა, დაყრუვდი? ფიურერი დღეს ქორწინდება!

იურგენი მეგობარს მიაჩერდა. გაგიჟდა? არა, კურტს სერიოზული სახე ჰქონდა და გიჟს ნამდვილად არა ჰგავდა.

### კეთილი და მხიარული გოგონა

კურტ ზინგერი მართალს ბრძანებდა. სწორედ მაშინ, 1945 წლის 29 აპრილს, როცა ბერლინში რუსული კანონადა გრიალებდა, ჰიტლერმა ჯვარი დაიწერა. მისი რჩეული ევა ბრაუნი გახლდათ, რომელიც ფიურერთან კარგა ხანია ცხოვრობდა, ოფიციალურად ურთიერთობა კი მხოლოდ 1945 წლის აპრილში გააფორმეს.

— ქორწინება ჩუმიად, უხმაუროდ მოეწყო, — წერს უილიამ შირერი.

ევა ბრაუნი (1912-1945) მასწავლებლის ოჯახში დაიბადა. ყველა, ვინც მას იცნობდა, ერთხმად აცხადებდა:

— ის ძალიან კარგი გოგო იყო, ამიტომაც ყველას უყვარდა!

ევას მამა ფრიად უცნაური კაცი გახლდათ. ოჯახშიც სამხედრო წესრიგი ჰქონდა დამყარებული. ბრაუნები განსაზღვრულ დროს დგებოდნენ, სადილობდნენ ან ვახშობდნენ. საკმარისი იყო ორი წუთი დაგვევიანა, რომ უჭმელი დარჩებოდი. ხუთი ან მეტი წუთის დაგ-





ევა ბრაუნი და ადოლფ ჰიტლერი, 1930-იანი წლების დასაწყისში



ვიანება კი უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებდა. „დამნაშავეს“ რამდენიმე საათის განმავლობაში სარდაფში ამწყვდევდნენ. ზუსტად 22 საათზე ბრაუნები დასაძინებლად წვებოდნენ. მამის ბრძანებით მთელ სახლში სინათლეს აქრობდნენ. ვინც გაბედავდა და დაილაპარაკებდა, მკაცრად ისჯებოდა. ასეთი „აღ-

ზრდა“ ბავშვის ფსიქიკაზე ცუდად მოქმედებს. მიუხედავად ამისა, ევა მხიარულ, კეთილ გოგონად რჩებოდა. ძალიან უყვარდა მშობლები, დები, უყვარდა ცხოველებიც, ამასთან მტკიცე ხასიათითაც გამოირჩეოდა. მთელ ოჯახში მხოლოდ მას შეეძლო მამისთვის სიტყვა შეებრუნებინა. ექვსი წლისა იყო, როცა ქუჩაში ავადმყოფ კნუტს წააწყდა, შეეცოდა, მოეფერა და შინ მიიყვანა. მამა, ბუნებრივია, აყვირდა:

— ეს ჭირიანი ცხოველი რად მოათრიე? ახლავე მოაშორე, თორემ...

— მამიკო, იყოს რა! — ევას თვალებში საოცარი მუდარა გამოკრთა.

— ვის ვუბნები, მოაშორე-მეთქი, შენ რა, არ გესმის?!

— კნუტი ჩვენთან დარჩება! — მტკიცედ წარმოთქვა ევამ.

— აჰ ასე, არა?

მამა წამოხტა, კნუტს ხელი დააელო. ევამ სასტიკად შეჰკივლა, მაგიდიდან დანა აიტაცა და ყელზე გადაისვა.

— გვიშველეთ! — შეჰკივლეს ოთახში მყოფებმა.

გოგონას გადარჩენა ძლივს მოხერხდა. გონს მოვიდა თუ არა, იკითხა, — ჩემი კნუტი სად არისო.

— აქ არის, შვილო! — ამოიხრბა მამამ, — ნუ გეშინია, ხელს არავინ ახლებს.

კნუტი ბრაუნებთან დარჩა. ევა მას თავისი ხელით აჭმევდა. კნუტმაც მოიკეთა, შემდეგ სირბილი და თამაში დაიწყო. მამა კატებს ვერ იტანდა, მაგრამ ევას გამო იძულებული გახდა, სახლში კატის ყოფნას შეგუებოდა. ევას ბედნიერებას კი სახლგარი არ ჰქონდა.

— მოვარჩინე, მოვარჩინე!

კნუტი წამოიზარდა და დიდ კატად გადაიქცა, შემდეგ კნუტები თვითონაც დაყარა. მამა არ მალავდა უკმაყოფილებას. რამდენიმეჯერ გესლიანდაც შენიშნა, ევა და მისი კატა ერთნაირი ინტელექტისანი არიანო. გოგონა ამაზე არ რუგებოდა. სამაგიეროდ, ძალიან მწვავედ განიცდიდა, რომ მამა საკუთარ შეხედულებებსა და ცხოვრების წესს ძალით ახვევდა თავს.

„მამა კონსერვატორი და დესპოტი იყო, — იგონებს ევას და გერტრუდა, — რა თქმა უნდა, მას ჩვენთვის მხოლოდ სიკეთე სურდა, მაგრამ რიგ საკითხებზე მტკიცე შეხედულება ჰქონდა,



ვეა ბრაუნი და ადოლფ ჰიტლერი აგარაკზე ბაუარის მიწებში

სწამდა, რომ ეს კარგია და ნებისმიერი საშუალებით ცდილობდა, ჩვენთვის ეს აზრი თავს მოეხეია. ოჯახში მამას ყველა უდრტვინველად ვემორჩილებოდით. გამონაკლისი მხოლოდ ვეა გახლდათ. ის მამისადმი მუდამ თვაზიანი იყო, მაგრამ მწვავედ რეაგირებდა, როცა თავს რამეს ძალით ახვევდნენ. ამის გამო რამდენჯერმე თავის მოკვლაც სცადა“.

ვეას ასეთი მწვავე რეაქცია ოჯახში ბევრს აოცებდა და აშინებდა. მამის ბრძანებით გოგონას მჭრელ საგნებს უმალაგდნენ. მამა ქალიშვილის „აღზრდას“ გულმოდგინედ ცდილობდა:

- ვეა, გაკვეთილები მოამზადე?
- დიახ, მამა.
- მუსიკაშიც იმეცადინე?
- მთელი საათი ფორტეპიანოსთან ვიჯექი.
- ერთი საათი? ცოტაა! ფორტეპიანოს რომ კარგად დაეუფლო, დღეში ხუთი-ექვსი საათი უნდა იმეცადინო.
- არავითარ შემთხვევაში!
- რატომ, ვეა?
- არ მინდა და იმიტომ!
- აბა, რა გინდა?
- თხილამურებზე სრიალი, ცურვა, ფეხბურთის თამაში!

- ფეხბურთი ქალის საქმე არ არის!
- მე მაინც ვითამაშებ!
- ასე არა? აბა, დღეს სახლიდან ფეხსაც ადარ გაადგამ!

ვეამ პასუხად საშინლად შეჰკივლა და მაგიდას ეცა. მამა არ განძრეულა, აკი დანა მისი ბრძანებით გულმოდგინედ დამალეს. ვეამ კვლავ შეჰკივლა, შემდეგ გამოექანა და კედელს თავით შეასკდა.

- ოი! — შეჰყვირეს ოთახში მყოფებმა.
- გოგონას გადასარჩენად ექიმის გამოძახება გახდა აუცილებელი. მამამაც ერთხანს დაუთმო, უდრტვინველად უყურებდა, როგორ იცვამდა მისი ქალიშვილი შარავლს და ფეხბურთის სათამაშოდ მიდიოდა, თუძცა უკან დახევა დროებითი გამოდგა.

- ვეა, სად მიდიხარ?
- ფეხბურთის სათამაშოდ.
- სახლიდან ფეხსაც არ გაადგამ!

მამამ ის საკუჭნაოში გამოამწვევდა. გოგონა ამაოდ ტიროდა, ამაოდ ემუდარებოდა, რომ გამოეშვით. მამამ სადამომდე საკუჭნაოში აყურყურა. ბოლოს, როგორც იქნა, მიიღო მოწყალება და გაათავისუფლა.

- ფეხბურთის მაინც ვითამაშებ! — ისტერიკულად შეჰკივლა ვეამ.





ევა ბრაუნის გამზიარულება რიგითი ნაციისტებისთვის დიდი პარტი გახლდათ

ევა ბრაუნის ჟურნალ „ლაიფს“ ფოტოობიექტივში



ამჯერად მამამ სარდაფში უკრა თავი. იქ სიბნელე იყო, თავგები დაჯირითობდნენ. ევა საშინლად კიოდა, იმუდარებოდა, გამომიშვი-თო. მამამ მხოლოდ სამი საათის შემდეგ გაათავისუფლა.

— აბა, ისწავლე ჭკუა?

გოგონამ არაფერი უპასუხა. იმავე საღამოს დედას ძილის მომგვრელი აბები მოპარა. მალე ბრაუნების სახლში წვილი-კვილი ატყდა:

— გვიშველეთ! ევამ თავი მოიწამლა!

გოგონა ამჯერადაც გადარჩინეს. როცა გონს მოვიდა, დაინახა, რომ გაფითრებული მამა მის სასთუმალთან იჯდა. ფრიდრიხს თვალები დასწითლებოდა, ეტყობოდა, ღამე არ ეძინა.

— როგორ ხარ, შეილო?

ევამ პასუხად დაიკვნესა. მამამ ამოიხორა და შუბლზე აკოცა.

— მადლობა ღმერთს, გადარჩი!

— ძალიან გიხარია? — ევამ მწარედ გაიღიმა.

— მე ხომ მიყვარხარ! — მამამ ცრემლი მოიწმინდა, — ნუთუ ვერ ხვდები, რომ შენთვის მხოლოდ სიკეთე მინდა?

— მაშინ ნურაფერს დამაძალე.

ამრიგად ევამ თავისი გაიტანა. მამა შეეგუა იმას, რომ შარვალს იცვამდა, ცხენზე დაჯირითობდა, ბიჭებთან ერთად ფეხბურთს თამაშობდა. მოგვიანებით ევამ სროლაც ისწავლა. გოგონა ხშირად დადიოდა ტირში და პრინცებსაც იღებდა.

— ჩვენი ოჯახიდან ევა ერთად-ერთი იყო, ვინც მამის წნეხისგან გათავისუფლება შეძლო, — იგონებს გერტრუდა.

გოგონაზე ამან კეთილისმყოფელი გავლენა იქონია. ევა ლალი და მზიარული გაიხარდა. კლასში ყველას უყვარდა. როცა წამოიხარდა, უამრავი თავყანისმცემელი გაუჩნდა.

— ის მართლაც ძალზე ღამაში იყო, — წერს უილიამ შირერი, — სპორტსმენის აწვართული სხეული, სახის სწორი ნაკვთები, ქერა თმები... მის გარშემო მომრავლდა თავყანისმცემლები.

### მს ჩემი ოცნების გამაჰაცია!

ევა ბრაუნმა ელიტარული განათლება მიიღო. დაამთავრა მიუნხენის ლიცეუმი, შემდეგ ინგლისელი ფრეილინების ინსტიტუტი ზიმ-

ბანში (ბაგარია). სრულყოფილად შეისწავლა ფრანგული და ინგლისური ენები, აგრეთვე ბუღალტერია, მანქანაზე ბეჭდვა. სტუდენტობისას ძალიან იტაცებდა სპორტი. მართალია, ქალთა ფეხბურთი მაშინ არ არსებობდა, მაგრამ ტანვარჯიშის ჩემპიონატებზე წარმატებით გამოდიოდა და მიუნხენის პირველობის მოგებაც შეძლო.

— აბა, ევა, შენ იცი! — ეუბნებოდა მამა, — ცოლად ბანკირს ან გენერალს უნდა გაჰყვე.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ევამ მუშაობა მამის მეგობართან, ვინმე ჰოფმანთან დაიწყო. მას პატარა ფოტოატელიე ჰქონდა. ჰოფმანთან ხშირად შემოიბრუნდა ხოლმე ტანდაბალი ექსცენტრიკული მამაკაცი, უღვაში სასაცილო იერს რომ აძლევდა.

— ეს ვინაა? — ევა ჰოფმანს მიუბრუნდა.

— შენ რა, პოლიტიკით არ ინტერესდები? ეს ადოლფ ჰიტლერია, ნაციონალ-სოციალისტების ლიდერი.

მალე ჰოფმანმა ისინი ერთმანეთს გააცნო. ეს საესეებით ბუნებრივად მოხდა. ჰიტლერი ჰოფმანის ატელიეში მივიდა, ჰოფმანმაც ევა წარუდგინა.

— ეს იყო 1932 წელს, — იგონებს ევას და გერტრუდა.

ჰიტლერმა ქალი, შეიძლება ითქვას, ადაფროთოვანა. ევას განსაკუთრებით ის მოეწონა, რომ ჰიტლერი არ ეარშიყებოდა, არც რამე კომპლიმენტი უთქვამს.

— იცი, რა საოცარი კაცია? — გამოუტყდა ევა გერტრუდას, — მთელი საათი დიდ გერმანიაზე მელაპარაკა. დრო ვიხელთე და ვკითხე: საცოლე თუ გეავთ-მეთქი. იცი რა მიპასუხა? ჩემი საცოლე გერმანიააო!

— ცოტას ხომ არ აფრენს?

— გერმანიას სწორედ ასეთი კაცი ააღორძინებს! შენ კი... — გაბრაზდა ევა.

გერტრუდას თხოვნით ევამ მას ჰიტლერი გააცნო. იმავე საღამოს ევამ და დაიმართო ხელა და ჰკითხა:

— როგორია?

— ნამდვილი მაიმუნი! — გაიცინა გერტრუდამ, — როცა მას ვუყურებ, ვრწმუნდები, რომ დარვინი მართალი იყო.

— შენ რა, — ევას თვალები აენთო, — გაეჟიდი?

— კარგი, ნუ ბრაზობ! ნუთუ ეს ჰიტლერი მოგწონს?



ოფიციალურ მიღებაზე

— კი არ მომწონს, მიყვარს.

— ევა, საყვარელო, გონს მოდი! შენ ლამაზი და ჭკვიანი ხარ. აბა, ეს შერეკილი რისთვის გჭირდება?!

— შერეკილი თვითონ ხარ!

— შენ შეგეძლო ვინმე დიპლომატზე ან ბანკირზე გათხოვილიყავი! ჰიტლერი კი ერთი ხელმოცარული პოლიტიკოსია და მეტი არაფერი.

— მისი პარტია გერმანიაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანია.

— ის დროებით სჭირდებათ, ევა! ახლა კრიზისია და წითლები გააქტიურდნენ. კომუნისტების დემაგოგია კი მათსავით გიჟმა ანუ ჰიტლერმა უნდა განეიტრალოს. ხელისუფლებაში ის ვერასოდეს მოვა! ამას არავინ დაუშვებს!

— ვინ არ დაუშვებს?

— ბანკირები, მრეწველები, ბიზნესმენები, ანუ ისინი, ვის ხელშიც რეალური ბერკეტებია, ვინც გერმანიის ჭეშმარიტი პატრონია! გაიგე?!





ადოლფ ჰიტლერი და ევა ბრაუნი



წვეილის იმიჯს ნაცისტური პროპაგანდა დიდ ყურადღებას აქცევდა

ევა ბრაუნი ნავით სეირნობისას



— მაგას მნიშვნელობა არ აქვს, — ევა ჩაფიქრდა, — მთავარი სხვა რამაა, ანუ ის, რომ ჰიტლერის სახით ჩემი ოცნების მამაკაცი ვიპოვე.

### უპედური ქალი

დღეს ბევრი მკვლევარი წერს, რომ ჰიტლერისა და ევა ბრაუნის ურთიერთობა მეტი-მეტად უცნაური იყო. მართლაც, ჰიტლერმა ევას თავიდანვე პირდაპირ განუცხადა:

- იცოდე, ცოლად ვერ შეგირთავ.
- რატომ? — შეკრთა ევა.

— ახლახან ჩემი საყვარელი ქალი გარდაიცვალა. ჩემს თავს სიტყვა მივეცი, რომ ჩემი საცოლვე მხოლოდ გერმანია იქნება!

— მაშ, ნება მომეცი, შენ გვერდით ვიყო, — მხურვალედ შესძახა ევამ, — შენი ერთგული ჯარისკაცი ვიქნები.

ჰიტლერმა ქალი ყურადღებით აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— კარგი, — წარმოთქვა ბოლოს.

ამრიგად ევა ბრაუნი ჰიტლერის საყვარელი გახდა. ფიურერის გარემოცვა მათ დაახლოებას ხელს უწყობდა, განსაკუთრებით დოქტორი გებელსი აქტიურობდა.

— საქმე ის არის, რომ ჰიტლერს მანამდე თავის დისშვილთან, ჰელი რაუბალთან ჰქონდა რომანი, — წერს იულიან სემიონოვი, — ჰელის თვითმკვლელობის შემდეგ ჰიტლერს დეპრესია დაქვყო. ამან ნაცისტთა ზედა ფენა შეაშფოთა. პარტია ხომ ჰიტლერზე იყო დამოკიდებული. თუკი ის პოლიტიკას ჩამოშორდებოდა, ამით პარტიაც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.

ევა ბრაუნთან ურთიერთობამ ჰიტლერს ენერგია და ბრძოლის უნარი დაუბრუნა. ფიურერიც განახლებული ძალით გამოდიოდა მიტინგებზე, მონაწილეობდა პოლიტიკურ დებატებში. 1933 წელს ნაცისტები ხელისუფლებაში მოვიდნენ. მალე ჰიტლერმა ყველა პარტია აკრძალა და ქვეყანაში დიქტატურა დაამყარა. ევას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მას სურდა ჰიტლერზე დაქორწინებულიყო, გაეჩინა შვილები. მაგრამ ქალი გაწბილებული დარჩა:

— აკი გითხარი, ცოლად ვერ შეგირთავ-მეთქი! — უთხრა ჰიტლერმა.

ევა ბრაუნიც ფიურერის საყვარლად დარჩა. ქალს გამოუყვეს კომფორტული ბინა, დაუნიშნეს დაცვა. ოფიციალური პროპაგანდა ამ-

ტკიცებდა, რომ ჰიტლერი ასკეტია, ქალები არ აინტერესებს და მხოლოდ „დიდი გერმანიის“ იდეით სულდგმულობსო. ევა ბრაუნის არსებობა სახელმწიფო საიდუმლო გახდა. გესტაპო ქალის ყოველ ნაბიჯს თვალს ადევნებდა. ევას გადაადგილება შეზღუდული იყო, ყოველი კონტაქტი, ყოველი სიტყვა კონტროლდებოდა.

— ეს აუტანელია! — უთხრა ევა ჰიტლერს, — მეტი აღარ შემიძლია! გესმის?

— რა გინდა? — შეეკითხა ფიურერი.

— მინდა გავთხოვდე, შევექმნა ოჯახი, მყავდეს შვილები!

ჰიტლერმა პასუხად ჯიშინი ლეკვი აჩუქა. ევას სასოწარკვეთილებას საზღვარი არ ჰქონდა. მეორე დღეს ქალმა დიდი ოდენობით დასაძინებელი აბი მიიღო. ძლივს მოაბრუნეს.

— ევა, მე შენ მჭირდები! — უთხრა ჰიტლერმა, — თუკი მიმატოვებ და იმქვეყნად წახვალ, არ ვიცოცხლებ!

— მართლა? — ევა შეკრთა, — ასე გიყვარვარ?

— მე მხოლოდ დიდი გერმანია მიყვარს! შენ მჭირდები, რადგანაც შენთან ურთიერთობის შემდეგ სიცოცხლის ხალისი მიბრუნდება.

ევაც კვლავინდებურად მის საყვარლად დარჩა. ჩვეულებრივ, დიქტატორთა საყვარლებს დიდი გავლენა აქვთ ხოლმე. ევა ბრაუნი ამ მხრივაც გამონაკლისი იყო. მაშინდელი გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრებაში არანაირ როლს არ ასრულებდა. ქალი კვლავაც ოქროს გალიაში რჩებოდა. ერთადერთი ნუგეში ის იყო, რომ აკრძალულ ჰაინეს კითხულობდა, კოსმეტიკას იყენებდა (რაც მაშინდელ გერმანიაში ცუდ ტონად ითვლებოდა) და ჰიტლერის ნაჩუქარ ლეკვს უვლიდა.

გადიოდა დრო. ლეკვი წამოიზარდა, მოზრდილ ნაგაზად გადაიქცა. სამაგიეროდ, ჰიტლერის წარმატებათა ხანა დასრულდა. სტალინგრადის მარცხის შემდეგ ცხადი გახდა, რომ გერმანიამ ომი წააგო. ფიურერის ჯანმრთელობის მდგომარეობაც დღითი დღე უარესდებოდა, მარჯვენა ხელი სულ უფრო მე-

*ორმო, რომელშიც ევა ბრაუნი და ადოლფ ჰიტლერის გვაგები დაწვეს*





ტად უკანკალებდა, 1944 წელს კი მამაკაცური პოტენციაც დაკარგა.

— იცოდე, თუკი საყვარელი გაიჩინე, მოგკლავ! — განუცხადა ევას.

ქალთან კვლავინდებურად მიდიოდა. ევა ბრაუნთან ვახშობა უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა. ვახშმის შემდეგ ორივენი ძაღლს წაეთამაშებოდნენ, შემდეგ ჰიტლერი ევას მკერდზე მოეაღერებოდა და მიდიოდა. მეტის უნარი ფიურერს უკვე აღარ ჰქონდა.

— რა უბედური ქალი ვარ! — ევა მწარე ქვითინით ლოგინზე ემზობოდა.

თავის მოკვლა მან კიდევ ერთხელ სცადა, მაგრამ ამაოდ, ექიმებმა მისი გადარჩენა ახლაც შეძლეს. გონს მოვიდა თუ არა, აღმოხდა:

— გადავრჩი? ცუდია!

ევას ერთადერთი ნუგეში ჰიტლერის მიერ ნაჩუქარი ძაღლი იყო. ქალი მას ეთამაშებოდა, ეაღერებოდა, კოცნიდა, ელაპარაკებოდა, ძალიან ამაყობდა, რომ ძაღლი თავად გაწრთენა.

— ეს ჩემი შვილია! — ამბობდა ევა.

### **აღსასრული**

ჰიტლერმა ევას ცოლობა მხოლოდ 1945 წლის 28 აპრილს სთხოვა. ბერლინთან ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა, მესამე რაიხიც

უკანასკნელ წუთებს ითვლიდა.

— მისმინე, — უთხრა ჰიტლერმა, — მე ჩემი მიწიერი არსებობა დავამთავრე, შენ კი ძალიან მჭირდები! იმქვეყნად ხომ არ გამოძვევები?

ევამ მწარედ გაიცინა. ფიურერი გამოცარიელებული თვალებით სადღაც შორს იყურებოდა, მარჯვენა ხელი უკანკალებდა.

— ჩვენ დეჰქორწინდებით, შემდეგ მიწიერი არსებობასაც დავასრულებთ! — ფიურერმა ქალს ლოყაზე ხელი მოუთათუნა, — ჩვენს გვამებს აქ, რაიხსკანცელარიის ეზოში დაწვავენ, ფერფლს კი მიმოაბნევენ.

ევამ პასუხად დაიკვნესა. მას უკვე აღარაფერი სურდა, არც იმის ძალა შესწევდა, რომ ამ შემლილ იმპოტენტ მანიაკს გასცლოდა. ჰიტლერმა კი გაიღიმა:

— ხმაურიანი ქორწილი არ გვინდა! მხოლოდ უახლოესი მეგობრები დაგვეწერებინ. ვევლაფერი ძალიან სწრაფად დამთავრდება.

ჰიტლერსა და ევა ბრაუნს ქორწილის შემდგომი დამე არ ჰქონიათ. ორივემ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. სიკვდილის წინ ევამ წაიხურჩულა:

— როგორ დავიღალე...

**ნოკა თოვზაძე**

*უინსტონ ჩერჩილი ჰიტლერის ბუნკერში*



# მიმდინარეობდა თუ არა „აფხაზთა გაქართველება“

(აფხაზური ენა და ლიტერატურა 1938-1954 წლებში)

აფხაზ ავტორთა ნაშრომებში, აგრეთვე სოციალურ ქსელებში განთავსებულ მასალებში ხშირად გამოითქმის ბრალდებანი, რომელთა მიხედვითაც, აფხაზეთში 1938-1954 წლებში, როცა აფხაზური სამწიგნობრო ენა ეფუძნებოდა ქართულ გრაფიკას, მიმდინარეობდა აფხაზთა გაქართველება და ამის გამო იზღუდებოდა აფხაზური ენისა და ლიტერატურის უფლებები. აღნიშნავენ, რომ ამ პერიოდში აფხაზურ სკოლებში ქართველებმა სწავლება გადაიყვანეს ქართულ ენაზე არა მხოლოდ მაღალ, არამედ დაწყებით კლასებშიც, რითაც თურმე მზადდებოდა ნიადაგი აფხაზთა გაქართველებისთვის. შევეცდებით, კონკრეტულ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით გავარკვიოთ, თუ რამდენად შეესაბამება სიმართლეს ამგვარი ბრალდებანი.

## აფხაზური სკოლა — ბარუსმბის მძლავრი იარაღი

რაკი ამგვარ ბრალდებებში სკოლა უმთავრესია, შესაბამისი მასალის ანალიზის დაწყებამდე ხაზგასმით გვსურს განვაცხადოთ, რომ რეალურად აფხაზური სკოლა საერთოდ არ არსებობდა არც 1938 და არც 1954 წელს. მეტიც, იგი არ არსებობს არც დღეს! სინამდვილეში ე.წ. აფხაზური სკოლა ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს რუსულენოვან სასწავლო ერთეულს აფხაზური ენის სწავლების ელემენტებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ტიპის სკოლებში აფხაზური ენა სწავლების ენა კი არ არის, არამედ მას მხოლოდ დამხმარე ფუნქცია აკისრია: I-IV კლასების აფხაზი მოსწავლეები სწავლობენ აფხაზურ ენაზე, მაგრამ იმავე დროს მათ გაძლიერებით შეასწავლიან რუსულ ენას, რათა V კლასიდან ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური დისციპლინები შეისწავლონ რუსულ ენაზე. ამ ტიპის სკო-


		აფხაზური ალფაბეტი				
ა	ბ	გ	დ	ე	ვ	
თი	ნი	კი	ღი	ხი	ჯი	
ბი	კი	რი	ყი	ძი	ჭი	
გი	ჟი	სი	ჟი	წი	ჭი	
ღი	ლი	ვი	ჟი	წი	ჭი	
ღი	მი	ჟი	წი	ჭი	ჭი	
ეი	ნი	ჟი	წი	ჭი	ჭი	
ვი	ოი	ჟი	წი	ჭი	ჭი	
ჟი	ჟი	ჟი	წი	ჭი	ჭი	
თი	ჟი	ჟი	წი	ჭი	ჭი	

1938 წლისთვის აფხაზური სამწიგნობრო ენა ქართულ გრაფიკაზე გადაიყვანეს

ლები შეიქმნა რუსეთის იმპერიაში XIX საუკუნეში და მათ მიზანს წარმოადგენდა არარუსული მოსახლეობის დედაენის გამოყენება რუსიფიკაციის ინტენსიურ ეტაპზე გადაყვანამდე. სკოლების ეს ტიპი დღემდე მოქმედებს არა მარტო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, არამედ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შემავალ ყველა არარუსულ რეგიონში.

სამწუხაროდ, ე.წ. აფხაზური სკოლების ეს იმპერიული მიზანი არ შეცვლილა არც საბჭოთა რეჟიმის პერიოდში და, რაც ყოველად აუხსნელია, არც ამჟამად, როცა აფხაზებმა ფსევდოდამოუკიდებლობას მიაღწიეს და უნდა ცდილობდნენ სკოლის გაეროვნულებას. ამიტომ, ჩვენი აზრით, მხოლოდ პირობით შეიძლება აფხაზური სკოლა ეწოდოს სასწავლებლის იმ ტიპს, რომელშიც დედაენა სწავლების ენა კი არა, მხოლოდ შესწავლის საგანია, რომელსაც გარუსების მძლავრი იარაღის ფუნქცია ეკისრა და ახლაც აკისრია.





დიმიტრი გვლია

**აფხაზური მროვნული სკოლის რეორგანიზაცია**

ამრიგად, 1938 წლისთვის, როცა აფხაზური სამწიგნობრო ენა გადაიყვანეს ქართულ გრაფიკაზე, რეალურად არ არსებობდა აფხაზური სკოლა, ხოლო რასაც ამგვარი სახელით მოიხსენიებდნენ, იყო რუსული სკოლა აფხაზური ენის სწავლების ელემენტებითურთ. სამწუხაროდ, აფხაზი ავტორები საკითხის ამ მხარეზე თვალს ხუჭავენ. სამაგიეროდ, აღშფოთებას გამოხატავენ იმის გამო, რომ თურმე XX საუკუნის 40-იან წლებში ე.წ. აფხაზურ სკოლებში აკრძალულა აფხაზური ენისა და ლიტერატურის სწავლება, არ იბეჭდებოდა აფხაზურენოვანი სახელმძღვანელოები და მხატ-

ვრული ლიტერატურა და სხვ. ამგვარი ბრალდება სამართლიანად ეჩვენება ქართული ეთნიკური წარმომავლობის ზოგ ავტორსაც.

ამ მხრივ „საყურადღებოა“ სოხუმელი მკვლევრის გრიგოლ ლეჟავას ნაშრომი, რომელშიც იგი იმოწმებს სკპ (ბოლშევიკების) ცკ-ისა და მისი პოლიტბიუროს მიერ 1937-1938 წლებში მიღებულ ორ დადგენილებას: „ხელოვნურად შექმნილი რაიონებისა და სოფლსაბჭოების ლიკვიდაციისა და გარდაქმნის და ამასთან დაკავშირებული ეროვნული სკოლების რეორგანიზაციის შესახებ“ და „ეროვნული რესპუბლიკებისა და ოლქების სკოლებში რუსული ენის სავალდებულო შესწავლის შესახებ“. პირველში დაგმობილია მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატებში „მოკალათებული მტრული ელემენტების მავნებლობა“. ისინი თურმე ამკვიდრებდნენ საგანგებო ეროვნულ სკოლებს (გერმანულს, ფინურს, პოლონურს, ლატვიურს, ინგლისურს, ბერძნულს, ესტონურს, იჟორულს, ჩინურს, აფხაზურს...) და აქცევდნენ მათ ბავშვებზე ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ზეგავლენის კერებად. ამიტომ ცეკა მოითხოვდა საგანგებო ეროვნული სკოლების გაუქმება-ერეორგანიზაციას და ავალდებულებდა განათლების სახალხო კომისარიატებს: „აუცილებელია, საგანგებო ეროვნული სკოლები გარდაიქმნას ჩვეულებრივი ტიპის საბჭოთა სკოლების სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე გადაყვანის

— 180 —

<p><i>აჟრ ამჟა აჟ ჩალარ იჟა ურ- უაჟაჟეჟ.</i></p> <p><i>აბჟამუც მრგამ ჯარ აჟუი კჩრ იჟ ჟაჟაბაჟ.</i></p> <p><i>აჩრნაჟ აჩრ.ჩა რა ჟაჟრ.ლჟამრ- ჟმ ამჟუბა აჟ</i></p>	<p>Если бы загорь- лась вода, то чѣмъ се тушить?</p> <p>Если бы небыло ду- рака, то отъ кого бы появился умный?</p> <p>Мышь и сама не могла пролѣзть въ щель, а захотѣла про- тасать цѣлую тыкву.</p>	<p>წყალს რომ ცეც- სლი მოეკიდოს რით უნდა გააქრო?</p> <p>თუ რომ ბრივეტი არ იქონს, კადანის საიდ- გან იშოვნება რას- მე?</p> <p>თავე სხვარეცში მერ ცალიდა, და ცოცრას იბამდა.</p>
---	---	---


ფრაგმენტი  
მოსწავლეთა  
აფხაზურ-რუსულ-  
ქართული  
საკითხავი  
წიგნიდან

გზით შესაბამისი მოკავშირე რუსუბლიკის ენაზე, ან რუსულ ენაზე სწავლებით“.


ეს უნდა განხორციელებულიყო 1938 წლის I-ელ აგვისტომდე. გრიგოლ ლეჟავას თქმით, ეს დადგენილება აფხაზეთში არ შესრულებულა 1944 წლამდე, თუმცა კი აფხაზური სკოლების რეორგანიზაციის საკითხი ჯერ კიდევ 1938 წელსვე დასმულა. ამ უკანასკნელ მოსაზრებას ავტორი ვარაუდობს 1938-1944 წლებში აფხაზეთის ასსრ განათლების სახალხო კომისრის, იასონ დარსანიას მოგონებებზე დაყრდნობით. თურმე არსებობდა გეგმა, რომელიც გულისხმობდა სწავლების გადაყვანას ქართულ ენაზე პირველიდან მეათე კლასის ჩათვლით, ოღონდ აფხაზური ენა უნდა დარჩენილიყო ერთ-ერთ სასწავლო დისციპლინად. როცა იასონ დარსანიას უთქვამს, ეს აქცია აფხაზთა უკმაყოფილებას გამოიწვევსო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი დასთანხმებია და საკითხი განსახილველადაც კი არ დაუსვამთ.

1944 წელს ე.წ. აფხაზური სკოლების რეორგანიზაციას წერილობით ითხოვდა ოთხი აფხაზი მასწავლებელი (ბ. კაცია, ა. მარდანი, ს. აშვანბა, მ. ბუაგა) და აფხაზეთის განათლების სახალხო კომისრის მოადგილე ნ. გერია. გრიგოლ ლეჟავას თქმით, მათი განცხადებები ძალიან ჰგავდა სკპ(ბ) ცკ-ის პოლიტიბიუროს 1937 წლის 17 დეკემბრის დადგენილებას. როგორც გრიგოლ ლეჟავა აცხადებს, ამ საკითხის შესახებ არსებული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ დადგენილების აღსრულებისთვის საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, ქართველ და აფხაზ მეცნიერებს (სიმონ ჯანაშიას, არნოლდ ჩიქობავას, აკაკი შანიძეს, დიმიტრი გულიასა და სხვებს) შემუშავებული ჰქონდათ მეცნიერულად დასაბუთებული ფრთხილი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა აფხაზური ინტელიგენციისა და საზოგადოების ინტერესებს.

გრიგოლ ლეჟავასვე დასკვნით, ფართო საზოგადოებისთვის 40-იანი წლებიდან დაწყებული, ამ ბოლო დრომდე უცნობი იყო აღნიშნული დადგენილება, რის გამოც რჩებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ე.წ. აფხაზური სკოლის რეორგანიზაცია საქართველოს სსრ-ის ხელმძღვანელობის ინიციატივა იყო, მიზნად ისახავდა აფხაზთა ასიმილაციას და ეს ვარაუდი საყოველთაოდ გაზიარებული გახლდათ. და როცა



1941 და 1958 წლების სასკოლო პროგრამების ნიმუშები აფხაზურ ენაზე







„ვეფხისტყაოსნის“ აფხაზური გამოცემის გარეკანი

საქართველოს სსრ-ის ხელმძღვანელობა ითვალისწინებდა სპეციფიკას და მოქმედებდა აუქჩარებლად, თუმცა არცთუ ფრთხილად. სხვაგვარად მართლაც ძნელი ასახსნელია, რატომ გადაიღო მისი განხორციელება 1944 წლამდე.

ამ ფაქტებთან დაკავშირებით ასეთივე დასკვნა გამოაქვთ სოხუმელ ქართველ მეცნიერებს, ზურაბ ჰაბასქიძესა და დახმირ ჯოჯუასაც.

ცხადია, რომ 1937 წლის 17 დეკემბრის პოლიტიბუროს დადგენილების აღსრულება სავალდებულო იყო, მაგრამ თბილისმა მაინც გამოიჩინა სიფრთხილე და აფხაზთა მხრიდან მოსალოდნელი უკმაყოფილების თავიდან აცილების მიზნით, მთელი ექვსი წლით შეაყოვნა ე.წ. აფხაზური სკოლის რეფორმირება.

### სეპარატისტების ბრალდებათ კვლადკვალ...

ჩვენ შევეცადეთ, საგანგებოდ, ოღონდ სხვა კუთხით გამოგვეკვლია სეპარატისტთა ბრალდების საფუძვლიანობა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ხელთ არა გვაქვს 1938 წლამდე მოქმედი აფხაზურ სკოლებში აფხაზური ენისა და ლიტერატურის სწავლების ინტენსიურობის ამსახველი დოკუმენტური მასალა (სასწავლო გეგმები, აფხაზური ენისა და ლიტერატურის სასკოლო პროგრამები, ყველა კლასის სახელმძღვანელოები...), რომელიც გვიჩვენებდა, რა

დონეზე იდგა ამ სკოლებში აფხაზური ენისა და ლიტერატურის სწავლება. სამაგიეროდ, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში დაცულია საყურადღებო ბეჭდური მასალები.

გაირკვა, რომ 1938-1954 წლებში, 16 წლის განმავლობაში აფხაზურ ენაზე სულ გამოცემულა 300-ზე მეტი აფხაზურენოვანი წიგნი და ბროშურა. მათგან აფხაზური ენისა და ლიტერატურის სასკოლო პროგრამები ათჯერ დაბეჭდილა. ეს გამოცემები დოკუმენტურად ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ აფხაზური ენისა და ლიტერატურის სწავლება აფხაზურ სკოლებში არამცთუ აკრძალული ან შეზღუდული ყოფილა, არამედ სრულად შეესაბამებოდა საბჭოთა სკოლის სპეციფიკას. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ 1944 წლიდან აფხაზურ სკოლაში რადიკალური ცვლილება აფხაზური ენისა და ლიტერატურის სწავლების მხრივ არ მომხდარა. შეიცვალა მხოლოდ IV კლასის ზემოთ შესასწავლი დისციპლინების სწავლების ენა: თუ მანამდე ყველა საბუნებისმეტყველო და ტექნიკური საგნის, აგრეთვე ჰუმანიტარული დისციპლინების უმრავლესობის სწავლების ენა რუსული იყო, ამ ეტაპიდან რუსულს ქართული ენა ჩაენაცვლა, რაც 1937 წლის 17 დეკემბრის დადგენილების რეალიზაცია იყო და არა თბილისის თვითნებობა.

მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ 1938-1954 წლებში სისტემატურად გამოიცემოდა ე.წ. აფხაზური სკოლის დაწყებითი კლასებისთვის განკუთვნილი აფხაზურენოვანი სახელმძღვანელოები ისეთ საგნებშიც, როგორცაა: ბუნებისმცოდნეობა, გეოგრაფია, ანგარიში, ისტორია და სხვ., რაც ნიშნავს, რომ ეს დისციპლინები აფხაზურ ენაზე ისწავლებოდა და არაფერ აძალებდა მოსწავლეებს მათ შესწავლას ქართულ ენაზე. ეს კიდევ ერთი უტყუარი დასტურია, რომ ე.წ. აფხაზურ სკოლებში, კერძოდ, დაწყებით კლასებში მიზანმიმართული გაქართველება არ ხდებოდა.

მნიშვნელოვანია 1938-1954 წლებში გამოცემული როგორც მრავალრიცხოვანი ორიგინალური აფხაზური მხატვრული ლიტერატურა, ასევე ქართული, რუსული და სხვა ენებიდან აფხაზურად თარგმნილი მხატვრული ლიტერატურაც. ასე, მაგალითად: ამ პერიოდში გამოქვეყნდა დიმიტრი გულიას მიერ შეკრებილი ანდაზების, გამოცანებისა და სხვა ფოლ-

კლორული მასალების კრებული; მისივე თხზულებანი სამ ტომად; ივანე პაპასქირის მოთხრობა „თემური“ და სხვ.

საკვლევ პერიოდში გამოვიდა აგრეთვე ბაგრატ შინქუბას „პირველი სიმღერები“; გიორგი გულიას „საკენის გაზაფხული“ (ამ მოთხრობის მიხედვით მხატვრული ფილმიც გადაიდეს ქართველმა კინემატოგრაფისტებმა), ივანე თარბას ლექსების კრებული და სხვ. ამავე პერიოდში გამოიცა აგრეთვე რამდენიმე აფხაზურენოვანი ლიტერატურული კრებული.

1932-1941 წლებში გამოდიოდა სალიტერატურო-მხატვრული ჟურნალი, რომელსაც ჯერ „აფსნი ყაფშ“ („წითელი აფხაზეთი“) ერქვა, ხოლო 1939 წელს „ალიტერატურატე ჟურნალ“ („სალიტერატურო ჟურნალი“) ეწოდა (მისი გამოცემა ომის გამო შეწყდა). 40-50-იანი წლების მიჯნაზე გამოვიდა სალიტერატურო აღმანახის სამი ნომერი. 1939 წლიდან განახლდა გამოცემა გაზეთისა „აფსნი ყაფშ“.

აქ დასახელებული ფაქტებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის, რომ სწორედ ამ წლებში გამოქვეყნდა დამწყებ აფხაზ მწერალთა მთელი ჯგუფის ნაწარმოებთა პირველი კრებულებიც და თუ ვინმეს სურდა აფხაზური ლიტერატურის საფუძველშივე ჩაკვლა, „ლოგიკური“ იქნებოდა, თუ სწორედ ახალბედა მწერლებს აუკრძალავდნენ პირველი თხზულებების გამოცემას, რაც, საბედნიეროდ, არ მომხდარა. ეს ფაქტიც ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ საკვლევ პერიოდში აფხაზური ენისა და ლიტერატურის უფლებები ქართველთა მიერ არ ირღვეოდა.

ამავე დასკვნისკენ მივყავართ აფხაზურ ენაზე თარგმნილ მხატვრული ლიტერატურის მონაცემებსაც. კერძოდ, საკვლევ პერიოდშია დაბეჭდილი ქართული ენიდან აფხაზურად თარგმნილი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (დიმიტრი გულიას თარგმანი), ასევე ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, ეგნატე ნინოშვილის, შალვა დადიანის ნაწარმოებები. აფხაზურად ითარგმნა აგრეთვე რუსული ლიტერატურის ნიმუშები; გარდა ამისა, ფრანგული და ინგლისური ლიტერატურის ნიმუშები (რუსული ენიდან).

შეიძლება ითქვას, რომ აფხაზურ ენაზე დაახლოებით თანაბარი პროპორციით გამოცემულა ქართული, რუსული და სხვაენოვანი მხატვრული ლიტერატურა და მიკერძოება არ

ყოფილა ქართველ ავტორთა სასარგებლოდ, რაც კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ ქართველები ძალდატანებით არ ახვედნენ აფხაზ ხალხს საკუთარ ლიტერატურას.

საყურადღებოა ისიც, რომ ამავე წლებში აფხაზურ ენაზე რეგულარულად გამოიცემოდა იურიდიულ-ნორმატიული და პარტიულ-იდეოლოგიური ლიტერატურაც, გაცილებით ნაკლებად იბეჭდებოდა სამეურნეო ხასიათის ლიტერატურა. მაგალითად, პარტიულ-იდეოლოგიური შინაარსისა იყო კომპარტიის ისტორია, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციები, ლენინის, სტალინის, მიქოიანის, ვოროშილოვის, ზრუშჩოვისა და სხვათა გამოსვლები, პარტიულ და საკანონმდებლო თავყრილობათა სტენოგრაფები, დებულებები არჩევნების შესახებ და უამრავი სხვა. თვით ამგვარი ლიტერატურის სიუხვე ასევე ადასტურებს აფხაზური ენის უფლებების შეუღალავებლობას.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეალობასთან ახლოსაც კი არ არის სეპარატისტთა ბრალდებანი, თითქოს 1938-1954 წლებში აფხაზეთში უხეშად ირღვეოდა აფხაზური ენისა და აფხაზური ლიტერატურის უფლებები და მიმდინარეობდა აფხაზთა გაქართველების ინტენსიური პროცესი.

### თეიმურაზ გვანცელაძე სოფიკო ჭაბავაძე

ბროშურა „სამშობლოსთვის“







# საბრძოლო სპილოები

## სოსხანი ტანხები ბძმლის ველზე

„დაანახვეს სპილოებს ყურძნისა და თუთის სისხლი, საბრძოლველად რომ გაეზღებინათ მერე გადაანაწილეს. თითოეულს დაუყენეს ათასი თოროსანი და მუზარადიანი კაცი, და გაიცა განკარგულება, ყოველ ცხოველს ხუთი ათასი ცხენოსანიც მისჩენოდა. ესენი წამსვე იქ უნდა გაჩენილიყვნენ, სადაც სპილო იყო, და საითაც წვიდიოდა, იქით უნდა წაჰყოლოდნენ, არ უნდა მოსცილებოდნენ. სპილოებზე ხის მაგარი კოშკები იდგა, რომელიც ფარავდა თითოეულ ცხოველს და საგანგებო მოსართავეებით იყო მათზე დამაგრებული, თითოეულ მათგანზე ოთხი ღონიერი კაცი იდგა, რომლებიც იბრძოდნენ იქიდან, და ერთიც მისი ინდოელი გამძღოლი“.

(პირველი მაკაბელთა, VI, 34-37)

სპილო ერთ-ერთი იმ ცხოველთაგანია, რომელსაც ადამიანი ოდითგან იყენებდა იარაღად. ცხენები არ ყოფილან მებრძოლები, მათ მხოლოდ სწრაფი გადაადგილება შეეძლოთ ბრძოლის ველზე. იყო შემთხვევები, როცა ძაღლებიც გამოჰყავდათ ბრძოლაში, მაგრამ ისინი არცთუ დიდ საშინაობებს წარმოადგენდნენ მოწინააღმდეგისთვის. სპილოები კი ცოცხალი ტანკები იყვნენ, რომლებიც მოწინააღმდეგის ასობით მებრძოლს თელავდნენ.

არსებობს სპილოს ორი სახეობა: ინდური და აფრიკული. აფრიკულ სპილოს დიდი ყურები, ჩაღრმავებული ზურგი და დიდი ეშვები აქვს. ინდურ სპილოს კი შედარებით პატარა ყურები, ამონჯექილი ზურგი და მომცრო ეშვები. ინდურ სპილოს ვეზდებით ინდოეთში, ვიეტნამში, პაკისტანში, ტაილანდში, ასევე შრი-ლანკისა და სუმატრის კუნძულებზე. აფრიკული სპილოები ორ სახეობად იყოფიან: ტყისა და სავანის. სავანის სპილო ყველაზე დიდია. 4 მეტრამდე სიმაღ-

ლისა იზრდება და 4-დან 7 ტონამდე იწონის, ხოლო ტყის აფრიკული სპილო პატარაა ინდურ სპილოზეც კი — ის 2-დან 2,5 მეტრამდე იზრდება და 4,5 ტონამდე იწონის. ინდური სპილო 2-დან 3,5 მეტრამდე სიმაღლისა და წონით 5 ტონამდე აღწევს. სპილოს ეს ორი სახეობა ბრძოლის ველზეც შესჯახებია ერთმანეთს. განსაკუთრებით გამოსარჩევია რაპიასთან ბრძოლა ეგვიპტის მეფე პტოლემეაიოს IV ფილოპატორსა და სელევკიდების იმპერიის მმართველ ანტიოქოზ III-ს შორის (ძვ.წ. 217). ეგვიპტის მმართველს ტყის აფრიკული სპილოები ჰყავდა, ანტიოქოზს კი დიდი, ინდური სპილოები, რომელსაც მაშინ ასურულ სპილოებს უწოდებდნენ. ბრძოლაში ვერც ერთი მხარის სპილოებმა ვერ გამოიჩინა თავი, განსაკუთრებით აფრიკულებმა, რომლებიც გახელდნენ და პტოლემეაიოსის მთელი ფლანგი მოშალეს, თუმცა საბოლოოდ გამარჯვება ეგვიპტელებს დარჩა.

ინდური და აფრიკული ტყის სპილოსგან განსხვავებით, აფრიკული სავანის სპილო არ იწვრთნება და შესაბამისად, არც გამოიყენება ბრძოლის ველზე. დაჭერილ სპილოს სვეტზე მიაბამენ სხვა, უკვე მოთვინიერებულ სპილოებთან ერთად და არ აჭმევენ მანამ, სანამ მორჩილი არ გახდება. სპილო მოთვინიერებულად მაშინ მიიჩნევა, როცა ის ადამიანს ზურგზე შეჯდომის საშუალებას მისცემს. ამის შემდეგ ი-

ყება საფუძვლიანი წვრთნა. სამხედრო წვრთნის დროს სპილოებს ასწავლიდნენ სხვადასხვა საბრძოლო ილეთს და გამოუმუშავებდნენ შემტევ ხასიათს: გადაზტომას გაჭიმულ თოკებსა და ორმოებზე, მოსახვევებში გავლას, მეომრის გათელვასა და მოკვლას, სხვა სპილოებთან ბრძოლასა და სიმაგრეებზე თავდასხმას. სპილოებს წვრთნიდნენ ისე, რომ აუტანათ ტკივილი და ხმამაღალი ყვირილისა არ შეშინებოდათ. როცა სპილო სვეტთან იყო მიბმული, მას ხმლებითა და შუბებით ჩხვლუტდნენ (ისე, რომ ღრმა ჭრილობა არ მიეყენებინათ) დოღების დარტყმის ხმის თანხლებით. სისხლის სუნს რომ შესწევოდა, მის წინ პირუტყვს ხოცავდნენ.

საბრძოლო სპილოებს ზურგზე ჩულას — დიდ კვადრატულ ხალიჩას გადააფარებდნენ, რომელსაც ქამანდით ამაგრებდნენ. ჩულა თითქმის ყოველთვის წითელი ფერისა იყო, ხოლო ქამანდებს სქელი თოკის ან რკინის ჯაჭვისგან ამზადებდნენ. ხშირად სპილოს კისერზე და ჩულაზე ჰკიდებდნენ ზარებს. სამეფო სპილოების შუბლს მარგალიტებითა და ძვირფასი ქვებით რთავდნენ. ზუსტად არაფინ იცის, როდიდან დაიწყეს სპილოს ზურგზე კომკების დადგმა. ანტიკური ისტორიკოსები: დიოდორე (ძვ.წ I ს.) და პლინიუს უფროსი (ახ.წ. 23-79) მოიხსენიებენ კომკებს სპილოს ზურგზე. ინდოელი სწავლული ჩანაკია (დაახლ. ძვ.წ. 370-283) დეტა-

*ინდური სპილოები ბუნებრივ გარემოში*







ელისისტური შეჯავშნული საბრძოლო სპილო

ლურად აღწერს სპილოს აღჭურვილობას, მაგრამ იქ არაფერი წერია კომპლზე. სანჩის რელიეფებსა (ბუდისტური ნაგებობების კომპლექსი ძვ.წ. III ს.) და აჯანტის ფრესკებზეც (29-გამოქვაბულიანი სამონასტრო კომპლექსი, რომელიც ძვ.წ. II-დან ახ.წ. VI საუკუნემდე იკვთებოდა) არ არის გამოსახული კომპლზეანი სპილოები, ნახატებზე პირდაპირ სპილოს ზურგზე სხედან მეომრები. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ანტიკური პერიოდის აღმოსავლეთში სპილოები კომპლზეს შედარებით იშვიათად ატარებდნენ და ეს წესი იქ შუა საუკუნეებთან იღებს სათავეს.

ჩანაკია ასევე მოგვითხრობს სპილოს ჯავშანზეც. ის რკინის ფირფიტებისგან შედგებოდა. პაკისტანში არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნია რკინის 18 კვადრატული ფირფიტა, რომლის ზომებია 25,4X21,6 სმ, სისქე კი 2 მმ. ეს ფირფიტები ძალიან დიდი ადამიანისთვის, ამიტომ ვარაუდობენ, რომ ეს ან სპილოს ჯავშნის ფირფიტებია, ან აქლემისა. ინდოეთში სპილოს ჯავშანს ყოველთვის არ იყენებდნენ. დიდი მოგოლების დროინდელ ზოგიერთ მინიატიურაზე სპილო მთლიანად

შეჯავშნულია, ხოლო ზოგიერთზე მხოლოდ შუბლი და ხორთუმის ნაწილი აქვს დაცული. სხვა სპილოები, იმპერატორის საკუთარი სპილოც კი მინიატიურებზე საერთოდ დაუცველად გამოსახული. სპილოს აღჭურვა ძალიან ძვირი ჯდება და შეიძლება ამიტომაც იყო ამდენი სპილო დაუცველი. ეს დამოკიდებული იყო სახელმწიფოს ბიუჯეტზეც.

სპილოებს ეშვებას და ხორთუმზე ამაგრებდნენ მძიმე ხმლებს. ჩინელი მოგზაური სუნ იუნი მოგვითხრობს, რომ სპილოებს ხმლების გარდა, ხორთუმებზე ეკლებს ან ჯაჭვებს უმაგრებდნენ. ჯაჭვი სპილოს ხორთუმზე მოწინააღმდეგისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა, მისი მოქნევით კაცის მოკვლა შეიძლებოდა. ასევე სახიფათო იყო სპილოს ეშვები. ცხოველს შეეძლო ეშვით ადამიანი შუაზე გაეპო. წინამძღოლი სპილოს მოკაუჭებული რკინის ჯოხით „მართავდა“. ის ასევე ფეხებითაც უბრძანებდა სპილოს მობრუნებას ან გაჩერებას. ბერძენი ელჩი მეგასტენე (დაახლ. ძვ.წ. IV-III სს.) წერდა, რომ სპილოს ეკიპაჟი ოთხი კაცისგან შედგებოდა: ერთი წინამძღოლი და სამი მშვილდოსანი. ხოლო უძველეს ინ-

დურ ეპიკურ პოემა „მაჰაბჰარატაში“ წერია, რომ ეკიპაჟი შვიდი კაცისგან შედგებოდა: ორი წინამძღოლი, ორი მშვილდოსანი, ორი ხმლით შეიარაღებული მებრძოლი და ერთიც შუბოსანი მეომარი. სანჩის რელიეფსა და აჯანტის ფრესკებზე გამოსახულია სამკაციანი ეკიპაჟი: წინამძღოლი და ორი მებრძოლი. თუ სპილოს ზურგზე მხოლოდ ორი კაცი ზის, ამ შემთხვევაში წინამძღოლიც ბრძოლაში ერთვება. განსაკუთრებით მოსახერხებელი იყო სპილოს ზურგზე ამხედრებული მეომრებისთვის მშვილდ-ისრის გამოყენება. ნაკლებად იყენებდნენ შუბებსა და სატყორცნ ხელ-შუბებს. ანტიკურ პერიოდში სხვა სასროლი იარაღებიც არსებობდა. მაგალითად, ნავთის ქოთნები და ქვები. დელის სულთნის სპილოები თემურ-ლენგთან ბრძოლისას იყენებდნენ დენთის იარაღს. იყენებდნენ ასევე მშვილდოსნებსა და არბალეუტით აღჭურვილ მეომრებს. ზოგიერთ სამხედრო ტრაქტატში მოიხსენიება ხმლით შეიარაღებული მეომრები, მაგრამ გაუგებარია, როგორ უნდა გამოიყენო ხმალი სპილოს ზურგზე ჯდომისას. ცეცხლსას-


როლი იარაღის გამოგონების შემდეგ, დენთიანი იარაღი სპილოს შეიარაღების განუყოფელი ნაწილი გახდა. ეკიპაჟის წევრები ძირითადად მუშკეტებით იყვნენ შეიარაღებული. იყო შემთხვევებიც, როცა სპილოს ზურგზე პატარა ქვემეხს ამაგრებდნენ. ჩანაკია წერს, რომ სპილოს, ეკიპაჟთან ერთად, დაჰყვებოდა დაახლოებით 20-კაციანი რაზმი: თხუთმეტი ქვეითი მებრძოლი და ხუთი მხედარი.

საბრძოლო სპილოებს საქართველოს ისტორიაშიც დაუტოვებიათ კვალი. სპილოები VI საუკუნეში, ვერისის დიდი ომის დროს გამოჩნდნენ, როცა ერთმანეთს ირანი და ბიზანტია ებრძოდნენ დასავლეთ საქართველოში ჰეგემონისთვის. ახ.წ. 554 წელს ირანის შაჰმა ხოსრო I-მა ბიზანტიის წინააღმდეგ ჯარს სათავეში გამოცდილი სარდალი ნახორაგანი ჩაუყენა. მას დიდძალ ჯართან ერთად საბრძოლო სპილოებიც ახლდნენ. ვერისელებსა და მათ მოკავშირე ბიზანტიელ სარდლებს გაუჭირდათ ძლიერ მტერთან ბრძოლა. ნახორაგანმა სპილოები ფოთის ციხის ალყისას მდინარეში ჩააყენა, რათა დინება შეესუსტებინა ხალხის გადასაყვანად და ბიზან-

*ბრძოლა ტაილანდელებსა და ბირმელებს შორის, 1549 წ.*







▲ სციპიონის საბრძოლო ტაქტიკა პანიბალის საბრძოლო სტილოების წინააღმდეგ, ზამას ბრძოლაში (ძვ.წ. 202)

▲ კართაგენული მონეტის ერთ მხარეს პანიბალი იყო გამოხატული, ხოლო მეორე მხარეს — საბრძოლო სტილი

ტიელებისთვის გზა გადაეკეტა. ბრძოლის დროს სპილოებმა საკმაო ზარალი მიაყენეს ეგრიესლებსა და ბიზანტიელებს, მაგრამ სპარსელებს ერთი სპილო გაუეჭვდათ, რასაც ცხენების უმეტესობა ემსხვერპლა. საბოლოოდ საქართველოში ირანელთა მიერ სპილოების გამოყენების მცდელობა საკმაოდ წარუმატებელი გამოდგა.

საბრძოლო სპილოების ძირითადი ამოცანები იყო: მტრის დაშინება — როგორც კი სპილო გამოჩნდებოდა ბრძოლის ველზე და მოწინააღმდეგისკენ მთელი სისწრაფით გაიქცეოდა, ხშირად ყველაზე მამაცი მეთომრებიც კი ვერ ბედავდნენ მასთან პირისპირ შერკინებას.

მტრის საბრძოლო წყობის დამლა — თუ მოწინააღმდეგის საბრძოლო წყობა დარღვეულია, დიდად მცირდება ქვეითი რაზმის შესაძლებლობები. მაგალითად, დაშლილი ბერძნული ფალანგა სრულიად დაუცველი რჩება.

მოწინააღმდეგისთვის დიდი ზარალის მიყენება — სპილოების წინა ხაზთან შეჯახება მოწინააღმდეგის რიგებს დიდ დანაკარგს აყენებს.

მხედართმთავრის გადაყვანა — როცა მხედართმთავარი სპილოზე ზის და ჯარს მიუძღვება, ეს ჯარის სულისკვეთებას ამაღლებს.

მოწინააღმდეგის სიმაგრეების დანგრევა — სპილოს შექმნილი ციხის კარიბჭე შეეწვრება. ამიტომ ხშირად სიმაგრეთა კედლებსა და ალყაფეხებს ეკლებით ფარავდნენ.

საბრძოლო სპილოების წინააღმდეგ იყენებდნენ სხვადასხვა ხერხს. პირველად მათი დანერგვა რომაელებმა დაიწყეს, შემდეგ კი მთელ ხმელთაშუა ზღვისპირეთსა და სამხრეთ აზიაში გავრცელდა:

მსუბუქი ქვეითები, მშვილდოსნები, მემურდულეები და შუბის მტყორცნელები მოქმედებდნენ სპილოების წინააღმდეგ. ზოგჯერ მხო-



ლოდ ერთი შენაერთიც კმაროდა სპილოების შესაჩერებლად. ასე მოხდა რომის სამოქალაქო ომში, თაფსუსის ბრძოლაში, როცა იულიუს კეისარმა, გნეუს პომპეუსის სიმამრი მეტელუს სციპიონი და მისი მოკავშირე, ნუმიდიის მეფე იუბა I დაამარცხა. თუმცა კარგად გაწვრთნილი სპილოები, ხშირ შემთხვევაში უმკლავდებოდნენ პირველ შეტევას.

ჯარისკაცები, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ მძიმე, საჩხები იარაღებით, მაგალითად, ცულებით. მათი დახმარებით სპილოებს ფეხის მყესებს და ხორთუმს უზიანებდნენ.

გამოიყენებოდა სპეციალური წინაღობები და ხაფანგები, მაგალითად, ლურსმნიანი ჯაჭვები, ასევე გრძელი შუბები, რომლებსაც მიწაში ამაგრებდნენ. სპილოებს მგრძობიარე ფეხები აქვთ, ამიტომ ნებისმიერი ჩხვლეტა მათ ძლიერ ტკივილს აყენებს. ასეთ ხერხებს იყენებდნენ ლაზას ბრძოლაში, რომელიც ძვ.წ 312 წელს მოხდა. ეგვიპტის მეფე პტოლემეაოს I-მა ბრძანა, ფრონტის წინ გრძელი, ლურსმნიანი ჯაჭვი დაეგოთ და შეენიღბათ. მაკედონიის მეფე დემეტრიუს I-ის სპილოები ჯაჭვების გადათუღვისას ტკივილისგან აირივნენ და დიდი ზიანი მიაყენეს საკუთარ კავალერიას.

სპილოების დასაფრთხობად იყენებდნენ ცეცხლს. ჩირადნების, ნავთიანი ყუმბარების თუ ალმოდებული ისრების საშუალებით ცხოველი ადგილად ფრთხებოდა.


შეიქმნა სპეციალური ისრები სპილოების წინააღმდეგ. სპილოსთვის არასასიკვდილო ადგილას ისრის სროლა ქინძისთვის ნაჩხვლეს შეგვიძლია შევადაროთ. მაგალითად, აქბარის (დიდ მოგოლთა იმპერიის მმართველი 1556-1605 წწ.) ერთ-ერთმა სპილომ 55 ისარს გაუძლო, ხოლო მეორემ — 82-ს. ანტიკურ პერიოდში ინდოელები სპილოების წინააღმდეგ იყენებდნენ ისრებს, რომლებიც მთლიანად ლითონისგან მზადდებოდა და ნარაკას ეძახდნენ. სხეულში მოხვედრის შემდეგ, ნარაკას გადატევა შეუძლებელი იყო და სპილოს მთელი ბრძოლის განმავლობაში გაუსაძლისი ტკივილები ტანჯავდა. ხშირად ნარაკას ცეცხლს უკიდებდნენ, რაც ორმაგად მტანჯველი იყო სპილოსთვის.

ყალიბდებოდა საგანგებო დანაყოფები სპილოებთან ბრძოლისთვის. მაკედონიის მეფე პერსეუსმა (ძვ.წ 179-168) დააარსა რაზმი, რომელსაც ელევანტომაქებს უწოდებდნენ. ელევანტომაქები საგანგებო მომზადებას გადიოდნენ და განსაკუთრებულ საჭურველს ატა-

*ინდური და აფრიკული სპილოების დაპირისპირება რაპაისთან ბრძოლაში, ძვ.წ 217*







ირანული ქალაქი ყანდაჰარი მოვოლთა ჯარს თითქმის ერთწლიანი აღეის შემდეგ (1506 წ.) დანებდა. მინიატიურაზე გამოსახულია გასაღების ჩაბარების სცენა

დიდ მოვოლთა საბრძოლო სპილო



რებდნენ. მათი ეკიპირება ეკლიანი მუზარადისა და ფარისგან შედგებოდა. ეკლიანი მუზარადი მეომარს სპილოს ხორთუმისგან იცავდა, ხოლო ფარს ხშირად ცხოველის ფეხქვეშ აგდებდნენ. ძვ.წ 168 წელს პიდნასთან ბრძოლაში, მაკედონელთა ელფანტომაქებმა ვერაფერი მოუხერხეს რომაელთა აფრიკულ სპილოებს. ამ ბრძოლის შემდეგ რომმა მთლიანად დაიპყრო მაკედონია.

რომაული ლეგიონები მწყობრში ინტერვალებს ტოვებდნენ, რომლებსაც მსუბუქი ქვეითები იცავდნენ. სპილოს შეტევისას დერეფნებში ატარებდნენ, შემდეგ კი შუბებითა და ისრებით ადვილად უმკლავდებოდნენ. ასეთ ტაქტიკას სციპიონ აფრიკელმა მიმართა ზამას ბრძოლაში (ძვ.წ 202 წ.) ჰანიბალის სპილოების წინააღმდეგ და წარმატებასაც მიაღწია.

ზამაღალმა ზმაურმა შეიძლება გამოიწვიოს კარგად გაუწვრთნელი სპილოს ჭკუიდან შეშლა. ასეთ ზერხს რომაელები ხშირად მიმართავდნენ. ზამას ბრძოლაში ჰანიბალის არაერთი სპილო გაიქცა უკან და კართაგენელთა არმია დააზარალა.

სპილოები ვერ იტანენ ღორების ჭყვიტინს. რომაელები სპილოებს ზეთში ამოვლებულ ღორებს შეუსევდნენ ხოლმე, რომელთაც შემდეგ ცეცხლს უკიდებდნენ, ეს ყველაფერი სპილოებზე ზემოქმედებდა და ამ უშველებელ მხეცს ახელებდა, რაც ხშირად საკუთარი მეომრების გათვლევით სრულდებოდა.

ცეცხლსასროლი არტილერია სპილოების წინააღმდეგ საუკეთესო შედეგს იძლეოდა. დენთის გამოგონების შემდეგ, მრავალმა სახელმწიფომ სპილოების გამოყენებაზე უარი თქვა.

სპილო მსოფლიოს სამხედრო ისტორიაში შევიდა, როგორც მძლავრი საბრძოლო ერთეული, რომელსაც მტრისთვის დიდი ზიანის მიყენება შეეძლო. სპილოებს იყენებდნენ ისეთი დიდი მხედართმთაურები, როგორებიც იყვნენ ანტიგონე ონოფთალმოსი (ანუ ცალთვალა), სელეუკოსი, ჰანიბალი, ანტიოქოზ III, თუმურ-ლენგი და ნადირ-შაჰი. სპილო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ინდოეთში, სადაც მას არა მარტო სამხედრო, არამედ რელიგიური დატვირთვაც ჰქონდა. დღესაც ინდოეთსა და შორეულ სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებში ეს უზარმაზარი ცხოველები ერთგულად ემსახურებიან ადამიანს სამეურნეო საქმეში.

# ბედიის ტაძარი კვლავ საფრთხეშია „ისტორიანის“ ექსკლუზიური ფოტომასალა



„ისტორიანს“ მიაწოდეს ბედიის ტაძრის ფოტოები, რომლებიც 2012 წლის 10 ნოემბერსაა გადაღებული

ბედიის ტაძარს საფრთხე კვლავ ემუქრება. თუკი სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები დროულად არ დაიწყება, ძველი შესაძლოა საგრძნობლად დაზიანდეს. ბედიის ტაძრის ეს ფოტოები, რომელიც ჟურნალ „ისტორიანს“ წყარომ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან მიაწოდა, 2012 წლის 10 ნოემბერს არის გადაღებული. ანუ, ზუსტად ერთი წლის თავზე მას შემდეგ, რაც ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი მუზეუმის საერთაშორისო ორგანიზაციის, ICOM-ის დელეგაციამ მოინახულა და მისი მდგომარეობა შეისწავლა. 2011 წლის ნოემბერსა და 2012 წლის ნოემბერში გადაღებული ფოტოების შედარებისას ჩანს, რომ ტაძრის მდგომარეობა გაუარესდა...

ექსკლუზიური ფოტომასალიდან, რომელიც „ისტორიანს“ მიაწოდეს, ჩანს, რომ ბედია სავალალო მდგომარეობაშია. წვიმის დროს ტაძრის სახურავიდან ჟონავს წყალი და სავარაუდოდ, სარკმლიდანაც ჩადის ტაძარში. კედლებზე შეიმჩნევა ბზარები, მათ ნაწილს კი სინესტიისგან ხავსი მოსდებია და შესაძლოა ჩამოიშალოს. უწესრიგოდ გადათხრილია იატაკ-

კი. ამას გარდა, კიდევ უფრო დაზიანებული და ჩამოშლილია ტაძრის პერანგი, ვიდრე 2012 წლის დასაწყისში, როცა ტაძარში სარესტავრაციო სამუშაოების არასწორი წარმართვის გამო ხმაური ატყდა. ტაძრის შიგნით მოწყობილი რკინის ხარაჩოები უპატრონოდაა მიტოვებული. „ისტორიანს“ სოხუმში დაუდასტურეს, რომ ტაძარში ამჟამად არანაირი სა-





ექსკლუზიური კადრები დანგრეული, ხავსითა და ნესტით დაფარული საეპისკოპოსო სასახლიდან



რესტავრაციო, სარეკონსტრუქციო, გაწმენდითი ან გამაგრებითი სამუშაოები არ მიმდინარეობს.

კვლავ საუკლავო მდგომარეობაშია საეპისკოპოსო სასახლის ნაშთები, რომელიც ბუდიის სამონასტრო კომპლექსის ნაწილია. ტაძარიდან დასავლეთით, დაახლოებით 50 მეტრის დაშორებით მდებარე სასახლის მეორე სართულიდან დარჩენილია ჩრდილო-დასავლეთის კუთხისა და დასავლეთის კედლის ფრაგმენტები. სასახლის პირველი სართულის იატაკი გადათხრილი და დატბორილია. კედლები მცენარეებითა და ხავსითაა დაფარული.

ბედია განძის მაძიებლების ინტერესის საგანიც გახდა. აქ ჯერ კიდევ 2004 წელს დაიწყო ერთიანი საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ მესამე კურაპალატის საფლავის, ასევე საგანძურის ძიება. მაძიებლებმა გადათხარეს ტაძრის იატაკი და ამოყარეს საფლავის ქვები. ასეთივე სიტუაციაა აქ დღესაც.

დაახლოებით ამავე პერიოდშივე, 2005 წლის ზაფხულში გახდა ცნობილი, რომ პრაქტიკულად განადგურებული იყო ტაძარში შემორჩენილი უნიკალური, ბაგრატ მესამე კუ-



*ასე გამოიყურებოდა შარშან, ნოემბერში ბედიის ტაძრის ინტერიერი*

რაბალატის ფრესკა — ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ერთადერთი გამოსახულება.

2005-2007 წლებში ბუკლურ მედიაში არაერთხელ დაიწერა, რომ ბედიის სამონასტრო კომპლექსს განადგურების საფრთხე ემუქრებოდა. ავტორები სხვა წყაროებთან ერთად რუჟისორ ტარიელ სოხაძის მიერ ჩამოტანილ ფოტო- და ვიდეომასალას ეყრდნობოდნენ. მასალები მან 2005 წლის აღდგომას გადაიღო დოკუმენტური ფილმისთვის — „ბედია“. თუმცა, მაშინ ოფიციალურმა თბილისმა ეს ინფორმაცია, ფაქტობრივად, რეაგირების გარეშე დატოვა. ქართულმა მხარემ განგაში ბედიის ტაძრის სავალალო მდგომარეობის შესახებ მხოლოდ 2012 წლის იანვარში ატეხა. მას შემდეგ, რაც მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს (ICOM) რუსეთის ეროვნული კომიტეტის დასკვნა გამოქვეყნდა.

2011 წლის ნოემბერში, ბედიის ტაძარში ICOM-ის დელეგაციის ვიზიტის შემდეგ უკვე ოფიციალურ დოკუმენტში ჩაიწერა, რომ ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ერთადერთი გამოსახულება ჩამოიშალა. ბაგრატიის ფრესკა XIII-XIV საუკუნეებში განახლდა და

შემორჩენილი იყო ორი ასო. მის გვერდით იყო დადიანების გამოსახულება (ტაძრის გვიანდელი ქტიტორების) და სამი-ოთხი მეტრის სიმაღლეზე სამ- თუ ხუთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. რუსული კომპანია „ტექტონიკის“ მიერ ტაძარში სარესტავრაციო წესებისა და ნორმების დარღვევით წარმართულმა სამუშაოებმა ამ ქართველ დიდებულთა ფრესკული გამოსახულებები და ქართული ასომთავრული წარწერებიც გაანადგურა.

დოკუმენტში სამხრეთ კედელზე ტაძრის მაკეტით გამოსახული ქტიტორის ფრესკის ჩამოშლის მიზეზად 1990-იანი წლების საბრძოლო მოქმედებებისას დაზიანებული კედლის გამაგრებითი სამუშაოები დასახელდა. ხელოვნებათმცოდნე გიორგი გაგოშიძის განმარტებით, სამხრეთ კედელზე გამოსახული ქტიტორი ეკლესიის მაკეტით ხელში, ბაგრატ მესამე უნაბალატი იყო. სპეციალისტთა ვარაუდით, 2007-2009 წლებში აფხაზ და რუს არქიტექტორთა მიერ არასწორად წარმოებულმა სარესტავრაციო სამუშაოებმა ფრესკა საბოლოოდ გაანადგურა. თუმცა ამ ფრესკას საფრთხე გაცილებით ადრე დაემუქრა.











2012 წლის ფოტოზე (ზემოთ) საფლავის ქვას კუთხე წატეხილი აქვს. 2011 წელს კი (ქვემოთ) ეს ქვა მთელი იყო...



ბედიის ფრესკების მდგომარეობა მზიმეა



ICOM-ის იმავე ანგარიშში აღნიშნულია, რომ ბედიის სამხრეთ ფასადს სერიოზული ზზარები ჯერ კიდევ 1992-1993 წლებში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებისას გაუჩნდა. ფართომასშტაბიანი შეიარაღებული დაპირისპირების დროს, მონასტერში რამდენიმე ჭურვი შევარდა და სამხრეთ-დასავლეთ სვეტი, ასევე კედლის მოხატულობა დააზიანა.

ქართულ მხარეს უკვე ამ პერიოდიდან ჰქონდა ინფორმაცია ფრესკის დაზიანების შესახებ. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ოთხმეხური იხსენებს, რომ ყუმბარა სწორედ იმ კედელს მოხვდა, სადაც ბაგრატ მესამე იყო გამოსახული. კედელი შეიზინქა და ჩამოშლის პირველი ამკარა საფრთხეც მაშინ გაჩნდა. თუმცა, აუცილებლობის მიუხედავად, ვერც ტაძრისა და ვერც ფრესკის დაუყოვნებლივი რესტავრაცია ვერ მოხერხდა.

1989 წლის შემდეგ ქართველ სპეციალისტებს, აფხაზეთში ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების არათუ რესტავრაცია-კონსერვაციის, მონიტორინგის საშუალებაც არ აქვთ. ინფორმაციას დარღვევებით მიმდინარე სამუშაოების შესახებ ისინი საოკუპაციო ხაზს მიღმა დარჩენილი ქართველების ან აფხაზი სპეციალისტების დახმარებით იღებდნენ.

ბედიის ვლადიკერნის წმინდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი აფხაზეთში, გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბრძანებით აიგო. ისტორიული ცნობების თანახმად, X საუკუნის მიწურულს, დაახლოებით 999 წელს.

ისტორიულ წყაროებში ვკითხულობთ, რომ ბაგრატ მესამე კურაპალატმა ააგო „საყდარი ბედიისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, შეწირნა სოფელნი მრავალნი ყოველთა ხევთა და ადგილთა, განასრულა ყოველითა განგებითა, შეამკო ყოველითა სამკაულითა ეკლესია, აკურთხა და დასუა ეპისკოპოსი“. ის ახალშექმნილი სახელმწიფოს ძლიერების სიმბოლო იყო, ისე როგორც ბაგრატის ტაძარი ქუთაისში.

ბაგრატ მესამე კურაპალატს მოუხატვინებია ტაძარი, შეუწირავს ხატები და ჯვრები. ბედიის ბარძიმის შემწირველი კი, მეფესთან ერთად დედამისი, დედოფალი გურანდუხტიც ყოფილა. ტაძარი ბევრჯერ შეკეთდა, დღევანდელი დეკორი უმეტესად XII-XIII საუკუნეებისაა, თუმცა შემორჩენილია ბაგრატ მეფის



**ტაძრის ეზოში ჩამოშლილი ქვები ვრია**

დროინდელი ჩუქურთმები, კარის ტიმპანი, დეკორირებული ჯვრები, რომლებიც ძალიან ჰგავს ტაოკლარჯული ხუროთმოძღვრების დეკორს.

ბედიის მდგომარეობა, ჩანს, იმდენად რთულია, რომ ამ თემით აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტიც დაინტერესდა. 2013 წლის თებერვლის დასაწყისში აფხაზური მედია წერდა, რომ ალექსანდრ ანქვაბმა ბედიის, მოქვისა და ილორის ტაძრების რეკონსტრუქციის განკარგულება გასცა და ამ თემაზე საგანგებო თათბირიც კი მოაწყო. მან სპეციალისტებს ლიხნის ტაძრის გადახურვის შესახებ დასკვნის მომზადებაც მოსთხოვა.

„ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ უძველესი ობიექტები ქვების გროვად იქცეს და ახალგაზრდა თაობამ არაფერი იცოდეს ჩვენი მდიდარი ისტორიის შესახებ“, — განაცხადა ანქვაბმა.

აფხაზეთში, რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ბედიის გარდა ათასამდე ისტორიული ძეგლია. რა მდგომარეობაშია და რა ბედი ელის მათ ამ ეტაპზე, უცნობია. საოკუპაციო ხაზს მიღმა დარჩენილი ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას კვლავ ვერ ახერხებს იუნესკოც.

რეინტეგრაციის საკითხთა სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარაიშვილის აზრით, საქართველომ ილორის, მოქვისა და ბედიის ტაძრების რესტავრაციაში სწორედ იუნესკოს ექსპერტები უნდა ჩართოს. მინისტრი ფიქრობს, რომ ეს ერთადერთი ბერკეტია, რომელიც ოფიციალურ თბილისს აფხაზეთში არსებული ტაძ-

რების დაგვიძლი რესტავრაციასთან დაკავშირებით გააჩნია. თუმცა აქ დამატებით ბარიერს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონი წარმოადგენს, რომელში შესატან ცვლილებათა პაკეტის განხილვას პარლამენტში დიდი ხმაური ახლავს. ეს კანონი საქართველოს ტერიტორიის გავლის გარეშე უცხოელ სპეციალისტთა აფხაზეთში მოხვედრას კრძალავს. სოხუმი კი საქართველოს გავლით მათი ჩასვლის წინააღმდეგია. ვიდრე პოლიტიკოსები კანონში შესატან ცვლილებებზე მსჯელობენ, აფხაზეთში ქართული კულტურული მემკვიდრეობა საფრთხის წინაშე დგას, თბილისი კი მის დაცვას ვერც ამ ეტაპზე ახერხებს.

**6060 ჯაფარიძე**







# საუკეთესო

ინფორმაცია შურნალს დაემატა 32 გვერდი.  
ფასი გახდა 3 ლარი.

# ისტორიების ამხრობელი



სარუქარი!  სარუქარი! სარუქარი!



  
გამოიწერათ 1 წლით  
შურნალი „ისტორიანი“  
და მიიღეთ ზონუსად  
2012 წლის 12 შურნალი  
სარუქარად!  
[www.elva.ge](http://www.elva.ge)  
ტელ.: 2382673. 2382676







# ჰოლანდიის „სხელი გული“ — ბინენჰოფი

## როგორ ბალაიქცა „ბრაფის მესერი“ სამეფო რეზიდენციად

*უამრავი ადამიანით ივსება ჰააგის ცენტრალური ქუჩა, რომელსაც ოქროთი მოფარაყებული ეტლი მიუყვება. ამ ეტლში დედოფალი ზის. იგი ნორდვინდეს სასახლიდან ბინენჰოფისკენ მიემართება სეფესიტყვის წარმოსათქმელად. ეს ყველაფერი წარსულის ისტორიული ეპიზოდი როდია. ეს XXI საუკუნის ნიდერლანდებში, ცივილიზებულ ევროპულ სახელმწიფოში ხდება... ცერემონია ყოველწლიურად იმართება სექტემბრის მესამე სამშაბათს, როცა დედოფალი პარლამენტის სხდომას ზსნის. ეს დღე მონარქიისა და ორანელთა სახლის მომხრეთა დღესასწაულია.*

ბინენჰოფი ანუ ჰოლანდიურად „შიდა ეზო“ ჰააგის ცენტრში მდებარე შენობათა კომპლექსია, რომელიც სინამდვილეში ორი ეზოს გარშემოა განლაგებული. აქ არის პრემიერ-მინისტრის რეზიდენცია და ჰოლანდიის პარლამენტი, ანუ გენერალური შტატები.

ჰააგის (დენ ჰააგი — „გრაფის მესერი“) დაარსებაში მთავარი როლი შუა საუკუნეების გრაფის ციხე-დარბაზს მიუძღვის. თუმცა „გრაფის მესერი“ დიდი ხანია გაცდა ძველ საზღვრებს და მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის დედაქალაქი ამსტერდამია, ჰააგა მთავარ



სახელმწიფო ქალაქად იქცა, სადაც მდებარეობს სამთავრობო რეზიდენცია, სამინისტროები, საელჩოები, გაეროს საერთაშორისო სასამართლო და საერთაშორისო სამართლის აკადემია. სუპერთანამედროვე არქიტექტურულ ნაგებობათა სიჭარბის მიუხედავად, მოწითალო-მოყვითალო, საუკუნეების წინ ქვით ნაგები ბინენჰოფი დღემდე ქვეყნის მთავარ პოლიტიკურ ცენტრად რჩება.

სასახლის ისტორია 1230 წელს იღებს სათავეს, როცა ჯერ ჰოლანდიის გრაფმა ფლორის IV-მ აქ მამულეები შეიძინა, მერე მისმა ვაჟმა ვილემ II-მ 1247 წელს სიმაგრის სტილში მონადირის ციხე-დარბაზი ააგო. ვილემის მემკვიდრე ფლორის V-მ ბინენჰოფი უკვე თავის რეზიდენციად აქცია. ამისთვის, ფლორის V-ის ბრძანებით, არქიტექტორმა ჟერარ ვან ლეიდენმა დამატებით ე.წ. რაინდთა დარბაზი, სახელგანთქმული „რიდერზაალი“ ააშენა. მას შემდეგ სწორედ რიდერზაალია ბინენჰოფის მთავარი ნაგებობა, მის გარშემო არსებული შენობები კი სასახლის კომპლექსის ცენტრალურ ნაწილს ქმნის.

◀ შიდა ეზო და სახელგანთქმული „რიდერზაალი“, ე.წ. რაინდთა დარბაზი. 1581 წელს აქ გამოცხადდა ჰოლანდიის დამოუკიდებლობა

▼ რიდერზაალის თანამედროვე ინტერიერი







ბინენჰოვის სასახლის პანორამა გარედან

განვიხილოთ ეპოქათა განმავლობაში რაინდთა დარბაზს მრავალი ლეგენდარული ადამიანი სწევია, მათ შორის ჰერცოგები ფილიპე კეთილი თუ კარლოს მამაცი. რიდერზაალის კედლები არაერთ ისტორიულ ამბავს მოსწრებია. რაც მთავარია, 1581 წელს სწორედ აქ

გამოცხადდა ჰოლანდიის დამოუკიდებლობა. იმის მიუხედავად, რომ 1992 წლიდან ბინენჰოვს პარლამენტის ახალი შენობა ესაზღვრება და არაერთი ცვლილება განიცადა, ის მაინც ინარჩუნებს პირველქმნილ მშვენიერებას. გოტიკურ სტილში აგებული რიდერზაა-



რიდერზაალის მრავალი სარკმელი „ვარდი“, სამეფო დინასტიების გერბებით შემკული, ტურისტების ვეელაზე დიდ ინტერესს იწვევს



ლის მთავარი დარბაზი საზეიმო და სააღლუ-  
მლო მიზნით შეიქმნა. გრანდიოზული სათავსის  
სიგრძე 40, სიგანე კი 20 მეტრია. განსაკუთ-  
რებით საინტერესოა ნივნივების სისტემა, 18  
მეტრი სიგრძის ხის კოჭებით და ვიტრაჟები,  
სადაც ჰოლანდიის სახელმწიფო გერბია გა-

მოსახული, ხოლო ფასადის მრგვალი სარკმე-  
ლი „ვარდი“ სამეფო დინასტიების გერბები-  
თაა შემკული. მაურიც ნასაუ-ორანჟელის დრო-  
იდან, ანუ 1585 წლიდან რაინდთა დარბაზში  
რეგენტები ცხოვრობდნენ. მათთვის აიგო სპე-  
ციალური ჭიშკარი სტადჰაუდერსპორტი,



*რიდერზალი.  
დირკ ვან  
დელენი,  
1651 წ.*





რომლით სარგებლობის უფლება 1786 წლამდე სხვას არავის ჰქონდა.

XX საუკუნეში რიდერზაალის კაპიტალურად გარემონტების შემდეგ აქ მხოლოდ საზეიმო ცერემონიები, მათ შორის პარლამენტის სესიის გახსნა ეწეობა. 1815 წლიდან 1992 წლამდე, პარლამენტის ახალი შენობის გახსნამდე, პარლამენტის ანუ გენერალური შტატების სხდომები XII საუკუნეში აგებულ ბინენჰოფის იმ ფლიგელში იმართებოდა, რომლის ჩრდილო-დასავლეთი ფასადი სასახლის ტბორისკენაა მიქცეული. უფრო ადრე კი აქ ეწეობოდა სახალხო კრებები, აქ ცხოვრობდა აგრეთვე ნაპოლეონ I-ის ძმა ლუდვიგო, მცირე ხანს კი პოსპიტალიც იყო გახსნილი. კომპლექსში შემავალი მდიდრული „ტრევის დარბაზი“ ეკუთვნის არქიტექტორ დანიელ მაროს, რომელმაც ჰააგაში უამრავი რამ ააგო, ხოლო ეს შენობა ტრევის ზაგის აღსანიშნავად დაპროექტდა.

კიდევ ერთი შესასვლელი სასახლის კომპლექსში გრენადერთა ჭიშკარია, რომლის მარცხნივ ტორენტის რვაკუთხა კოშკია აღმართული. მასში პოლანდიის პრემიერ-მინისტრის რეზიდენციაა განლაგებული შესაბამისი სამსახურებით.

ბინენჰოფიდან, უფრო ზუსტად კი რიდერზაალიდან 500 მეტრში მდებარეობს დედოფალ ბეატრიქსის სასახლე ნორდინდე, სადაც მისი სამუშაო რეზიდენციაა განთავსებული და ძირითადად ოფიციალური მიღებები იმართება, დედოფალი კი ოჯახით ჰააგის გარეუბანში, პოის ტენ ბოსის სასახლეში ცხოვრობს. ნორდინდე 1553 წელს აშენდა, თუმცა სასახლე 1640 წელს ფრედერიკ ჰენდრიკის დედის მოთხოვნით საფუძვლიანად გადააკეთეს არქიტექტორებმა პიტერ პოსტმა და იაკობ ვან კამპენმა ფრანგულ სტილში. ასე გაჩნდა შენობა, რომელიც სამი კორპუსისგან შედგება. გრძელი ცენტრალური კორპუსი და ფლიგელები საპატიო ეზოს ქმნის. ორსართულიანი შენობის შუა ნაწილი ყურადღებას პორტალით იმყრობს — კარიბჭის თავზე აივანია სამი დიდი სარკმელ-კარიით, რომელთაც ქვეში ნაკვეთი გირლანდები ამშვენებს. აივანს ბალუსტრადა აკრავს და წარმოადგენს იდეალურ ადგილს დედოფლისთვის, როცა მას სურს ხალხს ეჩვენოს.



კარიბჭეებს ბინენჰოფისთვის აქვს როგორც არქიტექტურული, ასევე ისტორიული ღირებულება



სასახლე ნორდინდე, აქ ნიდერლანდების დედოფლის სამუშაო რეზიდენციაა

**მავრიცკოისი**

სასახლის ტბორთან, უშუალოდ ბინენჰოფის შემდეგ, მავრიცკოისის სასახლე დგას. ის გრაფმა მავრიც ნასაუ-ორანელმა, იმხანად ბრანზილის გუბერნატორმა ააგებინა. შენობა კლასიკურ სტილშია გადაწყვეტილი. მავრიცკოისში განლაგებულია ჰააგის ერთ-ერთი შესანიშნავი მუზეუმი — „ნახატების სამე-

ფო კაბინეტი“. ბრწყინვალედ რესტავრირებული ძეგრფასი დარბაზები საუკეთესო ფონს ქმნიან ძირითადად ჰოლანდიელი ოსტატების ნამუშევრებისთვის: აქ გამოფენილია რემბრანდტის, რუბენსის, ვერმეერის, რეისდალის, ბრეიგელისა და სხვა დიდი მხატვრების შედეგები.

*მოამზადა რამაზ გურგენიძემ*

მავრიცკოისის სასახლეს სულ რამდენიმე მეტრი აშორებს ბინენჰოფის კოპლექსს







# გოლიათური სპორტი ამომაველი მზის ქვეყნიდან

## სუმოს მფარველად დღესაც ღმერთკაცი ნომინო სუკუნე მიიჩნევა

*წინაპართა წეს-ჩვეულებანი იაპონელიისთვის ლამის ყველაფერია — ამომავალი მზის ქვეყანაში უამთა სვლამ ვერაფერი დააკლო ჩაის სმის, ყვავილნარის მოვლისა თუ საქორწინო ტრადიციებს.*

*იაპონიაში გართობა და სპორტიც თავისებურად უყვართ განსაკუთრებით იტაცებთ ტრადიციული, მამაპაპური ასპარეზობანი და საბრძოლო ხელოვნება, რომლის სახეობათა შორის გამორჩეული ადგილი უკავია სუმოს — დევკაცთა ჭიდაობას.*

სუმოს ფესვები საუკუნეთა სიღრმეებში იკარგება. სუმო იმდროინდელია, როდესაც, 2500 წლის წინათ ღვთაებებმა ტაკამიკამუტიმ და ტაკემინაკატამ იაპონიის კუნძულებისთვის თავგანწირული ორთაბრძოლა გამართეს.

იაპონური ისტორიული ტრაქტატი „ნი-

ჰონგი“ გვიამბობს სუმოტორთა (სუმოს მოჭიდავეთა) პირველ ეროვნულ შეჯიბრებაზე, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 230 წელს გამართულა. მისი გამარჯვებული ღმერთკაცი ნომინო სუკუნე გამხდარა, რომელიც დღესაც სუმოს მფარველად მიიჩნევა.

ერთიცაა: მიუხედავად იმისა, რომ სუმო იაპონურ ფესვებზე აღმოცენდა, საბრძოლო ხელოვნების მსგავსი სახეობანი არსებობდა მონღოლეთში (მონღოლური ჭიდაობა), ჩინეთსა (შუაი იაო) და კორეაშიც (სირეუმი).

## აღამიანისა და ღმერთის ჭიდილი

პირველი ორთაბრძოლები სუმოში არა სპორტულ, არამედ რელიგიურ ხასიათს ატარებდა. იაპონიის ტრადიციულ რელიგიაში, სინტოიზმში ის სულაც აღამიანისა და ღმერთის ჭიდილსაც გამოხატავდა. შეჯიბრება რიტუალური ცეკვების, ლოცვისა და შესაბამისი თემატიკის თეატრალური წარმოდგენების თანხლებით იმართებოდა.

პირველი წერილობითი ცნობა სპორტის ამ სახეობის შესახებ VII საუკუნის ქრონიკებში გვხვდება და ის უკავშირდება იმპერატორის კარზე კორეის ელჩის პატივსაცემად გამართულ ასპარეზობას (642 წ).

შეჯიბრებები ყოველწლიურად, როგორც წესი, შემოდგომით, მოსავლის დაბინავენის შემდეგ იმართებოდა. იმხანად სუმოისტთა ჭიდაობა, პრაქტიკულად, შეუზღუდავი ყოფილა: არ არსებობდა აკრძალული ილეთები და თმით თრევა, წიხლის ჩართვა ან თავში ცემა ჩვეულებრივი ამბავი იყო.

მხოლოდ ხეიანის ეპოქაში (794-1185) ჩამოყალიბდა სუმოს ძირითადი წესები, სადაც განისაზღვრა ორთაბრძოლის პირობები და ასევე, დადგინდა მსაჯობის სისტემა.

დროთა განმავლობაში ასპარეზობამ რელიგიური მნიშვნელობა დაკარგა. მას შემდეგ

კი, რაც ქვეყანაში დასუსტდა იმპერატორის ხელისუფლება და ძალაუფლება სამხედროთა ხელში აღმოჩნდა, სუმოს შეჯიბრები სულ უფრო იშვიათად ეწყობოდა. არადა, სუმო ერთგვარი საბრძოლო ხელოვნება იყო. შინაომების პერიოდში მის ილეთებს ფართოდ იყენებდნენ როგორც მებრძოლთა წვრთნისა და მომზადებისთვის, ისე უშუალოდ ბრძოლისას. მხოლოდ XVII საუკუნეში, მშვიდობის დამყარების, ვაჭრობის განვითარებისა და ვაჭართა კლასის გაძლიერების შემდეგ, სუმო, როგორც სპორტული შეჯიბრება, იაპონელი ერის საყვარელი თავშესაქცევი გახდა.

ედოს ხანაში (1603-1868) ჩამოყალიბდა სუმოისტთა იერარქია, დაიხვეწა შეჯიბრების წესები (თითქმის ამ სახით შემორჩა დღემდე) და საბოლოოდ დადგინდა კანონიკური ილეთები — ჩაგლება, სარმა, კვრა და სხვ. ამავე პერიოდში შემოიღეს დიადი ჩემპიონის — იოკოძუნას წოდება. მეიძის რესტავრაციის პერიოდში (იაპონიის იმპერატორის, მუცუჰიტოს (1867-1912) მმართველობის ხანა) სუმომ, როგორც სახალხო გართობამ, პოპულარობა დაკარგა — იაპონელები დასაგლურმა გასართობებმა უფრო დააინტერესა. თანაც, ჭიდაობის ეს სახეობა ფეოდალიზმის გადმონაშთად მოინათლა და შედეგად, სუმოტორების დევნაც კი დაიწყო.

მაგრამ იმპერატორის პირადმა მხარდაჭერამ და ეროვნულმა სულმა სუმო მივიწყებას გადაარჩინა. ტურნირები მალევე აღდგა და მას შემდეგ აღარასდროს შეწყვეტილა, ომიანობის დროსაც კი.

ბოლო დროს ჭიდაობის ეს სახეობა იაპო-

*ტურნირისთვის დოპოს მომზადებისას სამი დღე-ღამის განმავლობაში 42 სპეციალისტის გარჯა სჭირდება*







წვრთნისა და გამოწოების მკაცრ წესებს მკვლავ უძლებს და სუმიოსტთა რიგებს ბევრი ნაადრევად ტოვებს

დამწვეები სუმოტორის ყოფა ახალწვეული ჯარისკაცისა ჰკავს — უამრავი ვალდებულებითა და მინიმალური უფლებებით



ნიის საზღვრებსაც გასცდა და დღეს სუმოს საერთაშორისო ასოციაციაში ოთხმოცამდე ქვეყანაა გაწევრებული.

### საკაითი დასაველავული ასპარეზი და ორთაბრძოლის ფესვები

სუმოტორები ერთმანეთს სპეციალურ, შემადლებულ რინგზე — დოჰიოზე ერკინებიან, რომელზეც საჭიდაო მოედანი 4,55 მეტრი დიამეტრის მქონე წრედ არის შემოსაზღვრული. ასპარეზი თიხნარია, რომელზეც ქვიშაა მოყრილი, ხოლო თავზე ფანჩატური ადგას, რომლის ფორმები სინტოისტური ტაძრის სახურავს მოგვაგონებს.

ასპარეზის ორთაბრძოლისთვის მომზადება, როგორც ბევრი სხვა რამ იაპონიაში, ნამდვილი ხელოვნებაა და თავისებური მისტიკითაა გაჯერებული. სხვათა შორის, დოჰიოზე ფეხის შედგმა მკაცრად ეკრძალებათ ქალებს.

დოჰიოს გაწეობას სამი დღე-ღამე და ამ ხნის განმავლობაში 42 სპეციალისტის გარჯა სჭირდება. წესია: მოედნის ცენტრში აუცილებლად უნდა დაიფლას წყალმცენარეები, მოლუსკები, მარილი, ბრინჯი, წაბლი და ჩინური ლერწამი...

ტურნირის დაწყების წინ დოჰიოს საკეს აპკურებენ, რაც იაპონელთა რწმენით, წარმატებისა და ღმერთების კეთილგანწყობის საწინდარია.

ტურნირი სუმოში, რომელსაც ბამო ეწოდება, ორ თვეში ერთხელ — იანვარში, მარტში, მაისში, ივლისში, სექტემბერსა და ნოემბერში იმართება. მათგან სამს ტოკიო მასპინძლობს, თითოს — ოსაკა, ნაგოა და ფუკუოკა.

ელიტურ დივიზიონებში თხუთმეტდღიანი ტურნირი თვის პირველ ან მეორე კვირას ემთხვევა და იქ უმაღლესი რანგის ფალავნები შესვენებების გარეშე ასპარეზობენ. დაბალი რანგის ტურნირები შედარებით ხანმოკლეა — შვიდდღიანი.

ორთაბრძოლის დაწყებამდე იმართება ცერემონიალი — დოჰიო-ირი, რომლის დროსაც ხის ჯოხების რიტმული ცემის ფონზე ასპარეზზე რიკიშები (გოლიათები) გამოდიან. წესისამებრ, სუმოტორები ორ პირობით ჯგუფად: აღმოსავლეთისა (პირველები გამოდიან) და დასავლეთის წარმომადგენლებად იყოფიან. რიკიშები ჯერ ტაშის კვრით ბოროტ სუ-

ლებს აფრთხობენ, შემდეგ კი დოჰიოს გარშემო განლაგდებიან.

ამ დროს ფალანგები სადღესასწაულო კაბა-სამოსით — ოქროსა და ვერცხლის ძაფებით ნაქარგი კეშიო-მაჟაშით არიან შემოსილნი, რომელიც ნამდვილი ხელოვნების ნიმუშია და ლამის ათ კილოგრამამდე იწონის. კეშიო-მაჟაშზე ნახატი თუ წარწერა ნებისმიერი შინაარსისა შეიძლება იყოს: მოჭიდავის მშობლიური ქალაქის ხედით დაწყებული, საქველმოქმედო ორგანიზაციის სახელწოდებით დამთავრებული.

ცერემონიის კულმინაცია დიადი ჩემპიონის (იოკოძუნას) გამოჩენა ხდება, რომელიც თავდაპირველად ტაშს უკრავს და ღმერთებს მოუხმობს, შემდეგ კი ხელებს განზე შლის — ხელისგულებით მალლა, რითაც ყველას ანიშნებს, რომ არ აქვს რამე მზაკვრული განზრახვა და უიარაღოა. შემდეგ ძირს მძლავრად სცემს ფეხებს, რათა დოჰიოდან ავი სულები განდევნოს.

მას შემდეგ, რაც ავი სულები განიდევნიებიან, ხოლო ღმერთები ყურადღებას მიაპყრო-

ბენ საასპარეზოდ შეკრებილთ, ორთაბრძოლაც იწყება და რინგზე ორი სუმოტორი გამოდის, რომლებიც თედოსახვევი-ქამრის (მაჟაშის) ამაღრა არიან. ეს ფეხებშორის რამდენჯერმე ამოხვეული და ზურგთან განასკვული აბრეშუმის ნაჭერია.

მეტოქენი ჯერ პირში წყალს ივლებენ. ეს რიტუალი მათ ბოროტი ზრახვებისგან განწმენდაში ეხმარება. აღსანიშნავია, რომ წყალი მოჭიდავესთან სხვა რიკიშის მიაქვს (ოღონდაც არა იმას, ვინც მანამდე წააგო ორთაბრძოლა. ეს ავისმომასწავებლად მიიჩნევა და დაუშვებელია).

ამის შემდგომ მეტოქეები დოჰიოზე მარილს აბნევენ. ეს განწმენდის რიტუალია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რადგან ჯერ ერთი, მარილი აიპონიაში სისუფთავის სიმბოლოდ ითვლება, და მეორეც, გარანტიაა, რომ ჭრილობიდან სუმოისტის სისხლში ინფექცია არ შეიჭრება. მარილს საგანგებო ყუთიდან მუჭებით იღებენ და დოჰიოზე უხვად აბნევენ.

რინგზე მოჭიდავეები კვლავაც იწყებენ ტაშისკვრას, განზე შლიან ხელებს და რიგრი-

*ტურნირის გახსნის ცერემონიალი*







სუმო ძალიან პოპულარულია იაპონიაში

გობით აბაკუნებენ ფეხებს. ამასობაში მსაჯებს გრაგნილები გამოაქვთ, რომლებიც გამარჯვებულისთვის დაწესებულ ჯილდოებს ასახავს.

სანამ მეტოქეს ეკვეთება, თითოეული სუმოტორი ვალდებულია, მიწას მუშტებით დაეყრდნოს და ნიშანს დაელოდოს. თუკი რომელიმე დროზე ადრე დაიწყებს ბრძოლას, მსაჯისგან შენიშვნას აუცილებლად მიიღებს და საწყის პოზიციას დაუბრუნდება.

გამარჯვებულია ის ფალავანი, რომელიც მეტოქეს რკალის გარეთ გაიყვანს ან დოჰიოზე დასცემს. დამარცხებულ მიიჩნევა ფეხის გარდა, სხეულის ნებისმიერი ნაწილით მიწაზე შეხება. დაუშვებელია მუშტის, ფეხის დარტყმა, ყელში წაჭერა ან თმაში ჩაეღება.

სხვათა შორის, წაგება ეთვლება იმ სუმოისტსაც, რომელსაც ერთადერთი სამოსი — მაკაში შეეხსნება...

დღეს პროფესიულ სუმოში წონითი კატეგორიები არ არსებობს, თუმცა მოჭიდავის წო-

ნა 70 კილოგრამზე, სიმაღლე კი 173 სანტიმეტრზე ნაკლები არ უნდა იყოს.

წესების სიმარტივის მიუხედავად, გამარჯვებულის გამოვლენა იოლი ყოველთვის როდია და ზოგჯერ შეჯიბრების შედეგის დასადგენად მსაჯთა საბჭოს შეკრებაც ხდება საჭირო. თუკი მსაჯთა საბჭო კონსენსუსს ვერ მიადწევს, შესაძლოა, დამატებითი ორთაბრძოლაც დაინიშნოს.

მეტოქის ძლევის შემდეგ გამარჯვებული ცდილობს, არ გამოხატოს ემოციები და ჩაცუცქეული ელის მსაჯის გადაწყვეტილებას. ეს უკანასკნელი აცხადებს გამარჯვებულის სახელს და მისი მიმართულებით რიტუალურ მარაოს იშვერს.

როცა გამარჯვებული ფულად პრიზს მიიღებს, თუკი ის დაწესებულია, ხელში სათლს იღებს და შემდეგ მონაწილისთვის მას წყლით აესხს.

ტურნირი საზეიმო ვითარებაში გამარჯვებულთა გამოცხადებით მთავრდება, რომლებსაც დოჰიოზე ბოლო ორთაბრძოლის დასრუ-

ლებისთანავე უხმობენ. ტურნირის გამარჯვებულს მთავარ პრიზს — იმპერატორის თასს საიმპერატორო ოჯახის ერთ-ერთი წევრი გადასცემს. ამასთან, ჩემპიონი იღებს სხვადასხვა ჯილდოსა და საჩუქარს სპონსორებისგან და ფულად პრიზს სუმოს ასოციაციისგან.

ასევე ჯილდოვდებიან სხვა, შედარებით დაბალი რანგის კატეგორიებში გამარჯვებულებიც. დაწესებულია პრემიები მებრძოლი სულისთვის (კანტოში), ტექნიკური სრულყოფილებისა (გინოში) და რანგით მაღალ მეტოქესთან გამარჯვებისთვის (სუკონში).

გარდა ფულადი და მატერიალური ჯილდოებისა, გამარჯვებულები პუბლიკის აღიარებას, პრესის, ტელევიზიისა და მასმედიის სხვა საშუალებებისგან განსაკუთრებულ ყურადღებასა და ხოტბა-დიდებას იმსახურებენ.

**„კენჭიანი ბატაკილდების!“**

დამწყები სუმოტორის ცხოვრება ახალწვეული ჯარისკაცისას ჰგავს — უამრავი ვალდებულებითა და მინიმალური უფლებებით... ახალგაზრდები ამზადებენ კერძებს, ალაგებენ, ასრულებენ გამოცდილი სუმოისტების ბრძანებებს, ემსახურებიან მათ, თანაც, სწრაფად და უსიტყვოდ. ასეთ ტემპს კი ყველა ვერ უძლებს და ბევრი მათგანი სუმოისტთა რიგებს ნაადრევად ტოვებს.

უკვე შემდგარი, პროფესიონალი სუმოისტები ვალდებული არიან, თავიანთ კლუბებში — ჰეიებში იცხოვრონ. მათი ყოფა დეტალებშია განსაზღვრული — კვების რაციონიდან დაწყებული, ჩაცმა-დახურვით დამთავრებული.

სუმოისტების ცხოვრება ჰეიაში მზის ამოსვლასთან ერთად, ხუთსაათიანი, მოქმანცველი ვარჯიშით იწყება. როგორც წესი, ისინი არ საუზმობენ, დასვენების შემდეგ კი დიდი დანაყრება ელთ. მენიუში ჭარბად არის სხვადასხვაგვარი თევზი, ხორცი და ბოსტნეული. სუმოტორები ბლომად იღებენ ბრინჯს და შემდგომ ლუდიც ეკუთვნით. მაძღრისად კვებას სამსაათიანი ძილი მოსდევს, რაც წონის აკრეფას უწყობს ხელს, მოწინააღმდეგეთან უკეთ შესარკინებლად.

ის, რაც რიგით მოკვდავთათვის ჩვეულებრივია, სუმოს გოლიათებისთვის ნამდვილი ფუფუნებაა. მაგალითად, მობილური ტელეფონით, ინტერნეტით სარგებლობისა თუ ცალკე ოთახში ძილის უფლებას სუმოტორი მხო-



ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)

*სოხუმში დაბადებული ლევან ცაგურია კარიერის დასრულების შემდეგ თბის შეჭრის ტრადიციულ ცერემონიაში მონაწილეობდა*





ლოდ განსაზღვრული წარმატების მიღწევის შემდეგ თუ იღებს. აი, რაც შეეხება ავტომობილის მართვას, ეს სუმოს სამყაროში დაუშვებელია.

ყველაფერთან ერთად, სუმო კონტაქტური სპორტია და ტრავმებიც ხშირია. თანაც, ჯანმრთელობისთვის თავისებურად სახიანოა ჭარბი, სპორტის ამ სახეობისთვის აუცილებელი ზედმეტი წონაც.

მაგრამ მედალს მეორე, დადებითი მხარეც აქვს — სახელოვანი სუმოტორი იაპონიაში განსაკუთრებით დაფასებულია. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ის ერთ-ერთი ყველაზე სასურველი სასიძოა. როგორც წესი, ამ გოლიათთა ცოლები ცნობილი ტოპმოდელები, მსახიობები და სხვა, ქვეყანაში თითოთი საჩვენებელი მზეთუნახავები ხდებიან.

### **იაპონური ჭიდაობის ძარტიველი გოლიათები**

დიახ, წარმატებული ფალანგები ქართველებს სუმოშიც გვყავს. აღსანიშნავია, რომ ტრადიციული, საკუთრივ იაპონური ჭიდაობის სახეობა სუმო ბოლო ხანებში პოპულარული იაპონიის საზღვრებს გარეთაც, პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, ასევე ბრაზილიაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეაშიც გახდა.

1980 წელს გამართულ იაპონიის დია ჩემპიონატში ამ ქვეყნების ფალანგები და გუნდებიც მონაწილეობდნენ და ეს შეჯიბრება შეიძლება ისტორიაში მსოფლიოს პირველ ჩემპიონატად ჩაითვალოს. 1983 წლიდან არსებობს სუმოს საერთაშორისო ფედერაცია, რომელშიც დღეს 70-ზე მეტი ქვეყანაა გაწევრებული.

რაც შეეხება სუმოს სამყაროში გამორჩეულ ქართველებს, აღსანიშნავია, რომ პირველი ევროპელი, ვინც ძურიოს თანრიგს მიაღწია და ელიტაში შეაბიჯა, 1981 წელს სოხუმში დაბადებული ლევან ცაგურიაა. იაპონელებმა მას კოკაი (შავი ზღვა) შეარქვეს.

1992 წელს, აფხაზეთის კონფლიქტის დროს, ლევან ცაგურიას ოჯახს სოხუმის დატოვება და თბილისში გადმოსვლა მოუხდა, სუმოთი კი ის საქართველოს სპორტის აკადემიაში სწავლის დროს დაინტერესდა. კოკაის დებიუტი პროფესიულ ლიგაში 2001 წელს შედგა, 2012 წლის ბოლოს კი 165 კგ წონის ფალანგმა კარიერის დასრულება ტრავმის გამო გადაწყვიტა.

პროფესიულ სუმოში ამჟამად ორი ქართველი ფალანგი — ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი) და თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ) გამოდის, რომლებიც სუპერტურნირებში — ბაშოზე სისტემატურად ასპარეზობენ.

**გელა უზარიაძე**

*თეიმურაზ ჯუღელი, ლევან ცაგურია და ლევან გორგაძე იაპონიაში*



# მილიონობით ექსპონატი, რომელიც საქართველოს ისტორიას აცოცხლებს

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა ახალი წიგნის პრეზენტაცია. „საქართველოს 100 მუზეუმის“ ავტორებმა ალექსანდრე ნონეშვილმა და ამირან თაყარტილაძემ ქართული კულტურისა და ხელოვნების მოყვარულთ წარუდგინეს თავიანთი საინტერესო ნაშრომი, რომლის მიზანია საქართველოს მუზეუმების წარმოჩენა. კერძოდ, ადგილობრივ მკვიდრთათვის — შეხსენება, სტუმართათვის — მუზეუმებში არსებული მდიდარი, უნიკალური მასალების შესახებ სათანადო ინფორმაციის მიწოდება-პოპულარიზაცია.

საქართველოს თანამედროვე სამუზეუმო კულტურა 160 წელიწადზე მეტს ითვლის. ქვეყანაში არსებული მუზეუმების რაოდენობა 100-ზე ბევრად მეტია, ხოლო ექსპონიციებსა და ფონდებში დაცული ისტორიის, ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის ამსახველი მასალების რაოდენობა რამდენიმე მილიონს აღემატება.

საქართველოს ყველა მუზეუმის მხოლოდ ძირითად ექსპონატთა სრულად წარმოჩენას მრავალი ტომი დასჭირდებოდა. ამ ფოტოალბომისთვის კი საქართველოს მხოლოდ 100 მუზეუმი შეირჩა.

უნიკალური და იშვიათი აღმოჩენები დაცულია არა მარტო დედაქალაქის სახელმწიფო, არამედ სხვადასხვა რაიონის მხარეთმცოდნეობისა და ისტორიულ მუზეუმებში, რომელთა ფონდებში არსებული ზოგიერთი ექსპონატი არათუ რაიონისა და მხარის, არამედ მრავალი ქვეყნის სახელმწიფო, ცენტრალურ მუზეუმს დაამუშვენდა.



მუზეუმის ნაწილი განთავსებულია ისტორიულ და მემორიალურ შენობა-ნაგებობებში, ხოლო მუზეუმ-ნაკრძალები უშუალოდ საკულტო ნაგებობებსა და არქეოლოგიური გათხრების ადგილზეა განლაგებული.

მუზეუმების შექმნის, ექსპონატების მოძიების, თავმოყრისა და შესწავლისთვის ათწლეულების განმავლობაში იღვწოდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები, მწერლები, მხატვრები და საზოგადო მოღვაწეები.

სამწუხაროდ, გამოცემაში ვერ მოხვდა რუსეთის მიერ დროებით ოკუპირებულ — აფხაზეთსა და შიდა ქართლის ცალკეულ ტერიტორიაზე არსებული მუზეუმები, რომელთა დიდი ნაწილი ამჟამად მოუვლელი და უმოქმედოა.

ალბომში გამოყენებულია მიხეილ როსტომაშვილისა და გიორგი ჩანადირის ფოტოები.

„ისტორიანი“







ვარსკვლავის გახსნაზე მეუღლესთან, გურანდა გაბუნიასთან ერთად

## ოთარ მეღვინეთუხუცესი



– ცხოვრება ღირს რამდენიმე ბედნიერი წუთისთვისაც...

ოთარ მეღვინეთუხუცესის გარდაცვალების შემდეგ არაერთხელ გაისმა ფრაზა — ის ერთადერთი იყო! ერთადერთი იყო თავისი ნიჭით, განუმეორებელი სიბლით, არტისტიზმით... და თუმცა ქართველები განებეგრებული ვართ დიდი მსახიობებით წარსულსა და აწმყოშიც, ოთარ მეღვინეთუხუცესს განსხვავებული ადგილი ეკავა ქართულ ხელოვნებაში.

ოთარ მეღვინეთუხუცესი თითქმის ერთადერთი იყო, ვინც ბოლომდე დაფარული დარჩა ფართო საზოგადოებისთვის... ხედავდნენ იმას, რასაც სცენაზე ატრიალებდა, როგორც ჯადოქარი... ხედავდნენ მის მმართველობასა და ხელმძღვანელობას მარჯანიშვილის თეატრში, ხედავდნენ, როგორი იყო სუფრასთან, რეპეტიციასზე, ჩხუბშიც კი... მაგრამ მთავარს — მის სულიერებას მაინც ნაკლებად გაიაზრებდნენ ხოლმე, რადგან თავად დიდი არტისტი იყო ამ მხრივ ძალიან შენიღბული, ახლოს იშვიათად გაიკარებდა ვინმეს, გულიდან ამომავალი ფრაზებიც იშვიათად დასცდებოდა... ძალიან უნდა დაჰკვირვებოდა და მისხალ-მისხალ შეგვეგროვებინა მისი სულის ანარეკლები, მაგალითად ასეთი:

„ნახეთ, რამდენი მშვენიერი რამ არსებობს ქვეყანაზე: ბუნება, ქალის სილამაზე, ვაჟკაცობა, ნამუსი, ნიჭიერება. ხედავთ, ეს პატარა მარცვლი, ადამიანი რომ ჰქვია, რამდენის შემძლე ყოფილა? ეს დედამიწაც რა ლამაზია. ზემოდან ვისაც უნახავს, კიდევ უფრო ლამაზი ყოფილა თურმე. რასაკვირველია, მინდოდა, მეც დამენახა კოსმოსიდან, მაგრამ ეს ხომ ყველას ხვედრი არ არის. კაცობრიობამ ჯერ ვერ მიაღწია იმას, რომ ყველამ იმოგზაუროს კოს-

მოსში... ძნელი მისატოვებელია ეს ყველაფერი. ამიტომ უჭირთ ხოლმე ამ ქვეყანასთან განშორება. გაჭირვება ბევრია, მაგრამ გაივლის. სიცოცხლეში მხოლოდ რამდენიმე ბედნიერი წუთი რომ გვქონდეს, იმისთვისაც კი ღირს ცხოვრება“.

რამდენიმე ბედნიერი წუთისთვისაც ღირდაო... და მით უმეტეს ღირდა იმ დიდი ბედნიერებისთვის, რაც მან განიცადა უსაყვარლეს სცენაზე. 80 წლის რომ გახდა, საიუბილეო სპექტაკლი ითამაშა... შემდეგ მაყურებლის წინაშე წარდგა და თავი მდაბლად დაუკრა ფეხზე მდგომ დარბაზს... 80 წლის კი ვარ, მაგრამ ვერ ვიჯერებ... არ მეგონა, ამდენს თუ ვიცოცხლებდი... გრძნობით ასაკს ვერ ვგრძნობ, მაგრამ მთავარია, თქვენ ვერ იგრძნოთ, რომ მე 80 წლის ვარო...

ჩვენ — მაყურებელს აღარც კი გვახსოვდა მისი ასაკი, რადგან ხალხმა ინება ოთარ მეღვინეთუხუცესის გმირთან გაიგივება — დათა თუთაშხიად იმიტომ კი არ დაისახა, რომ მისი ერთ-ერთი საუკეთესო როლი იყო ფილმში განსახიერებული ჭაბუა ამირეჯიბის რომანის მთავარი პერსონაჟი, არამედ იმიტომ, რომ მასში გააერთიანა ვაჟკაცობისა და სილაღის, სამართლიანობისა და ბუნებითი, საქართველოს მთა-

კალრი ფილმიდან „დათა თუთაშხია“ (1978)







კადრი ფილმიდან „ზარება და გოგია“ (1987)



სცენა მარჯანიშვილის თეატრის ერთმოქმედებიანი სპექტაკლიდან „პაკი აძბა“ (პრემიერა გაიმართა 1981 წელს)

ბარიდან მიღებული სიყვარულის ხორცშესხმა... ამით თითქოს კიდევ ერთი ამოცანა დააკისრა მაყურებელმა — ის გმირი უნდა ყოფილიყო — მატერიალური ფასეულობებისგან თავისუფალი ვაჟკაცი, რომელიც თავისი სიმართლით ქვაზე უფრო მაგარი იქნებოდა...

ვიღაც ქონებას აგროვებდა, ფხიანად იქცეოდა და ჭკვიანად განკარგავდა... ის სხვა

იყო: „არავითარი ფხა არ გამაჩნია. მე რომ ეგ შემძლებოდა, თეატრსაც უფრო გავუუმჯობესებდი პირობებს. მე ჩემთვისაც არაფერი გამაჩნია: 17 წლის მანქანა მყავს, ჩემი სახლის კედელი და ჭერი გაპობილია... ისე, მამაჩემიც ეგეთი იყო. რევოლუციამდე მამულები ჰქონდა — ჩამოართვეს. მუშაობდა რაიონში სამეურნეო ნაწილის გამგედ. ისეთ ტრადიციებზე გავიზარდე, მატერიალური უქონლობა ოჯახში არ მაწუხებს დიდად. მამაჩემსაც არ აწუხებდა. მეუბნებოდა ხოლმე: მქონდა ყველაფერი, არ მიკვირდა, არ მაქვს, არც ეს მიკვირსო. მართლა არ უკვირდა, დარდი არქონის გამო არ იცოდა. დედას უფრო უჭირდა, მაგრამ შეეგუა ქმრის ხასიათს. მე მგონი, ჩემი კნეინაც ასე თუ ისე შეეჩვია“.

ოთარ მეღვინეთუხუცესი სხვა „სიმდიდრით საზრდოობდა“. იხსენებდა წარსულს და ძუნწად, მაგრამ მაინც გამოჟონავდა ხოლმე სანტიმენტალური მოგონებები:

„უდაბნოს მეურნეობა რომ არის, საგარეჯოსთან, მამა იქ მუშაობდა. იქაურობა ქვეწარმავლებით იყო საესე. მე კი ხშირად ფეხშიშველა დაეზობოდი და უცებ განზე გავხტებოდი ხოლმე, ფეხი რომ არ დამეღვა... ასეთი ბავშვობა მაქვს გაგლიდი: ფეხშიშველა სირბილი, ცხენით ჯირითი, ცურვა... დეიდა მყავდა მცხეთაში. იქ მივყავდი ხოლმე მშობლებს, იქ ვსწავლობდი მტკვარსა და არაგვზე ცურვას. კარგია ბავშვობა...“

მამა რომ გარდამეცვალა, ორი კვირა ვერ გამოფხიზლდი... არ შემეძლო. დედაჩემმა ჩემს ხელში დალია სული. ეს რა ყოფილა, თურმე! თავიდან გარეგნულად გეტყობა ტკივილი. მერე და მერე, ისე აღარ გემჩნევა კაცს ერთი შეხედვით დარდი, რადგან სიღრმეში მიდის, ნაკლები კი არ ხდება, პირიქით... დრო ვერაფერს შველის კაცს. გამოცდილება გემატება, ბევრ რამეს სწავლობ... ზოგჯერ შენს თავზეც ფიქრობ, შენც არ შეაბერდები ამ ქვეყანას. იცი ეს და კიდევ რაღაც ემატება მათდამი დამოკიდებულებას, ვინც ამქვეყნად მოგვიყვანა, სიცოცხლე გვაჩუქა... ეს ხომ ყველაზე დიდი საჩუქარია“.

სიცოცხლის შემდეგ უკვე თავისი პროფესია მიაჩნდა დიდ ღვთის წყალობად:

„1954 წელს მე და ნოდარ მგალობლიშვილი მოვედით ერთად თეატრში. პატარა ხელფასი მოგვცეს, მაგრამ ერთი წლის შემდეგ დი-

რექტორმა კრებაზე საოცარი ხალხის — დიდი მსახიობების წინაშე დააყენა საკითხი: პირველი შემთხვევაა, რომ თეატრში ისინი მივიღეთ, ვინც გვინდოდა. საერთოდ, ინსტიტუტის კურსდამთავრებულთაგან ჯერ რუსთაველის თეატრი ირჩევდა მსახიობებს, ვინც დარჩებოდა, მათგან ვირჩევდით ჩვენ. პირველად მოხდა, რომ ეს ბიჭები ჩვენთან მოვიყვანეთ. წელიწადია, ვუყურებთ მათ და ვთხოვთ, მოუშუალოთ ხელფასი... მართლაც, ბევრ ახალ როლს ვთამაშობდით ყოველ წელიწადს, თუკი რაღაცას გააკეთებდით, ხელფასიც გვემატებოდა“.

მიუხედავად ამისა, მაინც მოხდა გაუგებრობა... ოთარ მეღვინეთუხუცესი ცოტა ხნით, მაგრამ სხვა ახალგაზრდებთან ერთად რუსთავის თეატრში გადავიდა...

„ჩვენს თაობას დასჭირდა, რომ თავისივე თაობის რეჟისორი ჰყოლოდა: ლილი იოსელიანი, გიგა ლორთქიფანიძე. მარჯანიშვილის თეატრში მუშაობის საშუალებას უფროსი თაობა მათ არ აძლევდა. რაკი მარჯანიშვილთან ჰქონდათ ნამუშევარი, არც ერთი რეჟისორი მათ აღარ მოსწონდათ. ეს იყო განხეთქილების საბაბი და წავედით რუსთავში. ცხრა წელიწადს ვიყავით იქ. მერე კულტურის მაშინდელმა მინისტრმა — ოთარ თავთაქიშვილმა თერთმეტი კაცი დაგვაბრუნა ძველ ადგილას. უკმაყოფილო რომ არ იყო ადამიანი რამით, არ არსებობს. მაშინ ერთ ადგილას უნდა დადგე, გაიყინო. მინახავს უნიჭიერესი ხალხი, ერთ ადგილზე რომ გაჩერებულან. ამას კი არც ცხოვრება, არც საქმე, არც სასოგადოება არ გვაპატიებს... სულ უნდა შეუძახო შენს თავს, სულ უნდა შეამოწმო, ხომ არ დაგემართა ეს აუღმყოფობა, ისევ ის ხომ არ ხარ, რაც იყავი. სულ უნდა ეძიო, რაღაც უნდა შეცვალო“.

მისი ცხოვრების ურთულესი ხანა იყო, როცა მარჯანიშვილის თეატრის ხელმძღვანელის პოსტი ეკავა... მაშინ განსაკუთრებით მარტოსული იყო...

„ნეტავი, ხელმძღვანელი საერთოდ არ არსებობდეს, ისეთი სამართლიანი ვიყოთ ადამიანები, რომ არავინ გვჭირდებოდეს ხელმძღვანელად... კარგი იქნებოდა, არავინ იჩაგრებოდეს... მაგრამ არ გამოდის ასე. ჩვენი ცხოვრება სრულყოფილი არ არის. ღმერთი ჩვენგან რასაც ითხოვს, იმას ვერ ვახერხებთ... ზოგჯერ ისე ხდება, ვიღაცას მკაცრად უნდა მოექცე. ვინ იყოს თეატრში, ვინ — არა, წარ-



კადრი ფილმიდან „ნატერის ხე“ (1976)



კადრი ფილმიდან „სამკაული სატრფოსათვის“ (1971)



კადრი ფილმიდან „ტურანდოტი“ (1989)

მოვიდგენდი, რომ ოდესმე ამაზე ვიფიქრებდი? ან იმას თუ დავუშვებდი, რომ ჩემ გამო ვიღაც წასულიყო თეატრიდან?! სამუშაოს მეტი არაფერი უნდა არტისტს... ეს სამუშაო რომ არ აქვს, დაბოლმელი გიყურებს და ეზიზღები უკვე. საშინელება! ერთადერთი მსახიობი, რომელიც თეატრში აღარ არის და ისევ მირეკავს — ზანდა იოსელიანია. რა კეთილშობი-




ლი ყოფილა ეს ქალი! შეუძლია, გადააბიჯოს ტკივილს, რომელიც ჩემი მიზნებითაა შეხვდა... თუმცა მარტო მე ხომ არ გადამიწყვეტია მისი ბედი. ექვსმა კაცმა კენჭი ვუყარეთ... როგორ დაძლია ეს ტკივილი?!

კარგად მესმის მათი, ვინც თეატრში აღარ არიან. ბევრმა ვერ მაპატია ეს. მთავარ დამნაშავედ მივაჩნევარ. პროფესია დაკარგეს და ეს დიდი ტრაგედიაა. მე რომ ეგ შემთხვევითაა, არ ვიცი, რა დამემართებოდა. მაგრამ საქმე დაუნდობელია. კაცი კი არა, მარტო საქმეა დაუნდობელი!“

ოთარ მეღვინეთუხუცესი — დიდი არტიისტი, რომელიც ხელმძღვანელის პოსტზეც მუშაობდა, საზოგადოებისთვისაც ცნობილი იყო და უცხოეთშიც იცნობდნენ, მუდმივად საკუთარ თავში იყო ჩაბრუნებული, გარეთ კი დიდი სიმორცხვის დაძლევის ფასად თუ გამოდევნიდა საკუთარ თავს:

„ლილი იოსელიანმა გაიგო ჩემი ბუნების ეგ თვისება და შეუბნებოდა ხოლმე: საზოგა-

*კრუნის როლში, სპექტაკლში „ანტიგონე“*



დობაში როცა ხარ, გადახედე ირგვლივ ყველას და შენს თავს უთხარი, — მე ლომი ვარ, ესენი პატარები არიან, მე მათზე ძლიერი ვარ! ეს გჭირდება შინაგანი სიმშვიდისთვისო. დღესაც მიჭირს ხალხში ყოფნა, ამიტომ მიყვარს მარტოობა, თავისუფლად ვგრძნობ თავს, ის ვარ, რაც ვარ... უცნაურია, ჩემი პროფესიის კაცი რომ ამას ვამბობ... მუდმივად მჭირდება ბრძოლა საკუთარ თავთან... ამასაც მეუბნებოდა ჩემი პედაგოგი — სადაც ძალიან გიჭირს ყოფნა, იქ განზრახ შედი, რთულ პირობებში ჩაიყენე თავი, რომ ეს სირთულე შენთვის ჩვეულებრივი გახდესო... ასეა, ბევრ რამეში ვებრძვით ჩვენს თავს ადამიანები...

რაც ჩემთვის ბუნებრივია, ეს ბუნებაში ყოფნაა. საათობით შემძლია ლამაზ პეიზაჟს ვუყურო და ამით ბედნიერი ვიყო... დილით, სარკესავით რომ გასწორდება ზღვა, გარშემო არაფერი არის, სიმშვიდეა, შენ ყველაზე ადრე ადექი და შეხვედი წყალში, ცურავ გულაღმა, უყურებ ცას, ირგვლივ კი ყველაფერი ერთიანდება, ამ ყველაფრის ნაწილი რომ ხდები, ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს... არ ვიცი, რას შევადარო ეს შეგრძნება... თუმცა... როცა სცენაზე თამაში გამოგდის ისე, როგორც გინდა, ერთი აუწერელი აღმაფერხაა. ამიტომ არის, სცენაზე სიცხიანი ავადმყოფი გახვალ და უსიცხოდ გამოხვალ... დიდი ანდამატი აქვს ამ დალოცვილს“.

ამ გამოსათხოვარ წერილში არაფერს ვამბობთ მის ათეულობით ბრწყინვალე როლზე, მის პროფესიონალიზმსა და დიდ აღიარებაზე... ეს ისედაც ცხადია, ისედაც ყველამ იცის... ამ წერილით მინდოდა დამენახებინა, რაც ოთარ მეღვინეთუხუცესის მკაცრი სახის მიღმა იმალებოდა, რასაც მაშინ განიცდიდა, როცა სული უწყებდა ტკივილს: „მე მაგ დროს შინ ვიკეტები, რომ სხვამ არ მნახოს... არ მიყვარს, როცა განვიცდი და სხვა მხედავს. თუ ვინმეს მეტად მკაცრად მოვექციე, არც ეგეთი მიყვარს ჩემი თავი. მერე დიდხანს ვარ ხოლმე ცუდად. ვინც მიცნობს, იცის, მალე ვიცი დამშვიდება, ბრაზის დაფიქვება, ვიცი დარდი... მონანიება ჰქვია ამას, არა? ამის უნარი მაქვს. ისე, სული მკაცრი ვერ იქნება. სული — სულია“...

ოთარ მეღვინეთუხუცესის სული ზეციურ საქართველოს მიემატა...

**ლელა ჯიჯაშვილი**



## ელისო ჩაფიძე:

„ვამაყობ, რომ ბელატიის, მოწამეთის, ხრესილის, ცუცხვათისა და მუხურის მაჟორიტარი დეპუტატი ვარ!“

*„მთელი ბავშვობა თამარ მეფის საფლავის აღმოჩენაზე ვოცნებობდი. VII-VIII კლასელი, ჩემს მამიდაშვილებთან ერთად ექსპედიციებსაც კი ვაწყობდი. ციხე შეუპოვარისა და თამარის წყაროს მიმდებარე ტერიტორია თითქმის სულ გადავთხარეთ. დღე „ვმუშაობდით“, საღამოობით კი დისკუსიებს ვიწვევდით და თითქმის ვათუნებდით, — იხსენებს ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი, ჟურნალისტი ელისო ჩაფიძე.*

— პირველად რომელი ისტორიული ნაწარმობები წაიკითხეთ?

— „დავით აღმაშენებელი“.

— ისტორიული გმირებიც გეყოლებოდათ...

— რა თქმა უნდა! დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეს ვაღმერთებდი. აღფრთოვანებული ვიყავი ექვთიმე თაყაიშვილის პიროვნებით. საქართველოსთვის ამხელა განძს ინახავდა და თავისთვის ერთი პიჯაკიც არ ჰქონდა... მოხიბლული ვიყავი ინდირა განდის პოლიტიკური მეთოდებით, მარგარეტ ტუთჩერის ხასიათის სიმტკიცეც მომწონს, მაგრამ არ

მომწონს ის, რაც მან ფოლკლენდის კუნძულებზე მოიმოქმედა...

— ტყიბულის ისტორია თუ იცით?

— რასაკვირველია, ტყიბულის ტერიტორიაზე უძველესი ადამიანის ნასახლარებია აღმოჩენილი. დასტურდება, რომ აქ იყო ბრინჯაოს იარაღის საწარმოები და ანტიკური პერიოდის კოლხური მონეტების ზარაფხანა... ვამაყობ, რომ გელათის, მოწამეთის, ხრესილის, ცუცხვათისა და მუხურის მაჟორიტარი დეპუტატი ვარ. დეპუტატობა კი არა, მარტო ის არის დიდი პატივი, ამ მიწაზე რომ დააბი-



ვებს, აქ დადიოდა დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, აქ გაიმართა ხრესილის ბრძოლა...

— თუ გახსოვთ, როდის?

— ზოგადად წლები ძალიან ცუდად მამახსოვრდება, მაგრამ ეს ნამდვილად მახსოვს — 1757 წელს.

— ვისი მეთაურობით?

— სოლომონ პირველის.

— რამდენი წლის იყო სოლომონი ტახზე ასვლისას.

— ძალიან პატარა, 15 წლის.

— რა ერქვა ვახტანგ გორგასლის ვაჟს, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ ქართლში, 502-515 წლებში მეფობდა?

— დაჩი.

— რომელ ენაზე წერდა და კითხულობდა ჩინგიზ-ყაენი?

— არ მგონია, მას წერა-კითხვა საერთოდ სცოდნოდა.

— როგორ სჯიდნენ ათენელები უსამართლო მმართველს?

— განკვეთდნენ?

— დიახ, მას ათი წლით ქალაქიდან აძევებდნენ. რა ეწოდება სახელმწიფოს ერთპიროვნულ მმართველს, რომელიც აღჭურვილია შეუზღუდავი ძალაუფლებით?

— უზურპატორი, დიქტატორი.

— 26 თებერვალს, თბილისის მოსახლეობამ რუსთაველის პროსპექტზე დიდი სამგლოვიარო პროცესია მოაწყო. წინ მოჰქონდათ შავი კუბოები, რომლებშიც ქართველ ჭაბუკთა გვამები ესვენა, ხოლო უკან, ნელი ნაბიჯით მღუპარე და თავჩაქინდრული ხალხი მოაბიჯებდა. ეს სანახაობა იმდენად ტრაგიკული იყო, რომ გაცეცხასთან შეერთებული მოკრძალების გრძობას იწვევდა კომუნისტებისა და წითლარმიელების რიგებში და ახალ ადმინისტრაციას აზრადაც არ მოსვლია ამ პროცესიისთვის ხელის შეშლა. რომელ ტრაგიკულ მოვლენას ასახავს ამ სტრიქონებით გერონტი ქიქოძე?

— ალბათ იუნკერთა დაღუპვასა და საქართველოს გასაბჭოებას.

— იმავე 1921 წელს, წითლარმიელებთან შეტაკებისას, მაშინდელ თბილისში საუკეთესო ფეხბურთელი, შეუდარებელი სპრინტერი, 22 წლის ახალგაზრდა მტრის ყუმბარ-მტყორცნის საკუთარი სხეულით გადაეფარა. მისი გმირობა იმ დღეებში მთელ საქართვე-

ლოს მოედო. მოგვიანებით კი მას მხოლოდ ქართული ემიგრაციის წრეებში იგონებდნენ. თქვენ თუ იცით მისი სახელი და გვარი?

— წესით უნდა ვიცოდე, იქნებ სახელი ან გვარი მაინც მითხრათ?

— რომელი გირჩევნიათ?

— სახელი.

— შალვა.

— შალვა ერისთავი?

— დიახ. ეროვნულ-დემოკრატიული და მენშევიკური პარტიების ცნობილი მოღვაწენი: ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ვარდენ წულუკიძე, კონსტანტინე აფხაზი, როსტომ მუსხელიშვილი, ალექსანდრე მაჭავარიანი, დიმიტრი ჩრდილელი, გიორგი ხიმშიაშვილი, სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი, ფარნაოზ ყარალაშვილი, ლეიტენანტი ლევან კლიმიაშვილი, მიხეილ ზანდუკელი, იასონ კერესელიძე, სიმონ ჭიბრიშვილი, ივანე ქუთათელაძე და ელიზბარ გულისაშვილი. რა აკავშირებდათ მათ?

— ვაიმე...

— ისინი საქართველოს გათავისუფლების მიზნით შექმნილი სამხედრო ორგანიზაციის, ანუ „სამხედრო ცენტრის“ წარმომადგენლები იყვნენ.

— მაშინ შეიძლება მათ აკავშირებდეთ ან 1832 წლის შეთქმულება, ან 1923 წლის ბრძოლა გასაბჭოების წინააღმდეგ.

— ყველა მათგანი ჩეკამ 1923 წლის 20 მაისს, თბილისში, ქალაქკარეთ, დღევანდელი ვაკის პარკის მიდამოებში დახვრიტა. ამ ამბავს ძალიან ცნობილი ქართველი მწერლისა და პოეტის ვაჟიც შეეწირა. მის ვინაობას ხომ ვერ მეტყვევით?

— რამე მინიშნებას ხომ არ მომცემთ?

— ის ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეგობარიც იყო.

— ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმელებიდან ვინ იყო პოეტის ვაჟი?

— კიდევ ერთ მინიშნებას გეტყვევით, ამ პოეტის ლექსიდან ერთ სტროფს წაგიკითხავთ: გული გავლესოთ გრძობითა, / საცაა დაპკრავს ნაღარა; / ერთი დავსძახოთ ქართულად, / ზვალ არ გვეცლება, აღარა...

— ესე იგი, ვაჟა-ფშაველას ვაჟზე, ლევან რაზიკაშვილზეა საუბარი...

— დიახ...

— კი, გამახსენდა, მასთან ერთად კიდევ 92 კაცი გაუსამართლებლად დახვრიტეს.

— „10 ათას ხიშტზე მეტად სამი გაზეთის

მეშინია!“ — ვინ არის ამ ცნობილი ფრაზის ავტორი?

- ლენინი ხომ არა?
- არა.
- რა ეროვნებისაა?
- ფრანგი.
- ნაპოლეონ ბონაპარტი.
- მართალი ხართ. რას ამბობდა აბრაამ ლინკოლნი, საარჩევნო ბიულეტენი რაზე ძლიერიაო?

- ტყვიანზე.
- ეს ყველაზე ძველი საარჩევნო სისტემაა. მისი სახელი ფრანგული სიტყვა მაჟორიტისგან წარმოდგება, რაც უმრავლესობას ნიშნავს.

— მაჟორიტარული არჩევნები. ისე, ყველაზე ძველად არჩევნები ლობიოს თეთრი და შავი მარცვლებით ეწყობოდა და ვინც თეთრი ლობიოს მარცვლებს მოაგროვებდა, ის იყო გამარჯვებული.

— საინტერესოა. რომელი ქალაქის დაცვისას მოკლეს არქიმედე — ათენის, სირაკუზის, პერსეპოლისის თუ თებეს?

- სირაკუზის.
- 1934 წლამდე, თურქეთში გვარების შემოღებამდე რა სახელით იყო ცნობილი ათათურქი?

- არ ვიცი.
- მუსტაფა ქემალ-ფაშა. ჩამოთვლილთაგან რომელია მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა რელიგია? იუდაიზმი, ბუდიზმი, ქრისტიანობა თუ ბაჰაიზმი?

- ბაჰაიზმი.
- მართალია. რომელ მცენარეს ეძახიან ინდოეთის ლერწამს?

- ბამბუკს.
- რა თანამდებობა ჰქონდათ ძველ შეიარაღებულ ძალებში იმ პირთ, ვისაც მკვრელზე ტატუირებული ჰქონდათ თუთიყუში?

- არ ვიცი.
- ისინი თარჯიმნები იყვნენ. ისლანდია, გერმანია, ირლანდია, ტაივანი, ესპანეთი — ჩამოთვლილთაგან რომელი ქვეყანა მდებარეობს ნახევარკუნძულზე?

- ესპანეთი?
- დიახ. 1972 წელს ერთმა ახალგაზრდამ ჯონ ლენონს მისწერა, რომ იგი დედამიწის გარშემო მოგზაურობაზე ოცნებობდა, მაგრამ ფული არ ჰქონდა და სთხოვდა, მისთვის საჭირო თანხა გაეგზავნა. „დაინტერესდი მედი-

„დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეს ვაღმერთებდი. აღფრთოვანებული ვიყავი ექვთიმე თაყაიშვილის პიროვნებით. საქართველოსთვის ამხელა განძს ინახავდა და თავისთვის ერთი პიჯაკიც არ ჰქონდა...“

ტაციით და შენს წარმოდგენაში შეძლებ, ნახო მთელი მსოფლიო“, — ასეთი იყო ლენონის საპასუხო წერილის შინაარსი. მოგვიანებით ამ კაცმა ოცნება მაინც აისრულა. როგორ იშოვა სამოგზაუროდ ფული?

- ალბათ ლენონის წერილი გაყვია.
- „ვინც ბევრს გპირდება, მას ნაკლებად უნდა მიენდო“, — ვინ არის ამ ცნობილი გამონათქვამის ავტორი?

- ბისმარკი ხომ არა.
- არა, უფრო უკან...
- მაკიაველი?

— ჰორაციუსი. რა არის ბუნებით განპირობებული ადამიანთა უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი ზოგადსაგაღებულო ქცევის წესების ერთობლიობა, რომელთა შესრულება სახელმწიფოებრივი შემოქმედებით არის უზრუნველყოფილი.

- მგონი, სამართალი.
- თქვენი ვარაუდი გამართლდა. გაროტე არის სიკვდილით დასჯის ტერმინი ესპანეთში. როგორი ხერხით ადასრულებდნენ ესპანელები სიკვდილით დასჯას?

— ესპანელებს წამების საკმაოდ მრავალფეროვანი ხერხები ჰქონდათ, ნეტავ რა უნდა იყოს? ალბათ გაროტე მოგუღვას ნიშნავდა, არა?

- არა.
- მაშინ ესპანურ ჩექმას ჩააცვამდნენ და სულს ამოხდიდნენ.

— გაროტეს დროს სიკვდილმისჯილს თავს კვეთდნენ. FBI აშშ-ის უშიშროებას უზრუნველყოფს. როგორ იშიფრება ქართულად?

- გამოძიების ფედერალური ბიურო.
- რა ეწოდება ადამიანის ხასიათის გარკვევას მისი ხელნაწერის მიხედვით?

- გრაფოლოგია.
- დაასრულეთ ჩერჩილის ცნობილი გამონათქვამი „ორატორმა თქმა უნდა ამოწეროს და არა მსმენელთა...“
- ...მოთმინება“.

ხათუნა პახტურიძე



# მსოფლიოს გარშემო



▲ ფერნანდო მაგელანი განათლებული კაცი იყო. კარგად იცოდა მათემატიკა და სხვა მეცნიერებანი. სწორედ ეს დაეხმარა მას ექსპედიციაში.

**436** XVI საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს გარშემო არავის უმოგზაუროია. პორტუგალიელ მოგზაურს ფერნანდო მაგელანს სამხრეთ ამერიკის გავლით წყნარი ოკეანის გადაკვეთა უნდოდა. სავსებით შესაძლებელია, მაგელანსაც კოლუმბოვით ეგონა, ამ გზით აზიამდე მივიდოდა, სადაც მას სანელებლების ყიდვა შეეძლო. მერე კი შინ დაბრუნდებოდა ინდოეთისა და აფრიკის გავლით და ეს იქნებოდა მსოფლიოს გარშემო მოგზაურობა.

**437** მაგელანს პორტუგალიის მეფემ უარი უთხრა დახმარებაზე, სამაგიეროდ, ესპანეთის მეფე მის დახმარებას დათანხმდა. მეფემ ხუთი გემის საფასური გადაიხადა და მაგელანი 1519 წელს შეუდგა მოგზაურობას. ის სამხრეთ ამერიკის სანაპიროსკენ მანამ მიცურავდა, სანამ წყნარი ოკეანისკენ მიმავალ გზას იპოვიდა. წყნარ ოკეანეში ეკიპაჟის ბევრი წევრი სურავანდისგან გარდაიცვალა, რადგან საკვებად საკმარისი ხილ-ბოსტნეული არ ჰქონდათ.

# 500 ფაქტი ისტორიიდან / მკვლევრები

გაგრძელება. დასაწყისი „ისტორიანი“ №№7-29 • ნაწყვეტი წიგნიდან „500 ფაქტი ისტორიიდან“



▲ მაგელანი მსოფლიოს გარშემო მოგზაურობას ესპანეთიდან შეუდგა. X-ით აღნიშნულია კუნძული მაკტანი, ადგილი, სადაც მაგელანი გარდაიცვალა.

**439** ესპანეთში მაგელანის ერთმა გემმა ჩააღწია. გემი ინდონეზიაში სანელებლებით დატვირთეს და უკან გაბრუნდნენ. მაგელანის ეკიპაჟი თავდაპირველად 200 მეზღვაურისგან შედგებოდა. ბოლოს კი სამშობლოში ოცზე ნაკლები დაბრუნდა. სწორედ ისინი იყვნენ პირველები, რომელთაც მსოფლიოს გარშემო იმოგზაურეს.

**440** 55 წელმა განვლო, სანამ ვინმე დედამიწის გარშემო ისევ იმოგზაურებდა. 1577 წელს დედოფალმა ელისაბედ I-მა ერთ ინგლისელ კაპერს (მეკობრის ერთ-ერთი ტიპი) ფრენსის დრეიკს უბრძანა, მსოფლიოს გარშემო ემოგზაურა. ის ფულს ესპანური გემების მარცვით შოულობდა (დედოფალმა ნება დართო). სამწლიანი მოგზაურობის შემდეგ დრეიკი ინგლისში დაბრუნდა. დედოფალმა ელისაბედმა მას საჩუქრად დიდძალი ფული უბოძა — 10.000 გირვანქა სტერლინგი.

**438** მაგელანს წყნარი ოკეანის გადაკვეთისას უბედურება დაატყდა თავს. 1521 წელს, როცა ფილიპინების კუნძულებზე გადავიდა, კუნძულ სებუს ბელადს დაუმეგობრდა, რომელმაც კუნძულ მაკტანის ბელადთან ომში დახმარება სთხოვა. მაგელანი და ეკიპაჟის ზოგიერთი წევრი ბრძოლაში ჩაერთვნენ, რასაც მაგელანის სიცოცხლე შეეწირა. ეკიპაჟის გადარჩენილმა წევრებმა ორი გემით მოასწრეს გაქცევა.

## უპასუხე კითხვებს

ამთგან რომელ პროდუქტს შეეძლო მაგელანის მეზღვაურების სურაჟანდისგან ხსნა?

1. ლიმონის წვენი
2. ტკბილ ფუნთუშას
3. ერთ ჭიქა რძეს
4. კომბოსტოს
5. შოკოლადიან ნამცხვარს

4 აბ 1  
098.049



# კაპიტანი კუკი

**441** კაპიტანმა ჯეიმს კუკმა თერთმეტი წელიწადი გაატარა მოგზაურობაში, 1768-დან 1779 წლამდე. ის ერთ-ერთი უდიდესი მკვლევარი იყო. კუკმა გადაცურა მთელი წყნარი ოკეანე და შეადგინა რუკები, რომლებიც დღემდე დიდ სამსახურს უწევენ მეზღვაურებს. მან დედამიწის გარშემოც იმოგზაურა: ჩრდილოეთით — არქტიკისკენ და სამხრეთით — ანტარქტიკისკენ.

▼ გარდა იმისა, რომ პლანეტებს იკვლევდა, კუკი ველური ბუნების შესწავლასაც შეუდგა. ექსპედიციაში თან წაიყვანა ამ საქმის მცოდნე ხალხი, რომელთაც თავი მოუყარეს, აღწერეს და ჩაიხატეს ისეთი მცენარეები, რომლებიც ევროპელებისთვის უცნობი იყო.

კალმისტარი



ფარგალი



**442** 1768 წელს დიდი ბრიტანეთის საზღვაო ფლოტის ხელმძღვანელობამ კუკს მნიშვნელოვანი მისიის შესრულება სთხოვა. ის სასწრაფოდ უნდა გამგზავრებულიყო კუნძულ ტაიტიზე და პლანეტა ვენერას მზის დისკოში გავლას დაკვირვებოდა. ასტრონომიული კვლევის შემდეგ კუკი სამხრეთ მატერიკის მოსაძებნად გაგზავნეს, მაგრამ ვერაფერი იპოვა. სამაგიეროდ, შეისწავლა ავსტრალია, ახალი ზელანდია, წყნარი ოკეანის კუნძულები და ახალი რუკებიც შეადგინა.

პარალელური სახაზავი




კვადრანტი (ასტრონომიული ხელსაწყო)

**443** ბევრს სჯეროდა, რომ სამხრეთში უცნობი კონტინენტი არსებობდა. 1772 წელს კუკი ისევ უკან გააბრუნეს მის მოსაძებნად. მკვლევარი სამხრეთისკენ წავიდა, სადაც ჯერ არავის დაეგა ფეხი, და იქ გაყინული ზღვა აღმოაჩინა. კუკი ანტარქტიკის ირგვლივ დაცურავდა და ოდნავდაც არ მიახლოებია ხმელეთს. იგი მხოლოდ 50 წლის შემდეგ, 1820 წელს გამოიკვლიეს.

კუკს ზუსტი სახაზავი ინსტრუმენტები სჭირდებოდა რუკების შესადგენად.




**444** კუკმა მესამე მოგზაურობაში კურსი ჩრდილოეთისკენ აიღო. უნდოდა ენახა, იპოვიდა თუ არა საზღვაო გზას წყნარ და ატლანტის ოკეანეებს შორის, კანადის სანაპირო ზოლის გასწვრივ. ამ გზის ძებნისას, 1778 წელს, ის გამო-საზამთრებლად ჰავაიზე გაემგზავრა. ჰავაელებს ის ღმერთი ლონო ეგონათ!



**დაუჯერებელია!**  
 კაპიტანი კუკი იყო პირველი ევროპელი, რომელმაც ჰავაი აღმოაჩინა 1778 წელს. ჰავაის იგი სენდვიჩის კუნძულებს უწოდებდა.

**445** კუკმა ყველაზე უკეთესად გაიკვლია გზა, ვიდრე ოდესმე რომელიმე ზღვაოსანმა. გამომგონებელმა ჯონ ჰარისონმა შექმნა საათი (მას ქრონომეტრი უწოდა), რომელსაც დროის ზუსტად განსაზღვრა თვით ზღვაზეც კი შეეძლო. მანამდე დროის გასაგებად ხმარობდნენ ქანქარიან საათებს, რომლებიც ზღვაში არ მუშაობდნენ. ქრონომეტრის საშუალებით კუკს შეეძლო ზუსტად გამოეანგარიშებინა, რამდენად შორს იყო დაცილებული აღმოსავლეთს ან დასავლეთს.

▼ ადრეული ქრონომეტრი, რომელიც ჯონ ჰარისონმა გამოიგონა.





# ამერიკის გადაკვეთა

**446** ამერიკის შეერთებული შტატები 1776 წელს შეიქმნა — 250-ზე ნაკლები წლის წინ. იმ დროისთვის ჯერ კიდევ შეუსწავლელი იყო მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი. 1803 წელს აშშ-ის მესამე პრეზიდენტმა, ტომას ჯეფერსონმა მერიუეზერ ლუისს სთხოვა, მათ შესასწავლად გამგზავრებულიყო. ლუისს თან გაჰყვა მეგობარი — უილიამ კლარკი.

▼ როცა მისური ნავისთვის მეტად ვიწრო შეიქნა, ლუისმა და კლარკმა კანოეები გამოიყენეს. მკვიდრი ამერიკელი მეგზურები გზის გაკვლევაში ეხმარებოდნენ.



**447** ლუისსა და კლარკს განზრახული ჰქონდათ, გავლლოთ გზა ამერიკიდან წყნარ ოკეანემდე. მათ საგანგებოდ ააგეს მდინარეებზე სანაოსნოდ ვარგისი ნაგი. ნაგი ნიჩბებით იმართებოდა და ქარის შესაკავებლად აფრებიც ჰქონდა. ეკიპაჟში ორმოცი კაცი აიყვანეს. 1804 წლის მაისში გზას გაუდგნენ ქალაქ სენტ-ლუისიდან და მდინარე მისურის დაუყვნენ.

▶ ამბობენ, რომ საკაგავეა ლუისისა და კლარკის ექსპედიციის დასრულებიდან 25 თუ 26 წლის შემდეგ გარდაიცვალა.



**448** ჩრდილოეთ დაკოტაში ლუისმა და კლარკმა ახალი მეგობარი — საკაგავეა შეიძინეს. ეს ქალი (მკვიდრი ამერიკელი) შოშონის ტომელი იყო. ის ექსპედიციას მეგზურობას უწყვედა და ლუისსა და კლარკს მკვიდრ ამერიკელებთან დაახლოებაში ეხმარებოდა. მან იცოდა, სად უნდა ეპოვათ საკვებად ვარგისი მცენარეები და როგორ მოეშადებინათ. საკაგავეამ მდინარეში ჩაძირვას გადაარჩინა აგრეთვე ქალაღლები, რომელზედაც მნიშვნელოვანი ინფორმაცია იყო ჩაწერილი.

**449** მოგზაურობისას ლუისი და კლარკი ძალიან შეაშინეს დათევბმა. ერთ დღეს, როცა ლუისი ნადირობდა, ჩრდილოეთამერიკული დათვი გრიზლი გამოედევნა. ლუისმა სცადა მისი მოკვლა, მაგრამ ააცდინა. დათვი მდინარეშიც კი შეჰყვა, მაგრამ ლუისს გაუმართლა — მტაცებელი უკან გაბრუნდა.



**ბაკამი ტომში!**  
 დაგჭირდება:  
 მაკრატელი, მილივით დახვეული მუყაო, ქაღალდი, ფლომასტერები, წებო

1. დაჭერი ზოლებად ქაღალდი, რომ მილს შემოახვიო.
2. ქაღალდის ზოლებს დაახატე სახეები, ურჩხულები და ჩიტები, მერე მუყაოს მილს ირგვლივ შემოაწებე.
3. ქაღალდიდან გამოჭერი ფრთები და მილს უკანა მხარეს მიაკარი.
4. გამოჭერი სამკუთხა ნისკარტი, შუაზე გაკეცე და მიაწებე მილს წინა მხარეს.



**451** ეკიპაჟი მდინარე კოლუმბიას კანოეებით დაუყვა, ზღვისკენ. 1805 წლის ნოემბერში წყნარ ოკეანემდე მიაღწიეს, შემდეგ კი უკან მობრუნდნენ, — იგოვე გზა გაიარეს. კლარკი და ლუისი ეროვნულ გმირებად აღიარეს. პრეზიდენტმა ორივე მიწითა და ფულით დაასაჩუქრა.


▶ ლუისსა და კლარკს შეიძლებოდა კლდოვან მთებში გზა აბნეოდათ, მაგრამ ინდიელებმა მათ გზაც ასწავლეს და საკვებითაც მოამარაგეს.

**450** როცა კლდოვან მთებს მიაღწენ, კლარკი, ლუისი და მათი ეკიპაჟი შიმშილისგან დაოსებული იყვნენ. მათ ვერსად იპოვეს ხარი ან ირემი, რომ მოენადირებინათ და დანაყრებულიყვნენ. იძულებული გახდნენ, სამი ცხენი დაეკლათ, რომ შიმშილით არ დახოცილიყვნენ. მოგზაურები ნეს-პერსეს ტომის ინდიელებმა იხსნეს შიმშილით სიკვდილისგან — საკვები მისცეს.





# აფრიკის შესწავლა



მუნგო პარკი

## 452

როცა ვეროპელებმა აფრიკის შესწავლა დაიწყეს, მალე დარწმუნდნენ, რომ ის საკმაოდ საშიში იყო. 1795 წელს შოტლანდიელი ექიმი მუნგო პარკი დასავლეთ აფრიკაში გაემგზავრა მდინარე ნიგერის შესასწავლად. გზად პარკი გაძარცვეს და დაატყვევეს, ტანსაცმელიც მოჰპარეს, წყურვილისგან ღონემიხდილი იყო და ციებ-ცხელებაც შეეყარა. მიუხედავად ამისა, 1805 წელს ისევ გაემგზავრა აფრიკაში.

▲ დევიდ ლივინგსტონმა ბევრჯერ იმოგზაურა ნავით. ერთხელაც მისი ნავი ბეჭემოს შეეჯახა და გადაბრუნდა. ლივინგსტონმა მთელი აღჭურვილობა დაკარგა.



### მართალია თუ ტყუილი?

1. ექტორიას ჩანჩქერი დიდი ფრიალო კლდეა.
  2. ტიმბუქტუ საჰარის უდაბნოშია.
  3. ჰენრი სტენლიმ დოქტორი ლივინგსტონი ნიუ-იორკში ნახა.
  4. დევიდ ლივინგსტონი ლომმა შეჭამა. პასუხები
1. ტყუილია, ეს არის უზარმაზარი ჩანჩქერი.
  2. მართალია.
  3. ტყუილია, ის ტანზანიაში (აფრიკაში) ნახა.
  4. ტყუილია, ლომი თავს დაესხა და ხელი დაუსახიჩრა.

## 453

დოქტორი დევიდ ლივინგსტონი აფრიკის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მკვლევარი იყო. იგი 1840 წელს გაემგზავრა იქ მისიონერად, რომ აფრიკელი ხალხი ქრისტიანული რელიგიისთვის ეზიარებინა. მან ცოლ-შვილთან ერთად გაიარა კალაჰარის უდაბნო და აღმოაჩინა ტბა ნგამი. ლივინგსტონი ისე დაასახიჩრა ლომმა, რომ მარცხენა ხელს მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვეღარ ხმარობდა.




**455** დევიდ ლეინგსტონი იყო პირველი ევროპელი მოგზაური, რომელმაც აფრიკაში იმოგზაურა. მან გზად, მდინარე ზამბეზიზე, უმშვენიერესი ჩანჩქერი აღმოაჩინა. მოსახლეობა მას მოსი-ოატუნიას — „მგრევინავ კვამლს“ ეძახდა, ლეინგსტონმა კი დედოფალ ვიქტორიას პატივსაცემად „ვიქტორიას ჩანჩქერი“ უწოდა.

**456** 1869 წელს, როცა აღმოსავლეთ აფრიკას იკვლევდა, დევიდ ლეინგსტონი დაიკარგა. მას შემდეგ მასზე არაფერი სმენიათ. მის მოსაძებნად ამერიკელი მწერალი ჰენრი სტენლი გაეშურა და დიდი ხნის შემდეგ ტანზანიაში, სოფელ უჯიჯიში იპოვა. ის ასე მიესალმა მკვლევარს: „მგონი, დოქტორი ლეინგსტონი ხართ, არა?“

▼ ჰენრი სტენლის რვა თვე დასჭირდა დოქტორ ლეინგსტონის მოსაძებნად აფრიკაში.

▲ ჩანჩქერ ვიქტორიას სიმაღლე 108 მეტრს შეადგენს.

**454** ფრანგი მკვლევარი რენე კალიე გადაცმული გაემგზავრა სამოგზაუროდ. მას სურდა, ენახა ძველი ქალაქი ტიმბუქტუ საჰარის უდაბნოში, მაგრამ იქ მხოლოდ მუსლიმანებს უშვებდნენ. მან არაბი ვაჭრის ტანსაცმელი გადაიცვა და 1828 წელს ქალაქში შეიპარა. კალიე პირველი ევროპელი იყო, რომელმაც ტიმბუქტუში შეაღწია და უკან უვნებელი დაბრუნდა.







დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი

				1 ქალაქი, სადაც კენედი მოკლეს		2 რჩეული საზოგადოება	3 ბევლებური სასაზღვრო ქვა	
				4 ზმის მიცემით მღებელი გაღწევეტი- ლება				
5 ინდიელი პოლიტიკური მოღვაწე						6 გაკ ადგილი, დაბლობი	7 რომის პაპის ბრძანებულება	
8 იტალიის ეროვნული გმირი								
9 აღიღწე პიტლერი		10	11 ბედი ქუაიასი		12 ევაბეტის დედაქალაქი	13 ქრისტეს გამოგვლი	14 ისტორიულად ჩამოყალიბებული ჩვეულება	
						15 ამერიკის შტატი	16 ქვეყანა აზიამი	
17 ბევლებური ინგლისური ოქროს ფული		18 უცხოეთში საიდუმლო დაჯილდოვებით გაგზავნილი პირი						
		19 სახელმწიფოს ერთ-ერთი სიმბოლო					20 პლანეტა ოუპტორის ბე ქართული სახელწოდება	
						21 უსინათ- ლოთა შრიფტის გამომგონებელი		22 ვატარის დედაქალაქი
						23 ილია ჭებჭეჭას მეუღლე ... გურამიშვილი		
	24 ბე ფრანგული სივრცის საზომი ერთეული	25 ფულის ეროვნული მოღვაწეობა			26 მარადიული ქალაქი			

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანორდის პასუხები:

1. გალერა; 2. დეკალოგი; 3. სამიტი; 4. მიკალო; 5. რადა; 6. რუბია; 7. იმპერატორი; 8. ლაეროვი; 9. ჩაღმა; 10. ზეი; 11. პესი; 12. პიზა; 13. გრაფი; 14. ვეზე; 15. ზატეი; 16. ალასანია; 17. არზა; 18. პაბი; 19. მამია; 20. კალა; 21. ნოე; 22. პალატა; 23. გრო; 24. ბრუნო; 25. ცირიკი; 26. იენა; 27. მათა. სურათზე: გორბაჩოვი.